# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული დაიჯესტი

ყველა გაზეთი ერთ გაზეთში

№ 25 (114) ◆ 23–29 ივნისი 1997 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


### თუ არ არსებობს კაცზე კომპრომატი, მას ხელისუფლებაში არ გააჭაჭანებენ...



**თედო პაატაშვილი** — ზვიადის უპირველესი ღირსება ის იყო, რომ ადამიანებს ჭანჭიკებად არ მიიჩნევდა...

...კორუმპირებული ხელისუფლების ყველა შტო ერთმანეთში ეძებს განტევების ვაცს.



**მერაბ ურიდია** — ჯაბა იოსელიანი, როგორც ვიცი, მაშინ აფხაზეთის ავანტიურის წინააღმდეგი იყო...

...გამსახურდია ყოველთვის მიყვარდა...



**ირაკლი მელაშვილი** — გენადი ბურბულისმა, არ დამალა და განმიცხადა, რომ ისიც არის პასუხისმგებელი საქართველოში დატრიალებული ტრაგედიისთვის...

...რუსეთი რომ საქართველოს დაეხმაროს აფხაზეთის დაბრუნებაში, დამთავრებულია რუსული პოლიტიკა ჩრდილო კავკასიაში...

...რუსები უკვე წერენ — ყურით გვიჭირავს ნადიბაიძეო...

**ხალხი, რომელიც დააკლდა პარლამენტს**

გვ. 3, 21

### 1953 წლის 26 ივნისი

#### ლავრენტი ბერიას სიკვდილის ახალი ვერსია



ალარავის ახსოვს ეს თარიღი...

44 წლის წინ კი, სწორედ ამ დღეს, მოსკოვში, ბაწირეს კაცი, რომლის ლანდისაც კი ეშინოდათ...

ნახევარი წელი წერდნენ, დგამდნენ, თამაშობდნენ შეთითხნილ, გამოგონილ ფარსებს, რომლის მთავარი გმირი კარგა ხნის დახვრეტილი ჰყავდათ...

*ოპერაცია „ოხოტნიკის" უშუალო მონაწილის ნაამბობიდან...*

გვ. 16

..რუსეთის ჯარები იყვნენ, არიან და იქნებიან საქართველოში.

ГРВЗ-ს ახალი სარდალი ვლადიმირ ანდრეევი

...ელცინმა პირდაპირ მანქანაში დაურეკა პრიმაკოვს და მოსთხოვა, გადაედო ყველა საქმე და ჩაბმულიყო ქართულ-აფხაზური მოლაპარაკების პროცესში.

...20 ივნისს, გამთენიისას დაარბიეს გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას" კომპიუტერული ცენტრი... რედაქტორის აზრით, ეს დივერსიაა...

გვ. 2

### პარტიზანობისა არც მჯერა და არც მხარს ვუჭერ...

*ედუარდ შევარდნაძე*

— რეალურ პოლიტიკაში თუ მარტო წარსულით იცხოვრებ, შეიძლება მომავალიც დაივიწყო...

— აფხაზეთში დაღუპულთა ხმები რომ მესმის, სწორედ ამიტომ მივდივარ ამ კონტაქტზე...

— „ცისფერჩაფხუტიანების" გამოჩენა ამიერკავკასიაში უბრალო საქმე არ არის, მაგრამ ჩვენს დროში შეუძლებელი არაფერია...

— 1993 წელს, ბაქოში ვიზიტის დროს დუდაევს შევხვდი; როგორც თქვა, საგანგებოდ ჩემთან შესახვედრად ჩამოფრინდა...

— ოდესმე დაწვრილებით მოვყვები ამ შეხვედრის დეტალებს...

გვ. 5

### ხელისუფლების ძალისხმევით

**აფხაზეთის დასაბრუნებლად უკმაყოფილოა გამოკითხვის მონაწილეთა 79%**

გვ. 23

სიახლე რეიტინგში

ვინ არის თბილისში ყველაზე მდიდარი

თბილისელებმა ამ გამოკითხვაში ადგილები ასე გაანაწილეს: 1. ასლან აბაშიძე; 2. ზურაბ წერეთელი; 3. ნიკო ლეკიშვილი და ა.შ. მე-18 ადგილი ედუარდ შევარდნაძეს უჭირავს...

გვ. 5

რუსეთის ჯარების ბათუმის სამხედრო ბაზაზე საჩვენებელი სწავლება ჩატარდა...

ამერიკის და თურქეთის გაფრთხილება საქართველოს ტერიტორიიდან მოხდა...

ჩვენ კვლავ სტატისტის როლი გვერგო...

ამ ბაზის შტაბის უფროსია საქართველოს თავდაცვის მინისტრის ვაჟიშვილი, რუსეთის მოქალაქე ვაჟა ნადიბაიძე...



გვ. 9

საქართველოს პირველი პრეზიდენტის მეუღლის დღიურები იმდენად გულისამრევი და საზიზღარია, რომ თავდაპირველად ისინი ყველამ КГБ-ს ნაყალბევად მიიჩნია...

ნაყალბევობა არ დადასტურდა... კალიგრაფიული ექსპერტიზით დადგინდა — ავტორი ნამდვილად მანანა არჩვაძეა.



გვ. 6


EVRO-AMERIKAN

SECOND HAND

ტანსაცმელი მხოლოდ „ევრო-ამერიკანში"

EuroAmerican

საუკეთესო ხარისხი და ყველაზე დაბალი ფასები — 1 კგ.-ის საწყისი ფასი 1.25 ლარი.

საქონლის რეალიზაცია შეგიძლიათ როგორც მაღაზიებში, ასევე შინიდანაც.

მის.: მ. „სამგორი", სამგორის ჩიხი №4, საქბაკალეიის საწყობი

ტელ.: 71-77-42


### ახალი ტიტული

„მის მსოფლიო", „მის ევროპა", „მის აზია" და აი, „მის საქართველო-97"-ც. ჟიურიმ გამოაცხადა შეუვალი გადაწყვეტილება და მაყურებელს წარუდგინა 16 წლის თამარ მამულაშვილი... სიხარულით გაოგნებული დედოფალი დიდხანს პოზიორობდა ფოტოკამერების წინ.



გვ. 4

### საიდუმლო მაფიას მიჰყიდეს

— ათენში ჩვენი საიდუმლო გაფრენის შესახებ იცოდა: უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა, საგარეო საქმეთა სამინისტრომ, გენპროკურატურამ და მესაზღვრეებმა, თანაც თითოეულ უწყებაში ორ-ორმა კაცმა...

**— ერთი-ორი თვეც და... დავასახელებ სოლონიკის მკვლელსაც და დამკვეთსაც...**

გვ. 8



საკვირაო ტელე-კინოაფიშა 23-29 ივნისი

გვ. 10


სასწრაფო დახმარება

არდი ან 901 901-111

ამ ბარათის მფლობელს „არდი" მოემსახურება 24%-ის ფასდაკლებით (ანუ 25-ის ნაცვლად 19 ლარად).

ევრომარკეტი

თავისუფლების მოედანი №7 (ცეკავშირის შენობა)

ფირმა გთავაზობთ კომპიუტერებს 386, ფერადი მონიტორებით.

მის.: სამგორის ჩიხი №4, საქბაკალეიის საწყობი.

ტელ.: 71-77-42


**თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!**


Bild
სტერეო არასამთავრობო
Частная жизнь
თაიმსი
stern
Эхо планеты
За рубежом
POPCORN
FOCUS
საქართველოს რესპუბლიკა
DER SPIEGEL
კრიმინალი
Newsweek
Панорама недели
Комсомольская правда
MIR
საქართველო
Сегодня
Медведь
Аргументы и факты
Совершенно секретно
Труд
MATCH
ТВ Парк
Le Figaro magazine
Лица
daily
Иностранец
კრიმინალი
Итоги

# კვირიდან — კვირამდე

**პრეზიდენტ შევარდნაძის** ბრძანებულებით, ამერიკაში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს — გივი და ოთარ ზალდასტანიშვილებს, საქართველოდან 1921 წელს გატანილი სახელმწიფო არქივის მოვლისა და დაცვისათვის, საქართველოში ბიზნესის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის მიენიჭათ საქართველოს რესპუბლიკის საპატიო მოქალაქის წოდება.

„თქვენი მოღვაწეობა შესანიშნავი მაგალითია საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებისთვის", — განუცხადა შევარდნაძემ ძმებ ზალდასტანიშვილებს მოქალაქის წოდების მინიჭების ცერემონიალზე.

**თავდაცვის მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძე** მოსკოვში შეხვდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი პრიმაკოვს და დსთ-ის სამხედრო თანამშრომლობის საკოორდინაციო შტაბის უფროსს ვიქტორ სამსონოვს. ორივე შეხვედრა დახურულ კარს მიღმა გაიმართა და შეეხო აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პრობლემებს.

**რუსეთში საქართველოს** ელჩის, ვაჟა ლორთქიფანიძის თქმით, საქართველოს პარლამენტის დადგენილებამ აფხაზეთიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანასთან დაკავშირებით, აიძულა მოსკოვი, აქტიურად ჩაბმულიყო ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების პროცესში. ევგენი პრიმაკოვმა არ დაუმალა ელჩს ის ფაქტი, რომ ბელორუსიიდან დაბრუნების შემდეგ ელცინმა პირდაპირ მანქანაში დაურეკა მას და კატეგორიულად მოსთხოვა, ყველა საქმე გადაედო და ჩაბმულიყო მოლაპარაკებათა პროცესში.

**აფხაზ სეპარატისტთა ე.წ. პარლამენტმა** მხარი დაუჭირა კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო მისიის გაგრძელებას 1994 წლის 14 მაისს დადებული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღებული შეთანხმების საფუძველზე. „პარლამენტმა" გამოთქვა მზადყოფნა საქართველოსთან სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობის დასამყარებლად და ქართულ მხარეს სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმება შესთავაზა.

**საქართველოს პარლამენტის** ფრაქცია „აფხაზეთის" თავმჯდომარემ გერმანე ფაცაციამ კი განაცხადა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად აუცილებელი პირობებია აფხაზეთიდან რუსეთის ჯარების გაყვანა და საქართველოს ხელისუფლებიდან პრორუსულად განწყობილი ძალების განდევნა. მისივე თქმით, თუ 1 აგვისტომდე რუსები არ დატოვებენ აფხაზეთს, დევნილთა მოთმინების ფიალა აივსება და ამას დესტაბილიზაცია მოჰყვება.

**წმინდა ილია მართლის საზოგადოების** განცხადებით, საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ შემუშავებული რუსეთის ჯარების გაყვანის გეგმა ვერ უზრუნველყოფს საქართველოს სრულ დეოკუპაციას. ამდენად, არსებობს საფრთხე, რომ რუსეთი, რაიმე საბაბით, კვლავ შემოიყვანს სამხედრო ნაწილებს საქართველოში.

**ფრაქცია „აფხაზეთის" დელეგაციამ** მონაწილეობა მიიღო მახაჩყალაში გამართულ საერთო-კავკასიური პარლამენტის დამფუძნებელი კომისიის მუშაობაში. ფრაქციის წევრის, ბორის კაკუბავას განცხადებით, კავკასიური პარლამენტი უნდა გადაიქცეს კავკასიაში რუსეთის ექსპანსიის წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო ორგანოდ.

**საქართველოში ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია** შეიქმნა, — „სახალხო-დემოკრატიული პარტია," რომლის პრეზენტაციაც 30 აგვისტოს, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დღეს გაიმართება, — განაცხადა ახალი პარტიის ლიდერმა, პარლამენტარმა ნესტან კირთაძემ. მისი თქმით, ამ პარტიის შექმნაზე იგი დიდი ხნის მანძილზე ოცნებობდა და მხოლოდ დღეს მიეცა ამ იდეის განხორციელების შესაძლებლობა. კირთაძე მიესალმა ყველა იმ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომლებიც მომხრენი იქნებიან მისი პარტიის იდეოლოგიისა. ამასთან, მან ისიც თქვა, რომ არ აპირებს ფრაქცია „ლეიბორისტის" მიტოვებას, თუმცა არ გამორიცხა საკუთარი ფრაქციის შექმნის შესაძლებლობაც, თუკი მოქალაქეთა კავშირში განხეთქილება მოხდება.

**საქართველოს გაერთიანებული** დემოკრატიული პარტიისა და სამაჩაბლოს მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლების ინიციატივით, გაიმართა პრესკონფერენცია, რომელიც შიდა ქართლში დღეს შექმნილ ვითარებას მიეძღვნა. გაერთიანებული დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის, ნოდარ ნათაძის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება ხელს უწყობს სამაჩაბლოში ახალი სახელმწიფოებრივი ფორმირების შექმნას. მისი თქმით, ლუდვიგ ჩიბიროვის განკარგულებით და რუსის ჯარის ხელშეწყობით, სეპარატისტული ხელმძღვანელობა საფორტიფიკაციო ნაგებობებს აშენებს ქართული და ოსური სოფლების ერთმანეთისაგან იზოლირების მიზნით. ამასთან, ოსური ხელისუფლება ავიწროებს ქართულ მოსახლეობას, ახორციელებს მის მიმართ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას. ოსური დიასპორა იბრძვის კავკასიაში რუსეთის ფორპოსტის შესაქმნელად და მას ხელს უწყობს შევარდნაძე. ნათაძის თქმით, საქართველოს ხელისუფლება ჩქმალავს სამაჩაბლოში ქართველთა წინააღმდეგ განხორციელებული გენოციდის ფაქტს.

**საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია** მოითხოვს 1995 წელს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგების გაყალბების ორგანიზატორთა პასუხისგებაში მიცემას. პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ არჩევნების შედეგების ფალსიფიცირებას ხელმძღვანელობდა მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი შოთა კვირაია და დემოკრატიისა და აღორძინების ფონდის პრეზიდენტის, ნუგზარ ფოფხაძის ნეობოლშევიკური ალიანსი.

**უზენაეს სასამართლოში** გაიმართა შიდა ქართლში სახელმწიფოს მეთაურის ყოფილი წარმომადგენლის, ყოფილი პარლამენტარის, ვაჟა ხაჭაპურიძის სასამართლო პროცესის სხდომა. მას ბრალად ედება სამშობლოს ღალატი, ხელისუფლების დამხობის მოწოდების მიზნით პროკლამაციების გავრცელება და იარაღის უკანონო ტარება. ხაჭაპურიძემ უარყო მის მიმართ წაყენებული ყველა ბრალდება და განაცხადა, რომ იგი პოლიტიკური ანგარიშსწორების მიზნით არის შეთითხნილი.

**თბილისში ჩამოვიდა ამიერკავკასიაში რუსეთის** ჯარების ახალი სარდალი გენერალი ვლადიმირ ანდრეევი, რომელმაც ჩამოსვლისთანავე თავი იმით გამოიჩინა, რომ ბრძანა: რუსეთის ჯარები იყვნენ, არიან და იქნებიან საქართველოშიო. მისი თქმით, საუბარი საქართველოდან რუსის ჯარის გაყვანის შესახებ უსაფუძვლოა, რაც კარგად ესმით პოლიტიკოსებს. ამასთან, მან კატეგორიულად დასვა საკითხი, რომ მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალების წარმომადგენლებმა, რომლებიც მოინდომებენ ამიერკავკასიაში რუსის ჯარის რომელიმე ნაწილის მონახულებას, წინასწარ ნებართვა უნდა აიღონ რუსეთის თავდაცვის მინისტრისაგან ან გენერალური შტაბის უფროსისაგან(?!)

**რა შეიძლება ითქვას** ამ განცხადებასთან დაკავშირებით? ანდრეევმა, (რომელსაც არ ეხება და არც ეკითხება ამ საკითხის გარჩევა) ფაქტობრივად, „ფეხებზე დაიკიდა" საქართველოს ხელისუფლებაც, პარლამენტიც და ქართველი ხალხიც, როცა რუსეთის ჯარის სამუდამო ყოფნა „დააკანონა" ჩვენს მიწა-წყალზე. ეტყობა, რა დადგენილებაც არ უნდა მიიღოს მომავალში ჩვენი ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ რუსის ჯარის ყოფნა-არყოფნის შესახებ, ანდრეევი და მისი მსგავსი შუბლმაგარი გენერლები ისევე მიაფურთხებენ მას, როგორც საქართველოში ჩამოსვლის პირველსავე დღეს მიაფურთხა ანდრეევმა ყველაფერს და, პირველ რიგში, საკუთარ სამხედრო ღირსებას.

**რაც შეეხება ჟურნალისტების დაშვებას** რუსის ჯარის ნაწილებში, გამოდის, რომ ყოველთვის მოსკოვში უნდა ვირბინოთ და მერე ვისთან? რუსეთის თავდაცვის მინისტრთან და გენერალური შტაბის უფროსთან... აკრედიტაციაზე(?!). ეტყობა, ან ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში მდგარ რუსის ჯარში რაღაც განსაკუთრებული იარაღი აქვთ შემოტანილი, ან რუს გენერლებს მართლაც საბოლოოდ გადაუბრუნდათ ტვინი.

მაშ ასე, ქართველებო, მოვემზადოთ თბილისში ჩამოსულ მორიგ რუს „სარდალთან", უფრო სწორად, სალდაფონთან „საურთიერთობოდ"...

და ბოლოს, ანდრეევი პრეზიდენტმა შევარდნაძემ მიიღო. შეხვედრაზე ილაპარაკეს „ტრადიციული ორმხრივი კეთილი(!) ურთიერთობის" შესახებ.

**საბერძნეთში ოთხდღიანი ოფიციალური ვიზიტით** იმყოფებოდა პარლამენტის სპიკერი ზურაბ ჟვანია, რომელიც პირველსავე დღეს მიიღო საბერძნეთის პრეზიდენტმა კონსტანტინოს სტეფანოპულოსმა. ზურაბ ჟვანიამ შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ იგი გაკვირვებული დარჩა პრეზიდენტის ინფორმირებულობით და სიამოვნებით მოისმინა მისი საუბარი საბერძნეთ-საქართველოს ურთიერთობებისა და პერსპექტივების შესახებ. მისი თქმით, საბერძნეთი მზადაა, ყველა შესაძლებლობით დაეხმაროს საქართველოს.

**ზურაბ ჟვანია** ათენში შეხვდა საბერძნეთის წამყვანი პოლიტიკური პარტიების ლიდერებს. მათთან საუბრისას გამოითქვა ორმხრივი სურვილი, გაფართოვდეს ინფორმაციათა გაცვლა და თანამშრომლობა ორი ქვეყნის წამყვან პარტიათა შორის.

**ქალბატონებო და ბატონებო!**

თქვენთან შესახვედრად (ჩვენი გაზეთის ფურცლებზე) მზად არიან თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსი ბ-ნი **სოსო ალავიძე** და ტრადიციონალისტთა პარტიის თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი**.

„კვირის პალიტრის" ფოსტის მეშვეობით მოგვწერეთ, რა კითხვებს დაუსვამდით მათ. აგრეთვე — ვისთან ისურვებდით შეხვედრას შემდგომში.

**თბილისში გაიმართა მეორე,** ყოველწლიური კონფერენცია სახელწოდებით: „ბიზნესის შესაძლებლობები და საქართველოს ეკონომიკური განვითარება". აღინიშნა, რომ დღეისათვის საქართველოს მიღებული აქვს თითქმის ყველა კანონი, რომლებიც ხელს უწყობენ ეკონომიკის განვითარებას და უცხოური ინვესტიციების ფართომასშტაბიან მოზიდვას.

**მოქალაქეთა კავშირის გენერალურმა მდივანმა,** მიხეილ მაჭავარიანმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ იგი მონაწილეობას ღებულობდა ლონდონში გამართულ კონფერენციაში სახელწოდებით — „ევროპის მომავალი". მისი თქმით, მსოფლიოს 50 ქვეყნის წარმომადგენელმა კონფერენციაზე განიხილეს რეგიონებში ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხები, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა ევროპულ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის საკითხის განხილვა, თუმცა აღინიშნა, რომ ამის შესაძლებლობა მალე მოგვეცემა, როცა 25-27 ივნისს თბილისში ჩატარდება კონფერენცია თემაზე „ბარიერების დაძლევისათვის რეგიონულ თანამშრომლობაში", — დასძინა მაჭავარიანმა. ჩვენი მხრივაც დავძენთ, რომ გაუგებარია, მაშინ რა საჭირო იყო „მოქალაქეთა" ვიზიტი ლონდონში, თუკი ეს საკითხი თბილისში, უკვე დაგეგმილ კონფერენციაზე უნდა განიხილონ?

**აფხაზ სეპარატისტთა** ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი შამბამ რუსეთის საინფორმაციო საშუალებებისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ქართულ-აფხაზური მოლაპარაკების პროცესში რუსეთის იგნორირება ნიშნავს უარის თქმას გაეროსა და რუსეთის ძალისხმევით მიღწეულ სამშვიდობო შეთანხმებებზე. მისი თქმით, საომარ მოქმედებათა განახლების შემთხვევაში, სამშვიდობო ძალები დატოვებენ აფხაზეთს, მაგრამ აფხაზებს შესწევს ძალა, წინააღმდეგობა გაუწიონ ქართულ არმიას.

**„აფხაზეთი მარტო არ არის.** ხანდახან მიკვირს კიდეც, იმდენი მეგობარი გვყავს თურმე", — განაცხადა არძინბამ და ამ „სიბრძნეს" ახალი სულიც შთაბერა იმ მხრივ, რომ დაადანაშაულა აშშ, საფრანგეთი, გერმანია და რუსეთი საქართველოსადმი მხარდაჭერასა და პატარა აფხაზეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც, თურმე სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის ენერგიას არ იშურებს.

**არძინბამ ისიც თქვა,** რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საქმეში დოკუმენტთა 99% დიდი ხანია, მომზადებულია, მაგრამ ყველაფერს აფერხებს მხოლოდ ერთი პრობლემა — აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრა. ამ საკითხში კი, აფხაზები პოზიციის დათმობას არ აპირებენ.

**დასავლეთის საინფორმაციო საშუალებების ცნობით,** ჩეჩნეთში ომის დამთავრების შემდეგ, გროზნოს ხშირი სტუმრები გახდნენ სოხუმელი ემისრები. ისინი მოლაპარაკებებს აწარმოებენ ჩეჩენ საველე მეთაურებთან, მათ შორის, ამჟამად სახელმწიფო მოხელე შამილ ბასაევთან, ერთადერთი მიზნით: მოახერხონ ჩეჩენ მეომართა აფხაზეთში ჩაყვანა და მათი შერწყმა აფხაზურ ჯართან. ბოლო დღეებში აფხაზები ინტენსიურ მოლაპარაკებას აწარმოებენ საველე მეთაურ ხაკანთან, რათა მან და მისმა ბოევიკებმა მხარი დაუჭირონ აფხაზ ძმებს, რომლებსაც ქართული „ფაშიზმის" საფრთხე ემუქრებათ.

**20 ივნისს, დილით,** ხანძარი გაუჩნდა სააქციო საზოგადოება „მზიურის" (ყოფილი საწარმოო გაერთიანება „თბილკონდიტერი") მთავარ კორპუსს. ცეცხლი სწრაფად ჩააქრეს. ტექნოლოგიური მოწყობილობა არ დაზიანებულა.

**გასულ კვირას თბილისში,** კოკისპირული წვიმის დროს ვაჟა ფშაველას გამზირზე, 43-ე კორპუსის ერთ-ერთ ბინაში მოზრდილი ბირთვული ელვა შევარდა. მთელი ოთახი შემოირბინა, გვერდი აუარა შიშით გაშეშებულ მასპინძლებს, მშვიდად გავიდა აივანზე და გაქრა. მეზობელ სახლში დააზიანა მაღალი ძაბვის კაბელი და მთელი ელექტრომოწყობილობა.

## იუბილეზე გაზეთი დაარბიეს

20 ივნისს „სვობოდნაია გრუზიას", იმავე „ზარია ვოსტოკას", 75 წელი შეუსრულდა. წინა დღით, პრეზიდენტმა შევარდნაძემ გაზეთის 17 თანამშრომელს ჯილდოები გადასცა. მოვიდა მილოცვები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, მაგრამ ვილაცამ გადაწყვიტა, საიუბილეო ეიფორია ნერვიულობით შეეცვალა. გამთენიისას, 5 საათზე, გაზეთის კომპიუტერულ ცენტრს ხანძარი გაუჩნდა. გაზეთის რედაქტორს, ბატონ აპოლონ სილაგაძეს ეჭვი აქვს, რომ ხანძარი დივერსიაა და ამის სასარგებლოდ მრავალი არგუმენტი მეტყველებს. გაზეთმა ბოლო ხანს ფრთები გაშალა. ყოველდღიურ გამოცემას დაემატა სპეციალური ნომრები: „ს.გ. კავკაზ", „ს. გ. სპორტ". მომავალი გეგმები ითვალისწინებდა „ს. გ. კულტურას", „ს. გ. ფინანსის" გამოცემას, როგორც ჩანს, ეს ვილაცას არ ეჭაშნიკებოდა. ბატონი აპოლონის თქმით, ეს დივერსია გაზეთის სპეციფიკური ფუნქციის წინააღმდეგ იყო მიმართული, რადგან იგი საქართველოს უცხოეთისთვის წარდგენის, გაცნობის ერთგვარ ფუნქციას ითავსებდა, ვილაცას სურდა ამ პროცესის შეფერხება.

რედაქციის დარბევის ეს ფაქტი პირველი როდი იყო. ადრე დაიწვა ორი ოთახი, მოგვიანებით სამი ოთახი მიაყოლეს, მერე ხელყუმბარაც შეაგდეს შენობაში. ეს ფაქტები გამოძიებას ჯერაც არ გაუხსნია.

თუ მსგავსი ქმედებები არ აღიკვეთა, ხვალ სხვას მისდგებიან. სამართალდამცავებო, გამოიჩინეთ მონდომება!

**ბოლოს, ვულოცავთ „სვობოდნაია გრუზიას" იუბილეს და ვიმედოვნებთ, რომ მომხდარი მის გამოცემას არ შეაფერხებს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თუ არ არსებობს კაცზე კომპრომატი, მას ხელისუფლებაში არ გააჭაჭანებენ

*„ქარტია-91“ --- პირველად ამ საუკუნეების გამოჩნდა ოპოზიციური ფრაქცია ეროვნულ უზენაეს საბჭოში. იგი იმ პერიოდსა და შემდგომ წლებში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში არცთუ უკანასკნელ როლს ასრულებდა, მაგრამ... ჩემი აზრით, სხვებისგან განსხვავებით, ამ ორგანიზაციაში ყველაზე გაწონასწორებული და ნიჭიერი პოლიტიკოსები იყვნენ გაერთიანებულნი, ხოლო რატომ, ან უფრო სწორად, ვინ და რამ დააკარგვინა „წონასწორობა“ მათ იმ ურთულეს პერიოდში, ამის, და ბევრი სხვა მტკივნეული საკითხის შესახებ, ცოტა ქვემოთ ვისაუბროთ. მანამდე კი ვიტყვი, რომ დღეს ეს ადამიანები მართლაც რომ დააკლდნენ მიუმეც პარლამენტს, რომელსაც შეუდარებლად მშვიდ და სტაბილურ ვითარებაში უხდება მუშაობა და არა იმ ქაოსით მოცულ წლებში, როცა აღარც ღმერთის ესმოდათ, აღარც ერის და აღარც ბერის... არადა, „კვირის პალიტრის“ დღევანდელი სტუმრები რომ აშკარად გადასწონიდნენ დღევანდელ პარლამენტში დადებული ბალანსის ნახევარზე მეტს; ამაზე, ვფიქრობ, პოლიტიკაში კარგად გათვითცნობიერებული და პოლიტიკოსების შერჩევა-გარჩევის უნარის მქონე ადამიანებიც დამეთანხმებიან. სხვა საქმეა, თუ რატომ დარჩა „ქარტია-91“ თამაშგარე მდგომარეობაში...*

**თედო პაატაშვილი**: არჩევნებში ჩვენი



წარუმატებლობის მიზეზი გახლდათ ის, რომ გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიაში, რომელშიც შედიოდა ქარტია, ტრადიციულმა პიროვნულმა ამბიციებმა იჩინა თავი, რაც ღუპავს კიდეც ხშირ შემთხვევაში ქართულ პოლიტიკას. ამიტომაც დავტოვეთ იგი და დღეს „ქარტია-91“ საზოგადოებრივი ორგანიზაციის რანგში ფუნქციონირებს. რაც შეეხება რესპუბლიკურ პარტიას, იმთავითვე ნათელი იყო, რომ მას დიდი დღე არ ეწერა და საბოლოოდ რა შედეგიც მიიღო ამ ორგანიზაციამ, ყველამ ვნახეთ... მიგვაჩნია, რომ დღეს საზოგადოებრივი ორგანიზაციიდან წამოსულ აზრს, იდეას უფრო პირუთვნელად აღიქვამს მოსახლეობა, პოლიტიკურ პრეტენზიათა არარსებობის გამო, ვიდრე პოლიტიკური პარტიისას. ამიტომ, ამ სტატუსით ვარსებობთ.

— და იქნებ, ამ კუთხით შეაფასოთ პრეზიდენტ შევარდნაძის ინიციატივა საყოველთაო შერიგების შესახებ. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ მისი განხორციელება?

— შევარდნაძის ეს ინიციატივა შემთხვევითი არ არის და ორგანულად ესადაგება აფხაზეთიდან რუსეთის ჯარის გაყვანის, მშვიდობიანი კავკასიის იდეის რეალიზაციის საქმეს. თუმცა, ვერც ერთი მხრიდან მე შერიგების დიდ ენთუზიაზმს ვერ ვხედავ. ამ პოლიტიკას სული სხვა ადამიანებმა უნდა შთაბერონ ხელისუფლების მხრიდან, რადგან კომუნისტური და კომკავშირული „ბაგაჟით“ დატვირთულ ხალხს სხვა წარმოდგენა აქვს ეროვნულობაზე, სამშობლოსა და პატრიოტიზმზე, იმავე რუსეთთან ურთიერთობებზე. ამიტომ საჭიროა „სისხლის გადასხმა“, აღარაფერს ვამბობ კორუფციის კატასტროფულ მასშტაბებზე... სჯობს, პრეზიდენტმა ცოტა „სუფთა“ ხალხი მოიყვანოს ხელისუფლებაში და მათზე დაყრდნობით წაიყვანოს სასიცოცხლო მნიშვნელობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის კურსი, ამას კი რეალური ნაბიჯების გადადგმა უნდა და არა ის, რომ პრეზიდენტის ამ ინიციატივიდან რამდენიმე დღის შემდეგ ტელევიზიით გამოდის პეტრე მამრაძე და რაღაც საშინელებებს ამბობს ეროვნულ მოძრაობასა და ე.წ. პროვინციულ ფაშიზმთან დაკავშირებით. ველარ გავიგე, თვითონ პეტრეა დაბნეული თუ სპეციალურად კეთდება ეს? არადა, პეტრე მამრაძე რომ პრეზიდენტის სახელით ლაპარაკობს, ამას დიდი მიხვედრა არ სჭირდება.

— ზვიადისტებიც კატეგორიულად მოითხოვენ ამათ გადადგომას, ფაქტობრივად, ინიციატივა ინიციატივად რჩება და მეტი არაფერი...

— აქ ელემენტარული რეალიზმის გრძნობაა დაკარგული. რომელი ხელისუფლება გადადგება თავისი ნებით, მით უმეტეს, რომ გადატრიალების შემდეგ მეორედ ჩატარდა არჩევნები? თუ როგორი გაყალბება მოხდა არჩევნების შედეგებისა, ეს სხვა საქმეა, მაგრამ ფაქტია, რომ ხალხი მივიდა არჩევნებზე და ამით ლეგიტიმაცია მისცა ხელისუფლებას. ამიტომ, როცა გადადგომას ითხოვენ, ეს მხოლოდ განაწყენებული ადამიანების პოზიციაა...

— ასეა თუ ისე, უამრავ ადამიანთან შეხვედრისას ვრწმუნდები, რომ ერთგვარი მონანიების პროცესის ნიშნები მაინც არის. თქვენ თუ გეუფლებათ ამგვარი გრძნობა?

— გაცილებით მეტად, რადგან ზვიადთან სხვა ურთიერთობა მქონდა, ჯერ კიდევ 1987 წლიდან, როცა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ წევრი ვიყავი... მე ზვიადის ხელისუფლების „სამზარეულოსთანაც“ მიმიწვდებოდა ხელი, მაგრამ რაც არ უნდა დააბრალოთ მას, ერთი ცხადია: იგი იყო თხემით ტერფამდე ქართველი, ნაციონალისტი და ამ სიტყვაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, კაცი, რომელსაც უზომოდ უყვარდა სამშობლო. აშკარად ჰქონდა შეცდომები, მაგრამ ზვიად გამსახურდია ისტორიაში შევა, როგორც პირველი ქართველი პრეზიდენტი, რომელმაც პირველმა საბჭოთა კავშირში, რეფერენდუმზე დაყრდნობით შექმნა დამოუკიდებლობის აქტი, ჩაატარა მრავალპარტიული არჩევნები და დაამარცხა კომუნისტები (ზღაპარია, თითქოს კომუნისტებმა დაუთმეს არჩევნები)! და ბოლოს... მონამებრივი სიკვდილით აღესრულა მის დამამხობელ ხელისუფლებასთან ბრძოლაში.

ისტორია კი არ გაიხსენებს არც „კარვის ქალებს“, არც ზვიადის გამონათქვამებს, შესაძლოა, არც წვრილმან შეცდომებსაც! მისი უპირველესი ღირსება ის იყო, რომ ადამიანებს ჭანჭიკებად არ მიიჩნევდა. პრეზიდიუმის სხდომებს გადადებდა ხოლმე, როცა გაიგებდა, რომ ცხინვალში ქართველი მწყემსი მოიტაცეს, ან მოკლეს. საშინლად განიცდიდა... დეკემბერ-იანვარში ზვიადს იმდენი ძალა ჰქონდა, რომ შეეძლო გაენადგურებინა ოპოზიცია, მაგრამ უფრთხილდებოდა თანამემამულეთა სიცოცხლეს.

— რატომ ჩაუდექით ოპოზიციაში?

— ზვიადმა სხვა სტილით დაიწყო მუშაობა, გვერდში დაიყენა მართვადი ადამიანები. იყო შემთხვევები, როცა საზღვარგარეთ გვატანდნენ ისეთ ხალხს, რომლებიც ცენზორის როლს ასრულებდნენ. აქვე აღვნიშნავ, რომ ჩვენი ოპოზიციაში ჩადგომა, ძირითადად, პოლიტიკური მიზეზებით იყო გამოწვეული და არა პიროვნული სიმპათია-ანტიპათიით. ძალიან ცუდად წარიმართა 1991 წლის აგვისტოს პუტჩის შემდგომი პერიოდი. იგივე შეიძლება ითქვას გვარდიასთან დაკავშირებულ ამბებზე და ჩეჩნეთთან განხორციელებულ ნაადრევ პოლიტიკაზე, რამაც ჯერ კიდევ ძლიერი რუსეთის რისხვა გამოიწვია. ვფიქრობ, მოცდა სჯობდა მაშინ... როცა მთელი მსოფლიო სულისკანკალით მუშაობს სსრკ-ს დემონტაჟზე, რუსეთის ნგრევის ნაადრევ მცდელობას არ გაპატიებენ. იყო სხვა მიზეზებიც, იგივე ე.წ. სამტრედიის ბლოკადა და ა.შ. დიახ, ჩვენ პოლიტიკური ოპოზიცია ვიყავით, მაგრამ შეიარაღებული გადატრიალებისას მკაფიოდ გამოვხატეთ ჩვენი უარყოფითი პოზიცია იმ სისხლიანი ტრაგედიისადმი. სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა ამ სასაკლაოს თავიდან აცილება, ვანსაკუთრებით მას შემდეგ რაც ოპოზიციის მხარეზე რუსი გამოჩნდა... შემდეგ კი იყო დახვრეტები. თბილისში 2 თებერვალს მოვახერხეთ ტელევიზიით გამოსვლა და დავგმეთ ეს სისხლიანი აქციები... მეორე დღეს კი, ჩემს სახლსაც უკვე მესამედ ესროლეს!

— ე.წ. შეურიგებელი ზვიადისტები თქვენ ბრალს გდებენ იმაში, რომ შესანიშნავი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე იყო და, პრაქტიკულად, არაფერი გაუკეთებიაო...

— ჩემს კომისიას რომ არ ემუშავა, პაატაშვილის გადარჩევა არ გაუჭირდებოდა ზვიადის პარლამენტს. ეს იყო ერთადერთი საკითხი, რომელსაც უბრალო უმრავლესობა სჭირდებოდა და ზვიადმა თავის პარლამენტში ვერ გაიტანა. შემდეგ მე თვითონ გადავდექი. მანამდე კი, მოვამზადეთ ოფიციალური ვიზიტები პოლონეთში, გერმანიაში, სხვა ქვეყნებში. პრეზიდენტი ნიქსონი ჩამოვიყვანეთ თბილისში და, ფაქტობრივად, მზად იყო ზვიად გამსახურდიას ვიზიტის განხორციელება აშშ-ში. ორი მხრიდან, კონგრესის რესპუბლიკელი და დემოკრატი კონგრესმენების აქტიური ჩარევით, გამსახურდია შეხვდებოდა ჯერ აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტს, რა თქმა უნდა, არაოფიციალურ დონეზე და შემდეგ მას გაიცნობდა თავად პრეზიდენტიც. მეტის მიღწევა გორბაჩოვის სსრკ-ის პერიოდში შეუძლებელი იყო. აი, ეს გავაკეთეთ და შემდეგ ეს საქმე საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაულოცეს. სადაც ... აირია ყველაფერი და ვიზიტი ჩაიშალა. იყო ასეთი ფაქტიც, როცა მე ოფიციალური ვიზიტით 1991 წელს ვეწვიე ოსკარ ლაფონტენს. ჩავუტანეთ ე.წ. ნადავლი — გერმანული წიგნების ექვსი ტომი და ქართული მხარის მზადყოფნა დაგვებრუნებინა გერმანიისათვის მეორე მსოფლიო ომის დროს დაკარგული ჩვენთან არსებული ქონება. ეს იდეა ახლახან შევარდნაძემაც წამოსწია. პარალელურად, „წითელი ჯვრის“ ეგიდით, იმავე დღეებში საარის მხარეს ეწვია ჯანდაცვის მინისტრი მანანა ძოძუაშვილი... პრეზიდენტის წერილითურთ (!). სწორედ ამ წერილით გაახერხა რამდენიმეწუთიანი შეხვედრა ლაფონტენთან. გერმანელები მიხვდნენ, რომ ყველაფერი რიგზე არ გვქონდა და ფრთხილად მოეკიდნენ ჩვენთან ურთიერთობას...

— კვლავ დავუბრუნდეთ დღევანდელობას. დამეთანხმებით, რომ უაღრესად რთული და საინტერესო პროცესები მიმდინარეობს საქართველოს ირგვლივ, რეგიონში, ევროპაში, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური, და როგორ ფიქრობთ გამარჯვებული გამოვა საქართველო ამ დიდი პოლიტიკური თამაშიდან?

— დანაშაული იქნება, ეს რომ ასე არ მოხდეს. აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების შემდეგ ნატოში გაწევრების №1 კანდიდატები ბალტიისპირელები არიან, მაგრამ არ გამოვრიცხავთ, რომ მათ კავკასიამ დაასწროს. ევროპის სტრუქტურებში სრულფასოვანი გაერთიანება შეუძლებელია უსაფრთხოების მყარი გარანტიების გარეშე, ასეთი ერთადერთი გარანტი კი მთელ მსოფლიოში მხოლოდ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსია. ეს თქვა კიდევაც თბილისში ყოფნის დროს ხავიერ სოლანამ. უნდა განისაზღვროს რუსეთის როლი და ადგილი, მართლმადიდებლურ სამყაროს ლიდერი არა ჰყავს და სწორედ რუსეთმა უნდა იკისროს ეს მისია, სხვა ფუნქცია მას აღარა აქვს. და თუ არ დაანებებს თავს ჰეგემონისტური მიზნებისაკენ სწრაფვას, ძალზედ ცუდად დაამთავრებს. აუცილებლად უნდა დატოვონ რუსებმა აფხაზეთი და თუ საქართველო ოდნავ მაინც მზად არის თავის საშინაო პრობლემასთან პირისპირ დასარჩენად, რუსების გასვლას კარგის მეტი არაფერი მოჰყვება. შესაძლებელია მოხდეს რუსების ჩანაცვლება უკრაინელებით, მათ, ალბათ, ურჩევნიათ რუსეთთან დაპირისპირება სწორედ აფხაზეთში და არა, ვთქვათ, ყირიმში. საქართველოს თავიდანვე რომ პრინციპული პოლიტიკა გაეტარებინა რუსეთთან მიმართებაში, ბევრ უბედურებას ავცდებოდით...

და კიდევ, სახელმწიფოს მართვას 40-50 პატიოსანი და კომპეტენტური პირი უნდა და აუცილებელია ისეთი ადამიანების მოსვლა ხელისუფლებაში, რომლებიც სხვისი გაჭირვების ხარჯზე არ იკადრებენ გამდიდრებას. კვლავ და კვლავ პრეზიდენტის გადასაწყვეტია ეს საქმე და არასწორია მამრაძის განცხადება, რომ თურმე საქართველოში ამ ეტაპზე ამა თუ იმ მინისტრის შემცვლელი არ მოიძებნება. 2,5 მილიარდი დოლარი ვალი აქვს ქვეყანას! მისი ნახევარიც რომ მოხმარებოდა საქმეს, ასეთ მდგომარეობაში ვიქნებოდით? სამწუხაროდ, კორუმპირებულია ხელისუფლების ყველა შტო და სასაცილოა, რომ ერთმანეთში ეძებენ განტევების ვაცს.

**მერაბ ურიდია**: მე არ ვიმართლებ საკუთარ თავს იმ ამბებში, რაც ბოლო წლებში დაგვატყდა. ზვიად გამსახურდია ყოველთვის მიყვარდა. საქმე ის იყო, რომ მაშინ, ჩემი აზრით, ვამბობდი იმას, რას რა შეიძლება მოჰყოლოდა. ვეუბნებოდი, ნუ დააპატიმრებ გია ჭანტურიას, ნუ დასვამ აფრენილ თვითმფრინავს, რომელშიც ფრანსპრესის 10 კორესპონდენტია. ამავეს ვეუბნებოდი სხვა მოვლენებთან დაკავშირებით და ვთხოვდი, რომ როგორმე არ დაემკვიდრებინა „დიქტატორის“ იმიჯი, რასაც თვითონ ნამდვილად არ წარმოადგენდა.

როცა ნიქსონი ჩამოვიყვანეთ, გვირჩიეს ამერიკელებმა, ნელ-ნელა მივყოლოდით პრო-



ცესებს, იმპერიის დაშლას, მაგრამ ვერ ავუბით მხარი ამ რჩევას, რა გვექნა, რუსებიც ფიქრობდნენ და მოქმედებდნენ! დღესაც ფიქრობენ და მეშინია, რომ ბელორუსთან და სომხეთთან ერთად, ჩვენც არ გვაიძულონ ახალ ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვა. ამიტომაც ცდილობენ, ათასნაირი ხერხებით ჩვენს ჩათრევას და როგორც ვახტანგ გოგუაძემ ერთ თავის პუბლიკაციაში აღნიშნა, ქვეყნის პრეზიდენტი „სლალომის“ პოლიტიკოსია, ეს მართლაც ასეა. ასე რომ, ყველაფერია მოსალოდნელი. დსთ-ში ჩვენი შესვლის ფაქტიც ამის მაგალითია. ეს ბ-ნი შევარდნაძის ნიჭზე მეტყველებს. იგი, ჯერჯერობით, ყოველთვის ახერხებს თავისის გატანას.

— რას გულისხმობთ?

— შეიძლება ცუდად განვითარდეს მოვლენები, ზუსტად ისევე, როგორც დსთ-ში საქართველოს შესვლის წინა პერიოდში. კვლავ რუსეთის ძალადობას დაბრალდება ყველაფერი. ამის მიმანიშნებელი ინფორმაციები უკვე იპარება ნელ-ნელა პრესაში. არავინ იცის, მოიცლის თუ არა ასეთ შემთხვევაში ჩვენთვის დასავლეთი, რომელიც დღეს ის აღარ არის, რაც ჩვენი ბავშვობის დროს იყო. მას საკუთარი ინტერესები აქვს და, რაც მთავარია, მისი როგორც ერთიანი მთელის განხილვა, დღეს შეუძლებელია. სხვათა შორის, თავის დროზე ეს კარგად იცოდა ზვიად გამსახურდიამ, ჩვენზე მეტი იცოდა და მე ამაში ვრწმუნდები დღეს. როგორ ჭკვიანურადაც არ უნდა მოქცეულიყო, რუსი მაინც გაისვრიდა ტყვიას, მითუმეტეს, რომ პოლიტიკის საკითხები ხშირად „სამზარეულოს“ დონეზე და არა კოლხურ კოშკში წყდებოდა.

— გასაგებია, მაგრამ მომდევნო ხელისუფლებაში, სამხედრო საბჭოში ვინღა გადაწყვიტა აფხაზეთისა და საქართველოს დაღუპვის ბედი?

— სამხედრო საბჭომ ვერ გაიანგარიშა შედეგები, რაც აფხაზეთში ტანკებით შესვლას შეეძლო მოეტანა ჩვენთვის. ჯერ ერთი, მაშინ აფხაზეთთან იმდენად არ იყო სიტუაცია გამწვავებული, რომ მათთან საერთო ენის გამოძებნა შეუძლებელი ყოფილიყო, მეორეც, ცხადი იყო, საბოლოოდ ვის მხარეს დაიჭერდა რუსეთი, მე ვესწრებოდი ერთ-ერთ თათბირს საკმაოდ ვიწრო წრეში, სადაც ამ საკითხის ბედი წყდებოდა. შევარდნაძეს რაიმე მტკიცე წინადადება არ გამოუთქვამს, თუმცა ვერც იმას ვიტყვი, რომ იგი მხარს უჭერდა ამ გადაწყვეტილებას. შემდეგ ყველაფერი ამის გამართლება რკინიგზის დაცვის საბაბით დაიწყო. რამდენადაც ვიცი, ჯაბა იოსელიანი მაშინ წინააღმდეგი იყო ამ ავანტიურისა.

— როგორ ფიქრობთ, რა ბედი ელით ციხეში მყოფ გამსახურდიას მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს?

— საბოლოოდ რომ ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა, ცხადია. ჩემი აზრით, რა თქმა უნდა, თუ მოასწრო, შევარდნაძე თვითონ შეეცდება ამის გაკეთებას.

**ირაკლი მელაშვილი**: შერიგება



ყოველთვის მისასალმებელია, მით უმეტეს, საქართველოში, რომელსაც პოლიტიკური ბრძოლის ცივილიზებული ფორმები არ გააჩნია. შერიგება ევალება კიდეც დღევანდელ ხელისუფლებას. სხვა საქმეა, რამდენად არის შესაძლებელი, რადგან ორივე ბანაკში საკმარისზე მეტია ხალხი, რომლებისთვისაც პრინციპულად მიუღებელია ამგვარი შერიგება. ისე კი, როცა ჩვენს ცხოვრებაში ეროვნული ვალუტის შემოღების გარდა არც ერთი პოლიტიკური, ეკონომიკური რეფორმა არ განხორციელებულა და როცა მოსახლეობა მთავრობისაგან უკვე ბევრ რამეს ითხოვს, ხელისუფლებას სჭირდება ახალი იდეოლოგიური საფუძვლების მოძებნა. შევარდნაძის ინიციატივაც იმაზე მიუთითებს, იგი ცდილობს ახალი იდეოლოგიური მიმართულება მისცეს საკუთარ პოლიტიკურ კურსს. მაგრამ მე ამას სკეპტიკურად ვუყურებ. თუმცა შევარდნაძის გარდასახვის უნარიანობა, უბადლოა და არ გამიკვირდება, თუ იგი საქართველოს თუნდაც „დერჟავნიკული“ იდეოლოგიის მქადაგებლადაც მოგვევლინოს, თუკი საქმე მისი ძალაუფლების შენარჩუნების საკითხს შეეხება. მან იცის, რომ მოსახლეობაში უკმაყოფილება მატულობს და ცდილობს, ფართო მასებში დასაყრდენი შეიქმნას. ვფიქრობ, ეს ინიციატივაც ამის დამადასტურებელია.

— გამსახურდიასდროინდელი შეცდომების ანალოგიას თუ ხედავთ დღევანდელი ხელისუფლების საქმიანობაში?

— უამრავი ანალოგია. ბოლო მაგალითია კანონპროექტი ადგილობრივი არჩევნების შესახებ, ზუსტი ასლია 1991 წლის საარჩევნო კანონისა. მასში არჩევითობა მხოლოდ სოფლის, თემის დონეზეა დასული. რაიონის, ქალაქის დონეზე არჩევნები არ ხდება და მათ დანიშნავენ. პრეფექტის ინსტიტუტი სხვა კი არაფერი იყო. დღევანდელი დოკუმენტიც სწორედ იმ ხალხმა შექმნა, რომელიც თავის დროზე ყვიროდა, — პრეფექტის ინსტიტუტი ანტიდემოკრატიულიაო!

(გაგრძელება იხ. გვ. 21)

ih INTERNATIONAL HOUSE TBILISI
International House World Organization
გიწვევს სასწავლებლად დიდ ბრიტანეთში
1. ინგლისური ენის ინტენსიური სწავლების კურსები (ქალაქები — ლონდონი, ედინბურგი, კემბრიჯი, ოქსფორდი, ბირმინგემი, შეფილდი, ჰასტინგსი, მანჩესტერი).
- 2 კვირა -- მინიმალური ხანგრძლივობა.
- უმცროსი ჯგუფი --- ასაკი 12-დან 16 წლამდე, ივლისი, აგვისტო.
- უფროსი ჯგუფი --- ასაკი 16 წლის ზევით, წლის განმავლობაში.
2. კოლეჯი -- ყველა პროფილის, ასაკი 16 წლიდან.
3. უნივერსიტეტი -- American University in London
მისამართი: International House Tbilisi, 26 მაისის მოედანი 2,
ტელ.: 94-05-15, 36-01-79, 38-77-10

## კარდინალებმა უკან დაიხიეს

17 ივნისი. დღის თორმეტი საათი. რუსთაველის გამზირი №21... ხალხმრავლობა არავის გააკვირვებია. ედპ და ჟურნალისტები პარტიის შტაბიდან გამოსახლებას ელოდნენ. ეს არ მოხდა. შტაბ-ბინაში მთაწმინდის რაიონის სასამართლოს აღმასრულებელი ნოდარ კოჭლამაზაშვილი და ადმინისტრაციული პოლიციის უფროსი გივი მინდიაშვილი გამოცხადდნენ. აშკარა იყო, რომ ბრძანების შესრულება მაინცდამაინც არ სურდათ, ალბათ, ამიტომაც შეკითხვებზე კონკრეტული პასუხების გაცემა უჭირდათ. ამ დროს დარბაზში თეატრალური ინსტიტუტის ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსი ზურაბ ნაკაშიძე შემობრძანდა, — მას შენობა უნდა ჩაებარებინა. მხარეები მოსალაპარაკებლად ჩაიკეტნენ.

საათნახევრიანი ლოდინის შემდეგ, ქალბატონმა ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ სახელდახელო პრესკონფერენცია გამართა. მან შეთანხმების აქტი გაგვაცნო, სადაც ეწერა, რომ იმის გამო, რომ სასამართლოს აღმასრულებელს და პოლიციის წარმომადგენლებს ედპ-ს შტაბ-ბინაში დახვდა პარტიის ასობით წევრი და რამდენიმე ათეული ჟურნალისტი, აღმასრულებელი მოერიდა სიტუაციის გამწვავებას და შენობის გადაცემა თეატრალური ინსტიტუტისთვის გაურკვეველი ვადით გადადო. სარიშვილი-ჭანტურიას თქმით, ეს არ არის მნიშვნელოვანი, მნიშვნელოვანია ის, რომ ჟურნალისტთა აქტიურობა პარტიისთვის ერთგვარი დაზღვევის მექანიზმი გახდა.

შეიძლება ვინმემ თქვას, ამ საქმეზე ამდენის წერა რა ამბავია, მაგრამ გარწმუნებთ, რომ კონფლიქტი ედპ-სა და თეატრალურ ინსტიტუტს შორის 17 ივნისის შეთანხმებით არანაირად არ გადაწყდება და საქმის განვითარება მართლა შეიძლება გადაიზარდოს დიდ მასშტაბიან, გარკვეულ ძალთათვის სასურველ არეულობაში.

ჩვენ მომხდარზე კომენტარი ვთხოვეთ რამდენიმე პარლამენტარს. ბატონი **გიგა ლორთქიფანიძის** თქმით, — იგი ამ საქმეში არასოდეს გარეულა, რადგანაც პრობლემა სასამართლოს გადასაწყვეტია. საქართველოში უნდა შეწყდეს უკანონო შეჭრები, რომელიც გარკვეულ წლებში დაიწყო და კატასტროფული ხასიათი მიიღო. „ეს შენობა მართლაც ინსტიტუტს ეკუთვნის და, ალბათ, უნდა გამოიძებნოს ფართი, სადაც ედპ დაბინავდება. თეატრალურს უნდა დაუბრუნდეს თავისი შენობა... მე არავის ზურგს უკან არ ვდგავარ და არა მგონია, რომ ქალბატონი ლანა ღოღობერიძე და ბატონი ელდარ შენგელაია ამ საქმეში რაღაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ", — აღნიშნა ბატონმა გიგამ.

ედპ-სა და თეატრალურ ინსტიტუტს შორის ბოლო უთანხმოება პარტიის მიერ იჯარის საფასურის გადაუხდელობაა. პარლამენტი ფულს არ იძლევა, ალბათ, იმიტომ, რომ არც ედპ-ის და არც „სახალხოს" არ აწყენინოს.

ფრაქცია „აღორძინების" თავმჯდომარის, **ჯემალ გოგიტიძის** აზრით, ჯერ სასამართლომ უნდა დაადგინოს პარტიის სამართალმემკვიდრე, ისევე როგორც დავა შენობის თაობაზე. თუ დეპუტატთა რაოდენობის მიხედვით ვიმსჯელებთ, პარტიის გაყოფის შემდეგ პარლამენტში „სახალხო ფრაქციიდან" 21 დეპუტატია, ედპ-დან — 13. აქედან გამომდინარე, „სახალხოს" ინტერესები უფრო მაღლა დგას, მაგრამ თუ ედპ-ს მთლიანობაში აღვიქვამთ (რადგანაც „სახალხო" არჩევნების მერე გამოეყო), მაშინ პრიორიტეტი ედპ-ს მხარეს იქნება.

ამჯერად, მხოლოდ ერთს ვიტყვი, „კარდინალებს", ალბათ, ზემოდან დაახევინეს უკან, და შეუძლებელია არ ვივარაუდოთ, რომ დროებითი შეთანხმების ვარიანტი წინასწარ იყო მოფიქრებული. რაც შეეხება კვირაიას, როგორც ჩანს, მან დროებით დათმო პოზიცია. მაგრამ მხოლოდ დროებით, რადგანაც შეთანხმების აქტში გარკვევით წერია — ედპ-ს გამოსახლება გარკვეული ვადით გადაიდო.

*მათე კირვალიძე*

## ერბაქანის პოლიტიკა მიუღებელი გამოდგა თურქეთისათვის

საქართველო ისევე, როგორც ნებისმიერი სახელმწიფო, სტაბილური, დემოკრატიული მეზობლობის ყოლით არის დაინტერესებული. ამ მხრივ, ჩვენს მოსაზღვრე თურქეთში, ისლამური პრემიერ-მინისტრის, ნაჯმეთან ერბაქანის მოღვაწეობა ნამდვილად არ იყო სასიხარულო. ამიტომ მისასალმებელია, რომ თურქეთის საზოგადოებას ეყო ძალა, ქვეყანა ისლამიზაციისაკენ არ წაეყვანა და აიძულა ერბაქანი, გადამდგარიყო.

თურქეთი ჩვენი მოსაზღვრე ქვეყანაა. თურქეთ-საქართველოს საზღვარი სიგრძით მხოლოდ საქართველო-რუსეთის საზღვარს ჩამორჩება. ეს ქვეყანა დღეს ჩვენი უპირველესი სავაჭრო პარტნიორია. ჩვენი ქვეყნების საზღვარზე უკვე ორი გამსვლელი პუნქტია გახსნილი — ვალე და სარფი. თურქეთი მონაწილეობს რამდენიმე მსხვილი პროექტის განხორციელებაში, რომელთაგან უმთავრესია კასპიის ნავთობის ტრანსპორტირება. „საუკუნის პროექტის" ერთ-ერთი ვარიანტით, მილსადენმა საქართველოსა და თურქეთის გავლით, პორტ ჯეიხანით ხმელთაშუა ზღვას უნდა მიაღწიოს. პროექტირების სტადიაშია ახალქალაქი — ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი.

თურქეთი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მომხრეა. აფხაზეთის კონფლიქტში იგი გარკვეულად შუამავლობასაც გვთავაზობს. მიმდინარეობს საკანონმდებლო ბაზის შექმნა მომავალი ურთიერთობისათვის. მაისის თვეში თბილისს თურქეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსი ეწვია და სამხედრო სფეროში თანამშრომლობასაც ჩაეყარა საფუძველი. ყოველივე აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ჩამოყალიბება მყარ, დემოკრატიულ სახელმწიფოდ, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ გარემოებაზე, რომელშიც ჩვენ ვიცხოვრებთ. აქ კი ამინდის შექმნაში თურქეთის როლი ძალზე დიდია.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ საზღვრების გახსნამ და თავისუფალი ბიზნესის წარმოებამ ქართველებსა და თურქებს შორის ურთიერთსასარგებლო, მომგებიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ამან კი ორი ხალხის დაახლოება გამოიწვია. მიუხედავად ამისა, ქართველების ერთ ნაწილში ჩამოყალიბებულია თავისებური სტერეოტიპი, შიში თურქეთის მიმართ და ამ შიშს ჩვენი ისტორია ასაზრდოებს.

ოტომანთა იმპერია უკვე XV საუკუნის ბოლოდან იბრძოდა ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ. მისი აგრესია მხოლოდ XIX საუკუნეში იქნა საბოლოოდ მოგერიებული, რამაც ისტორიული საქართველოს ნაწილი დაგვაკარგვინა. დღეს, რასაკვირველია, თურქეთის მხრიდან საქართველოს მიმართ რაიმე აგრესიაზე ლაპარაკი ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული, მაგრამ თურქეთში ისლამისტური წრეების გაძლიერების შემთხვევაში, საქართველოს შეიძლება გარკვეული პრობლემები შეექმნას და, უპირველეს ყოვლისა, აჭარაში. თუმცა, გასული კვირის მოვლენები კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ თურქეთი ერთობლივ სტანდარტებთან მიახლოებული ქვეყანაა და ისლამის დოგმებს მისი სახელმწიფო სხეული ვერ შეეგუება.

მართლაც, თურქეთი უკვე 1949 წლიდან არის ნატოს წევრი, ხოლო დღეს უკვე მომწიფებულია საკითხი ამ ქვეყნის ევროსტრუქტურებში გაწევრებისა.

ასეთ სიტუაციაში ერბაქანის პიროვნება სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა. ამ პოსტზე არჩევისთანავე მისი პირველი ნაბიჯი ირანთან დაახლოება იყო. პრემიერ-მინისტრი თეირანს ჩავიდა და თავის ირანელ კოლეგასთან გაზსადენის 25 მილიარდიან პროექტს მოაწერა ხელი (ეს მაშინ, როდესაც ვაშინგტონი მკაცრად ითხოვს ირანის ანტიდემოკრატიული რეჟიმის ბლოკადას). ერბაქანი ამაზე შორს წავიდა. მისი ინიციატივით მოეწყო 7 მუსულმანური ქვეყნის სამიტი, რომლის მიზანი ახალი ისლამური კოალიციის შექმნა და აზიაში ჰეგემონობა იყო. ერბაქანი დასავლურ ფასეულობებს ყურანისათვის შეუფერებლად მიიჩნევდა და არც აშშ-ს აკლებდა კრიტიკას.

მისმა ასეთმა პოლიტიკამ მწვავე კრიტიკა გამოიწვია როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე დასავლეთში. დასავლეთმა ეჭვქვეშ დააყენა თურქეთისთვის კრედიტების გაცემა. მაგრამ საბოლოო სიტყვა მაინც თურქეთის არმიამ თქვა. იანიჩარების 700 ათასმა შთამომავალმა ულტიმატუმი წაუყენა ერბაქანს და ისიც დანებდა.

ერბაქანის გადადგომამ კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ თურქეთის „გაევროპულების" ტენდენცია, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში, ქემალ ათათურქის დროს დაიწყო, შეუქცევადია და ჩვენთვის მიუღებელი. პანთურქიზმის იდეების აღორძინებას ამ ქვეყანაში არავითარი პერსპექტივა არ გააჩნია.

*არჩილ გურული*

## მის საქართველო

მის მსოფლიო, მის ევროპა, მის აზია — ოკეანეთის კონკურსებში მონაწილეობისთვის „კავკასიის ვარსკვლავმა" ჩაატარა სილამაზის კონკურსი „მის საქართველო-97". ფილარმონიის დიდი დარბაზი მონაწილეთა ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს ველარ იტევდა. 32 ლამაზმანი, როგორც მათ საღამოს წამყვანმა უწოდა, ერთმანეთს დედოფლობას ეცილებოდა. ჟიურის თავმჯდომარეობდა ქალბატონი ნანი ბრეგვაძე. ჟიურის შემადგენლობაში ჩვენი მოსკოველი თანამემამულე, ასოციაცია „XXI საუკუნის" პრეზიდენტი ანზორ კიკალიშვილიც გახლდათ. როგორც ამბობენ, იგი ღონისძიების ერთ-ერთი დამფინანსებელი იყო, ოღონდ, ინკოგნიტოდ.



32 ლამაზმანიდან პირველ ტურში 12 გოგონა გავიდა. გამარჯვებულთა გამოცხადებას დარბაზის არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. იყო ადგილიდან წამოძახილები, — „ჩაწყობილია!", მაგრამ ჟიურის კომპეტენციაში სერიოზული ეჭვი არავის შეპარვია. 12 მომხიბვლელი გოგონადან საფინალოდ 6 უნდა გამოერჩიათ. ქალბატონი ნანის გადაწყვეტილებით, ეს რიცხვი ერთით გაიზარდა.

როგორც იქნა, დადგა წუთი, როცა „მის საქართველოს" ვინაობას შეიტყობდა დარბაზი. გეგმით გათვალისწინებული იყო „მისი" და „ვიცე-მისი", მაგრამ ჟიურიმ დაარღვია წესდება და ორი „ვიცე-მისი" გამოაცხადა. მეორე „ვიცე-მისად" — ნინო ცქიტიშვილი. დარბაზმა ეს გადაწყვეტილება უსამართლოდ მიიჩნია, — მეტს იმსახურებდაო. პირველი „ვიცე-მისის" წოდება თიკო ფაცაციას მიანიჭეს. დარბაზი გაირინდა... „მის საქართველო-97"-ის ტიტული თამრიკო მამულაშვილმა მოიპოვა. 16 წლის გურჯაანის გიმნაზიის მოწაფის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. „დედოფალი" სახელმწიფო ანსამბლ „გურჯაანის" მოცეკვავეა. მისი მიზანია, გახდეს ცნობილი ქორეოგრაფი და მანეკენი. თამრიკო ესპანეთში გაემგზავრება დასასვენებლად. თანხის რაოდენობა, რომელიც გამარჯვებულს გადასცეს, არ გამოუცხადებიათ, — ყოველ შემთხვევაში, დასასვენებლად ეყოფაო. მეტად სარწმუნო წყაროდან ჩვენ ამ თანხის რაოდენობა შევიტყვეთ — 2000 ლარი, რომელიც „მის საქართველოს" „გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა" გადაურიცხა, ოღონდ გაუგებარია, რა იყო აქ დასამალი.

დარბაზი დაცარიელდა. „მის საქართველო" დიდხანს პოზირობდა ფოტოკამერების წინ.

*ანი ცაბაძე*

## პრეზიდენტის კარის ეკლესია

იქ, სადაც ახლა კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაა, ადრე ვენახები იყო და, რასაკვირველია, ხალხიც ცხოვრობდა; ხალხი, რომელიც თავის დროზე ბერიამ სამეგრელოდან ჩამოასახლა. სამთავრობო რეზიდენცია ორი სექტორისგან შედგება. პირველში ოთხი სახლი დგას. ერთ-ერთი — ქართული ხუროთმოძღვრული სტილითაა ნაგები და ბერიასდროინდელია; იგი პირველ სახლად მოიხსენიება და შიგ მხოლოდ პრეზიდენტები ათევენ ღამეს. მეორე სახლი, რომელშიც პრეზიდენტი 6 მარტის მერე რამდენიმე თვე ცხოვრობდა, ევროპული, სტანდარტული ტიპის შენობაა. იგი 1993 წელს გაარემონტეს. მესამე სახლი განაპირას, შავნაბადას მახლობლად დგას და შორიდან კოშკს მოგაგონებთ. იგი ნაცრისფერია და, ასე ვთქვათ, მეორეხარისხოვანი სტუმრებისთვისაა განკუთვნილი; მეხუთე, ცისფერი, ნახევრად ქართული, ნახევრად ევროპული სტილისაა. ამ სასახლეში გაეროს მისია ცხოვრობს და ტკბება ხელოვნურ ტბაში მოცურავე გედების ცქერით. ამავე სექტორში შენდება მეექვსე სახლი.

არა, პრეზიდენტი არც ერთ მათგანში არ ცხოვრობს. იგი, მეუღლესთან ერთად, მეორე სექტორში თეთრად შეფეთქილ ორსართულიან, ფინურ-ქართული იერის განცალკევებულ სახლშია დაბინავებული. სწორედ ამ სახლის გვერდით პრეზიდენტმა ახლახან ეკლესიის მშენებლობა დაიწყო. აღსანიშნავია, რომ ამ უბანში, თავის დროზე, ეკლესიაც იყო და ბერების სამყოფელიც. ჟამთა სვლამ საყდარი საცხოვრებელ სახლად აქცია, ძველი ტაძრიდან ახლამდე 100 მეტრზე მეტი არ იქნება...

*საკუთარი ინფორმაცია*


**თბილისის საინჟინრო-ჰუმანიტარული ინსტიტუტი**

**აცხადებს**

აბიტურიენტთა მიღებას 1997-98 სასწავლო წლისათვის. დღისა და დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:

1. სამართალმცოდნეობა — იურიდიული
2. ქართული ენა და ლიტერატურა
3. ისტორია
4. ჟურნალისტიკა (ტელე-რადიოჟურნალისტი)
5. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა
6. საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი
7. ფინანსები და კრედიტები
8. საფინანსო მეურნეობის ორგანიზაცია და მართვა
9. საბანკო საქმე
10. აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკა და მართვა
11. მათემატიკა (ინჟინერ-მათემატიკოსი)
12. უცხოური ენები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, თურქული, არაბული და იტალიური)
13. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა
14. სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა-ფსიქოლოგია და დეფექტოლოგია

გათვალისწინებულია მოწინავე სტუდენტების სტაჟირება საზღვარგარეთ.

სწავლება ფასიანია. საბუთები მიიღება ყოველდღე (გარდა კვირისა) 10-17 სთ-დე

მის.: თბილისი, დოდო აბაშიძის (ყოფილი მეჩნიკოვის) ქუჩა №4, 37-ე საშუალო სკოლა, მეტრო „მარჯანიშვილთან".

ტელ.: 95-27-07; 38-00-83; 62-65-07; 51-67-67



**შ.პ.ს «ჩიხურა» გთავაზობთ**

რკინის კარების, გისოსების, ჟალუზების დამზადებას

მის: ქავთარაძის ქ. №8, ინტურისტების ფარეხი, 30-21-70 (საამქრო)



**თბილისის ქიმიისა და კვების ტექნოლოგიის ინსტიტუტი**

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1997-98 სასწავლო წლისათვის დღისა და დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:

**1. პურის, მაკარონის, საკონდიტრო წარმოების ტექნოლოგია;**

**2. სამადუღრე (ლუდის და უალკოჰოლო სასმელების, სპირტისა და ლიქიორ-არყის) წარმოების ტექნოლოგია და მეღვინეობა.**

ინსტიტუტში ჩარიცხვა მოხდება ტესტური გამოცდის შედეგად, რომელიც ჩატარდება მათემატიკასა და ქიმიაში. საბუთების მიღება და გამოცდა-გასაუბრება იწარმოებს ორ ეტაპად:

პირველი ეტაპი – საბუთების მიღება 25 ივნისიდან 20 ივლისამდე, გამოცდები 21 ივლისიდან 24 ივლისამდე. მეორე ეტაპი – საბუთების მიღება 25 ივლისიდან 30 აგვისტომდე, გამოცდები 1 სექტემბრიდან 5 სექტემბრამდე.

ს წ ა ვ ლ ა ფ ა ს ი ა ნ ი ა

დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ: თბილისი, უშანგი ჩხეიძის ქ. №8 (მეტრო „მარჯანიშვილი", ტრ. №1, ავტ. №20), პირველი სართული, ოთახები №132, 133

ტელ.: 95-30-67

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხმამაღალ სიტყვას გონივრული საქმე მირჩევნია...

**— ბატონო ედუარდ, თბილისში ჩამოსულს უამრავი სიახლე დამხვდა და ყოველ მათგანს შეიძლება სენსაციური ვუწოდოთ. პირველ რიგში, თბილისური პეიზაჟის ახალ დეტალზე — „ივერიასთან" აღმართულ დავით აღმაშენებლის ძეგლზე მინდა გკითხოთ. ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფოს დამაარსებლის ცხენზე ამხედრებული ფიგურა ლტოლვილებით სავსე, სახედაკარგული სასტუმროს ფონზე... არ გაშფოთებთ სიმბოლოების ასეთი მონტაჟი — წარსულის დიდება და ახლანდელი უმძიმესი მდგომარეობა?**

— მე სხვაგვარად აღვიქვამ. სასტუმროს დროებითი ბინადრებისათვის, ყველა ჩვენთაგანისათვის ეს ქვეყნის ერთიანობის აღდგენის, მშვიდობის მისაღწევად მოთმინების გამოჩენის მოწოდებაა, დავით აღმაშენებელი ხომ სახელმწიფოს ეროვნული და რელიგიური ტოლერანტობის საწყისებზე დაყრდნობით აშენებდა.

**— ვშიშობ, რომ უძველესი თუ უახლესი ისტორიის ცოდნა ნაკლებად უწყობს ხელს მოთმენის უნარს. ალბათ, პირიქითაც კია. თუნდაც ასეთი რამ ვთქვათ — ჩეჩნეთის დელეგაციებმა მოუხშირეს თბილისში სტუმრობას, ცოტა ხნის წინ კი მასხადოვმა საქართველოში თავისი პირადი წარმომადგენელი დანიშნა...**

— პანკისის ხეობაში დიდი ხანია ჩეჩნები ცხოვრობენ, მასხადოვის წარმომადგენელი იქაურია, საქართველოს მოქალაქეა. რაც შეეხება ჩეჩენთა დელეგაციებს — სტუმარი ღვთისაა.

**— ჩეჩნებმა რომ აფხაზ სეპარატისტებს დაუჭირეს მხარი, გაგრის „გმირი" — მასხადოვის მთავრობაში რომ მეორე კაცია, ეს დაივიწყეთ?**

— არა, ისევე, როგორც რუსეთს არ დავიწყებია გროზნოს ნანგრევები და ბუდიონოვსკის ტრაგედია. მაგრამ რეალურ პოლიტიკაში მარტო წარსულით თუ იცხოვრებ, შეიძლება მომავალიც დაივიწყო. განა რუსეთმა მშვიდობის გულისთვის არ გადაწყვიტა ჩეჩნეთთან მოლაპარაკება? მაშ საქართველო რატომ უნდა გაამტყუნონ თავის ისტორიულ მეზობლებთან კავშირის გამო?

არც ის მინდა დაივიწყოთ, რომ ვიდრე არსებობს აფხაზეთის პრობლემა, ჩვენ არ შევწყვეტთ მისი გადაჭრის ყველანაირ, თუნდაც არასტანდარტული გზების ძიებას. ამ თვალსაზრისით უნდა შეხედოთ ჩვენს „პროჩეჩნურ" სტუმართმოყვარეობას.

**— ალბათ, ამ თვალსაზრისით უნდა შევხედოთ ერთ სენსაციურ ახალ ამბავსაც. როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, თურმე თქვენ ზოგჯერ ვლადისლავ არძინბას ტელეფონით ესაუბრებით ხოლმე. უხერხული რომ არ იყოს, გკითხავდით — რაზე? სხვა რამეც მინდა გკითხოთ — თქვენს სატელეფონო საუბრებში ხომ არ გაისმის ხოლმე აფხაზეთში დაღუპულთა ხმები?**

— მათი ხმა რომ მესმის, სწორედ იმიტომ მივდივარ ამ კონტაქტზე. გაუცხოების, შეურიგებლობის, შურისძიების პოლიტიკა დაღუპულთა ხსოვნის ცუდი ძეგლი იქნებოდა.

**— საქართველოში ბევრი არ დაგეთანხმებათ. მაგალითად, დივერსიული ჯგუფის „თეთრი ლეგიონის" ბოევიკები. მითხრეს, ბევრ მათგანს იარაღასხმულს სძინავს, მუდამ მზად არიან დაღუპული ახლობლებისა და წართმეული მიწისთვის შურისსაძიებლადო. აფხაზეთში ახალი ომის გაჩაღებას ზოგიერთი საინფორმაციო საშუალება თითქმის გადაწყვეტილ საქმედ მიიჩნევს.**

— როგორც ჩანს, ვიღაცას ძალიან უნდა, სასურველი — სინამდვილედ გაასაღოს. მაგალითად, ამტკიცებენ, რომ ქართული პარტიზანული ჯგუფები აფხაზეთში საქართველოს ხელისუფლების შექმნილია და სახელმწიფო სტრუქტურების ბაზაზე არსებობს. ეს ტყუილია. არ მჯერა პარტიზანობისა და არც მხარს ვუჭერ, ჩვენს პირობებში მან შეიძლება მხოლოდ ზიანი მიაყენოს აფხაზეთის საკითხის მოგვარებას, მაგრამ ძნელი შესაკავებელია უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი სასოწარკვეთილი ხალხი.

ახალი ომი კატასტროფას ნიშნავს აფხაზეთისა და მთელი საქართველოსთვის. რაც არ უნდა მოხდეს, საქართველო ომს არ დაიწყებს, თუ, რა თქმა უნდა, ვინმემ პროვოცირება არ მოაწყო, როგორც 1992 წლის აგვისტოში. რაც შეეხება შეიარაღებულ ძალებს, ჩვენ მათ სახელმწიფოთაშორისო შეთანხმების საფუძველზე, რუსეთის დახმარებით ვაშენებთ...

**— რასაც უკავშირდება საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების არსებობა. 30 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აფხაზეთში სამშვიდობო ძალების ყოფნის პირობების შესახებ, ალბათ, ხელს ვერ შეუწყობს ქართულ-რუსული პარტნიორობის განმტკიცებას. ამის თაობაზე მოსკოვმა განაცხადა, რომ პოლიტიკური შანტაჟის პირობებში რუსეთის სამშვიდობო ძალები დაკისრებული მისიის შესრულებას ვერ შეძლებენ.**

— პოლიტიკაში ხმამაღალ ნათქვამს, გონივრულად გააზრებულ ნაბიჯს ვამჯობინებ. ვინ უწყობს რუსეთს შანტაჟს? მისი სტრატეგიული პარტნიორი თუ სეპარატისტული რეჟიმი, რომელიც, თავისი არსებობით კრიჭაში უდგას ერთიან რუსეთს?

მათი პასუხი უზუსტოა. ისეთი „წვრილმანიც" გამოტოვებულია, როგორიც არის მოსკოვში მიღებული გადაწყვეტილება უშიშროების ზონის გაფართოებისა და 31 ივლისამდე ლტოლვილების დაბრუნების თაობაზე. ეს გადაწყვეტილება კი დსთ-ის ქვეყნების მეთაურთა საბჭოს მიერ იყო მიღებული რუსეთის პრეზიდენტის თავმჯდომარეობით.

საკმარისია დსთ-ის ქვეყნების 28 მარტის გადაწყვეტილება შესრულდეს, რომ სამშვიდობო ძალები დარჩნენ აფხაზეთში თავიანთი მისიის უფრო წარმატებით შესასრულებლად.



**— რუსეთის ჯარების წასვლის შემთხვევაში აფხაზეთის ფორმირებები ენგურის ნაპირებისკენ წაიწევენ და მაშინ საკმარისია ერთი ნაპერწკალი, რომ ისევ აბრიალდეს ხანძარი. თქვენ გამორიცხავთ ასეთ ვარიანტს?**

— კონფლიქტის კონსერვაცია იმ მეთოდებით, რომლებსაც ამჟამად აფხაზები იყენებენ, რეგიონში მშვიდობის გარანტიას ვერ იძლევა. სამშვიდობო ძალების არსებული „ტექნოლოგია" არ უნდა ემსახურებოდეს აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური წმენდისა და გენოციდის შედეგების გამტკიცებას.

თუ ერთი „ტექნოლოგია" ხელს ვერ უწყობს კონფლიქტის მოგვარებასა და ლტოლვილთა დაბრუნებას, სხვა საშუალებებია მოსაძებნი. მე გამოვთქვი საერთაშორისო კონფერენციის გამართვის აზრი, რომლის ორგანიზატორი რუსეთი იქნებოდა და თავის ტერიტორიაზე მოაწყობდა. ასეთი კონფერენცია, თავისთავად, უკვე სამხედრო მოქმედების განახლების გზაზე შექმნილი წინაღობა გახდებოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ მის უზარმაზარ სამშვიდობო პოტენციალზე.

**— ამასობაში კი, რუსეთში ცდილობენ ქართულ-აფხაზური პოზიციების დაახლოებას. თქვენ საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვთ?**

— რაკი მოლაპარაკება მიდის, ე.ი. მომხრე ვარ. მოწესრიგების ყველანაირ ვარიანტს მივიღებ ერთი პირობით: საქართველოს, როგორც ერთიანი სახელმწიფოს აღდგენა და შენარჩუნება, რა თქმა უნდა, შეთანხმების მტკიცე გარანტიების დაცვით. მაგრამ შეთანხმებები იმდენჯერ არ შესრულდა, რომ ხალხს მისი რწმენა დაეკარგა. და მაინც, ეჭვების, თუ გნებავთ, ამდენი ტყუილის მიუხედავად, გვინდა გვჯეროდეს, რომ მოლაპარაკებები ისეთი გადაწყვეტილებით დასრულდება, რომლებიც ორივე მხარეს, კავკასიის ხალხებსა და რუსეთს ხელს აძლევს. მე პოზიტიური შედეგის იმედი მაქვს. მით უმეტეს, რომ აფხაზი ლიდერების პოზიციაში უფრო კონსტრუქციული მიდგომის ელემენტები ჩნდება.

**— აფხაზეთის საკითხის მოგვარებაში დიდ ინტერესს იწვევს კავკასიის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რამდენიმე ახალი იდეა — ეს არის ყარაბაღში დასავლელი სამშვიდობო ძალების შეყვანა, ეუთოს მსგავსი საერთო კავკასიური საკონსულტაციო-საკოორდინაციო ორგანოსა და კავკასიის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის შექმნა. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?**

— თავის დროზე ბევრი ვეცადე, რათა აფხაზეთში გაეროს სამშვიდობო ძალები შესულიყვნენ, არ გამოვიდა. კონფლიქტის დამთავრების ჟამს დსთ-ის ეგიდით, რუსეთის სამშვიდობო ძალები შევიდნენ. ამიერკავკასიაში „ცისფერი ჩაფხუტიანების" გამოჩენა უბრალო საქმე არ არის, მაგრამ ჩვენს დროში შეუძლებელი არაფერია. ბოსნიაში ხომ განხორციელდა კოლექტიური სამშვიდობო ოპერაცია. ყურადღებას იმსახურებს მ. უდუგოვის წინადადებაც უსაფრთხოების რეგიონული სტრუქტურის შექმნაზე. ჩემი აზრით, პერსპექტიულია, აგრეთვე, კავკასიის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის შექმნა, რომელსაც მხარი დაუჭირა ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარემ ზ. ჟვანიამ. ამ წინადადებათა განხორციელების გზაზე ბევრი სიძნელეა მოსალოდნელი, მაგრამ ორივე იდეა კარგად ერწყმის ჩვენს კონცეფციას „მშვიდობიანი კავკასიისთვის".

**— ამ კავკასიურ ეუთოში რა ადგილი შეიძლება მიეკუთვნოს რუსეთს? სად იქნება — მის „შიგნით" თუ „გარეთ?" ხომ არ მოხდება ისე, რომ ახალი იდეები რუსეთის გვერდის ავლითა და კავკასიაში მისი ინტერესების შელახვით განხორციელდება, რაშიც თქვენ გადანაშაულებთ ზოგიერთი რუსი კრიტიკოსი? თავის დროზე ისიც კი დაიწერა, რომ ჯოხარ დუდაევთან გქონდათ კონტაქტი.**

— ჯ. დუდაევს 1993 წელს ბაქოში ვიზიტის დროს შევხვდი, მოულოდნელად. როგორც მან თქვა, იქ სპეციალურად ჩემთან შესახვედრად ჩამოფრინდა. მასთან საუბარზე უარი არ მითქვამს. საკმაოდ მწვავედ ვისაუბრეთ კავკასიის ხალხთა თანამშრომლობაზე. მას არაორდინარული, მაგრამ იმ მომენტისათვის განუხორციელებელი იდეები ჰქონდა და პირდაპირ ვუთხარი ამის შესახებ. აფხაზეთში ომი იყო, ჩეჩნები სეპარატისტთა დამრტყმელ ძალას წარმოადგენდნენ, სოხუმს რუსეთის თვითმფრინავები ბომბავდნენ, გუდაუთაში რუსული იარაღით დატვირთული ეშელონები მიდიოდა, მინისტრი გრაჩოვი აფხაზეთში ორი დივიზიის შეყვანის წინადადებას იძლეოდა, გენშტაბის უფროსი კოლესნიკოვი რფ უმაღლეს საბჭოს აიმედებდა, სოხუმის აღება რამდენიმე დღის საქმეაო, გენშტაბის ოფიცრები ჩვენს წინააღმდეგ მიმართულ ოპერაციებს გეგმავდნენ.

ოდესმე დაწვრილებით მოვყვები ჯ. დუდაევთან შეხვედრის დეტალებს... მაშინ ორივენი საკუთარ აზრზე დავრჩით.

*თ. მამალაძე*

*იბეჭდება შემოკლებით*

*იზვესტია №111*

# ვინ არის საქართველოში ყველაზე მდიდარი?

„ნოიან თაფანის" საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა შედეგი გაზეთ „ივერია-ექსპრესის" მიერ თბილისის მოსახლეობაში ჩატარებული საინტერესო გამოკითხვის თემაზე — **„ვინ არის საქართველოში ყველაზე მდიდარი?"** თბილისელებმა ქვეყნის ყველაზე მდიდარ ადამიანად მიიჩნიეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **ასლან აბაშიძე**. მდიდართა ათეულში მეორე ადგილზე დასახელებულია ცნობილი ქართველი მოქანდაკე **ზურაბ წერეთელი**. მესამეა ქვეყნის სახელმწიფო მინისტრი **ნიკო ლეკიშვილი**, მას მიყვება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი **კახა თარგამაძე**, მეხუთე ადგილი მდიდართა სიაში სახელმწიფო უშიშროების მინისტრს, **შოთა კვირაიას** უჭირავს. შემდეგია თბილისის ქალაქის პოლიციის ყოფილი უფროსი **დემურ მიქაძე**; რა თქმა უნდა, ამ სიაშია უშიშროების სამინისტროს ყოფილი შეფი **იგორ გიორგაძე**. როგორც ჩანს, თბილისელთა აზრით, ამჟამინდელი თუ ყოფილი ოფიციალური პირნი დიდ ქონებას ფლობენ; ხოლო საქართველოს პრეზიდენტს **ედუარდ შევარდნაძეს**, მდიდართა სიაში თბილისელებმა მე-18 ადგილი მიუჩინეს.

*პრავდა-5 №85*

# მირეი მატიეს ქართული კერძები მოსწონს



ცნობილი ფრანგი მომღერალი მირეი მატიე, მოსკოვში, გასტროლებზე ყოფნისას, სასტუმრო „ნაციონალში" დაბინავდა. მადამ მატიე ქართული კერძებით დაინტერესდა.

მასპინძლობის პატივი ერგო არჩილ გომიაშვილის „ოქროს ოსტაპს". ფრანგი სტუმრისა და მისი 19 მხლებლისათვის საგანგებოდ მორთეს „თეთრი დარბაზი". კრემლის ყრილობათა სასახლეში გამართული კონცერტის შემდეგ „ოქროს ოსტაპში" მომღერალი მილიციის კორტეჟმა თეთრი ლიმუზინით მიაცილა. რესტორანში შესულ მადამ მატიეს მიესალმა ქართული კვარტეტი ქართული მელოდიით. მომღერალი აღაფრთოვანა ამ სცენამ, წამდაუწუმ კარგად დაზეპირებულ „ბოლშოი სპასიბას" იმეორებდა. მომღერალმა გვერდით მოისვა თავისი დირიჟორი და იმპრესარიო. ფრანგი ჟურნალისტებიც შემოუსხდნენ სუფრას. სტუმრებს უკვირდათ რუსულ-ქართული სტუმარ-მასპინძლობა. მადამ მატიეს ისე მოეწონა წითელი „ხვანჭკარა", რომ მისი თხოვნით, სუფრაზე ბოთლები ჩამომწკრივდა. ოფიციანტებს უჭირდათ დაცვის რკალის გარღვევა და მომსახურება. სტუმარი კმაყოფილი დარჩა ქართული კერძებით, განსაკუთრებით ხაჭაპური ეგემრიელა. ბოლოს, სტუმარს კვლავ მოასმენინეს ქართული სიმღერები. ვახშამმა გვიან ღამემდე გასტანა.

*მოსკოვსკი კომსომოლეცი №105*

მადრიდში, ივნისის ბოლოს, პირველად შეხვდებიან ერთმანეთს ქართველი და ესპანელი საქმიანი წრეები. ესპანეთის ეკონომიკის სამინისტროს ინიციატივით, სემინარი მიეძღვნება საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას და საინვესტიციო პოტენციალს.

საქართველო დაინტერესებულია ესპანეთთან ერთობლივი პროექტის შექმნით (პირველ რიგში, მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქტების წარმოებაში, სოფლის მეურნეობასა და ტურიზმში).

*არგუმენტი ი ფაკტი №25*

# მზადდება ქართულ-აფხაზური შეთანხმება

აფხაზეთის ხელისუფლება მზად არის საქართველოსთან რუსეთ-ჩეჩნეთის ხელშეკრულების მსგავსი სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობა დაამყაროს. არძინბას თქმით, საქართველოს პრეზიდენტისათვის ეს ხელშეკრულება მიუღებელია. ის ამტკიცებს, რომ ომის დროს შევარდნაძე რუსეთის სამხედრო ჩინოსნებს მოუწოდებდა, ებრძოლათ ჩეჩენი სეპარატისტების წინააღმდეგ და შემდეგ დახმარებოდნენ საქართველოს აფხაზეთის საკითხის მოგვარებაში. დღეს ჩეჩნეთისა და აფხაზეთის პრობლემები ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდება: ჩეჩნეთი იბრძვის რუსეთის შემადგენლობიდან გამოსასვლელად, ხოლო აფხაზეთი — რუსეთის შემადგენლობაში შესვლას ოცნებობს. განსხვავება ისიც არის, რომ მოსკოვმა გროზნოსთან სამშვიდობო და ეკონომიკურ შეთანხმებას მოაწერა ხელი და დღეს ჩეჩნეთს აფინანსებს, ხოლო საქართველო ყველაფერს აკეთებს აფხაზი ხალხის შიმშილით ამოსაწყვეტად. საქართველოს პრეზიდენტმა პოზიტიურად აღიქვა ინგუშეთის პრეზიდენტის ინიციატივა, ბორის ელცინის თავმჯდომარეობითა და კავკასიის სახელმწიფოთა მონაწილეობით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების თაობაზე. აფხაზთა ლიდერმა „ნეზავისიმაია გაზეტას" კორესპონდენტს აუწყა, რომ ქართულ-აფხაზური საკითხის განხილვა გაჭიანურდა, მაგრამ მალე მივაღწევთ კომპრომისსო. აფხაზეთის სტატუსის საკითხი არ განხილულა, „ჩვენ ვმსჯელობთ, თუ როგორ შეიძლება ორ სახელმწიფოს შორის აღდგეს სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობა და ერთობლივად როგორ ავაშენოთ ახალი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. არძინბას თქმით, კავკასიაში კონფლიქტური სიტუაციები ყოველთვის იყო, ბევრი სისხლიც დაღვრილა. ახალი სისხლისღვრაც არ არის გამორიცხული. ამავე დროს, არსებობს მშვიდობიანი კავკასიის შექმნის სურვილიც. სხვათა შორის, კავკასიაში ინტეგრაცია ყოველთვის არსებობდა. „პირადად მე მხარს ვუჭერ საერთო-კავკასიური ორგანიზაციის შექმნის იდეას", — აცხადებს არძინბა. რაც შეეხება კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ჯარების გაყვანას, ეს სრულიად მიუღებელია აფხაზეთისათვის, საქართველოსათვის და რუსეთის ფედერაციისათვისაც. კავკასიაში განსახორციელებელი მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროექტები რეგიონის სტაბილურობას მოითხოვს. „ამიტომ სამშვიდობო ჯარები აფხაზეთში უნდა დარჩეს კონფლიქტის საბოლოო მოგვარებამდე", — აცხადებს აფხაზეთის ლიდერი.

*ნეზავისიმაია გაზეტა №107*

# რა ღირს ასი გრამი „კიკაბიძე"?

თბილისის მაღაზიების დახლებზე ძეხვის ახალი სახეობა გამოჩნდა, სახელად „კიკაბიძე". ვახტანგი გეგონათ? ვახტანგ კიკაბიძესთან მას საერთო არაფერი აქვს, — ამ პროდუქციას მომღერლის მოგვარე უშვებს. ეს სიურპრიზი ვახტანგ კიკაბიძემ მშვიდად, აუღელვებლად მიიღო და იხუმრა, — ახლა იტყვიან, კიკაბიძემ ძეხვის დამზადება დაიწყოო. ნეტავ, მართლა მქონდეს ამისი ნიჭი.

*კომსომოლსკაია პრავდა №108*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ურუსეთო კავკასია და არა ურუსო კავკასია

*ინფორმაციისთვის: ფრაქცია „აფხაზეთის" წევრები 20 ივნისს დაღესტანში, მახაჩკალაში, გაემგზავრნენ, სადაც უნდა ჩამოყალიბდეს კავკასიის პარლამენტის დამფუძნებელი ჯგუფი.*

*ნუ გამოვალთ ახლა მაინც ყვავების როლში, ნუ ვიჩხავლებთ, რომ აქედანაც არაფერი გამოვა.*

**ბორის კაკუბავა:** კავკასიის პარლამენტში 11 რესპუბლიკა უნდა გაერთიანდეს. მათგან ყველა ქვეყნის ხელისუფლება, ჩეჩნეთის გარდა, რუსეთის მიერ არის დასმული. რა თქმა უნდა, რუსეთი სწორედ მათი მეშვეობით შეეცდება კავკასიაში მიმდინარე პროცესების მართვას. ამის პირველი ნიშანი უკვე არის. ეს იდეა მოიწონეს შევარდნაძემ, ქვანიამ, ალიევმა, ტერპეტროსიანმა. ეს იდეა საუკუნეებიდან მოდის, ყველა დროის პოლიტიკოსი ოცნებობდა კავკასიის გაერთიანებაზე და თუ ხელისუფლება ამ ინიციატივას ხელში აიღებს, მას ამის იურიდიული უფლებაც აქვს კიდეც, მაგრამ ეს იქნება დსთ-ის მსგავსი საპარლამენტო ასამბლეა, იგივე სირკ და სხვა არაფერი. ჩვენ კი ვქმნით არასამთავრობო სტრუქტურას. ის უნდა იყოს რუსეთისადმი რადიკალურად განწყობილ პარლამენტთა პარლამენტი, რომლის მიზანი იქნება: კავკასია ურუსეთოდ. ჩვენი ხელისუფლება კი სწორედ ამ დროს რუსეთს სთავაზობს ამ პარლამენტში მონაწილეობას. გეკითხებით, რას ნიშნავს ეს? ჩვენ ვამბობთ, რომ კავკასიის პარლამენტი უნდა იყოს რუსეთის წინააღმდეგ მიმართული პარლამენტი და რა უნდა ამ პარლამენტში რუსეთს?

**გერმანე ფაცაცია:** ჩვენსა და შევარდნაძეს შორის ერთი განსხვავებაა: ჩვენ გვინდა ურუსეთო კავკასია, მას კი კავკასიაში ისევ რუსეთის შეყვანა სურს. ოღონდ, ნუ აურევთ ერთმანეთში, ურუსეთო კავკასია და არა ურუსო კავკასია.

***დილის გაზეთი №118***

## ლარის სტაბილურობას საფრთხე დაემუქრა

ახლო წარსულისდროინდელი და ასე პოპულარული „ლარის სტაბილურობა", რომლითაც ასე თავს იწონებდა ჩვენი ხელისუფლება, დღეს ეროვნული ვალუტის მამამთავრის ნოდარ ჯავახიშვილის თქმით, სერიოზულ პრობლემებს განიცდის. საქმე ისაა, რომ საქართველოში საგრძნობლად იმატა დოლარისა და სხვა უცხოური ვალუტის ბრუნვის ტემპმა, თანაც ეს ბრუნვა არ ფიქსირდება საგადასახადო სამსახურის მიერ. მაგალითად, თურმე, თბილისის ავეჯის მაღაზიებში საქონელს, როგორც წესი, ფასი არ აწერია და რეალურად ის დოლარებში იყიდება. დოლარის „შემოღებას" ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ორი ტენდენციით ხსნის: ინვესტიციების მოზიდვა და ჰიპერინფლაციის დროს გაზიდული თანხების დაბრუნება. ლარის არასტაბილურობის მანიშნებელია ის ფაქტიც, რომ ფაქტიურად ბრუნვიდან გამოდის თეთრები (ერთთეთრიანები და ა.შ.). ამას წინათ, სახელმწიფოს შეუკვეთავს გარკვეული ოდენობის თეთრების მოჭრა (რაშიც, ცხადია, გარკვეული თანხა დაიხარჯა) და დღეს მანვე არ იცის, სად წაიღოს მიღებული თეთრების სოლიდური რაოდენობა.



გადაწყდა, რომ შეიქმნას მუდმივმოქმედი სახელმწიფო კომისია, რომელმაც, ჯავახიშვილის თქმით, პრაქტიკულად თავიდან უნდა დაიწყოს ლარის შემოღების დროს მიღებული ზომების გატარება.

***კაპიტალი №26***

## სკანდალი



*უშიშროების სამინისტრო ისმენდა გაზეთ „საქართველოს" მთავარი რედაქტორის სატელეფონო საუბრებს. 17 ივნისს, სამ საათზე დროებით საგამოძიებო კომისიაში მიწვეულ იქნა გაზეთ „საქართველოს" მთავარი რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი, რომელსაც აჩვენეს უშიშროების სამინისტროს ბლანკზე, რომელსაც სამინისტროს მაღალი ჩინების გვარები ამშვენებდა, მისი სატელეფონო საუბრების გაშიფრული ტექსტი და სთხოვეს, დაედასტურებინა ან უარეყო, ეს ტექსტი ნამდვილად იყო თუ არა მისი საუბრების ჩანაწერი.*

*ნოდარ გრიგალაშვილმა დაადასტურა, რომ ყოველი სიტყვა მართლაც მას ეკუთვნის:*

ძვირფასო მკითხველო, დღემდე მეგონა, რომ საქართველოს უშიშროების სამინისტრო იმისთვის არსებობდა, რომ საქართველოს უშიშროება დაეცვა.

ეთვალთვალა არძინბასთვის, ჩიბიროვისთვის, ძმათა მათთვის და საზოგადოდ, საქართველოს მტრებისთვის. ეს კაი დედმამიშვილები კი, ბიუჯეტის ფინანსებს, თურმე, იმისთვის იყენებდნენ, ჩემთვის რომ ესმინათ.

მეც კაი ვინმე ვარ. ტელეფონზე ისე კარგად მისაუბრია, გაშიფრულს რომ ნახავთ, მის წამკითხველს ეგონება, წინასწარ ვიცოდი, სუკი რომ ყოველ სიტყვას მიშიფრავდა. პირდაპირ ცრემლი მომადგა, ისე სახელმწიფოებრივად ვაზროვნებ იმ სატელეფონო დიალოგში.

***საქართველო №59***

## შოთა კვირაიას კარიერის აღსასრული?

პარლამენტის დროებითი საგამოძიებლო კომისიის მიერ მოპოვებული დოკუმენტები, რომლებიც ცხადყოფს, რომ უშიშროების სამინისტრო საიდუმლოდ ისმენდა გაზეთების მთავარ რედაქტორთა სატელეფონო საუბრებს, უეჭველად გამოიწვევს ღრმა კრიზისს ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში. პრეზიდენტი დადგა მისთვის ძალზე არასასურველი ალტერნატივის წინაშე: ერთი მხრივ, კვირაიას გადაყენება გარკვეულწილად შელახავს მის პრესტიჟს, ვინაიდან შოთა კვირაია აქამდე „მხედრიონისა" და იგორ გიორგაძის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ ორგანიზატორად ითვლებოდა. შეიქმნა სტერეოტიპი (შევარდნაძისათვის ძალზე საშიში), რომ ამ ხელისუფლებას გინდა უერთგულო, გინდა უმტრო — შედეგი მაინც ერთი იქნება; მეორე მხრივ, კვირაიას ხელისუფლებაში დატოვებაც შეუძლებელი ხდება. ეს კიდევ უფრო მეტად შელახავს პრეზიდენტის „იმიჯს" რომელიც დღენიადაგ ამტკიცებს: საქართველოში პრესა თავისუფალია და „სიტყვის თავისუფლებას" არაფერი ემუქრებაო.

თუ ფაქტი გამომზეურდა, ამას ნებისმიერ ქვეყანაში უნდა მოჰყვეს სკანდალი და უშიშროების ხელმძღვანელის გადადგომა. არადა, სრულიადაც არ არის გამორიცხული, გაზეთ „საქართველოს" რედაქტორის სატელეფონო საუბრების მოსმენა თავის დროზე უშიშროების სწორედ იმ თანამშრომელთა ინიციატივა ყოფილიყო, რომლებიც დღეს (კვირაიაზე დაბოღმილნი და განაწყენებულნი) საკუთარი ხელით შედგენილ დოკუმენტებს იყენებენ თავიანთი ყოფილი შეფის გასანადგურებლად.

***მერიდიანი №47***

## კონსტანტინე სალიას ქვრივს დასაფლავება არ აღირსეს

ბატონი გურამ შარაძე პარიზის ევროკავშირის კონფერენციაზე იმყოფებოდა. კონფერენციის მთავარი თემა იყო ემიგრანტები და მათი კავშირი სამშობლოსთან.

თბილისში დაბრუნებულმა ბატონმა გურამმა პრესკონფერენცია გამართა.

პრესკონფერენციაზე ბატონმა ფრიდონ ხალვაშმა კითხვით მიმართა ბატონ გურამს — ხომ არ გაჩნდა რაიმე ცნობა კალისტრატე სალიას მიერ დატოვებული არქივის შესახებ, რადგან სწორედ მასთან ინახებოდა გრიგოლ რობაქიძის არქივის საუკეთესო ნაწილი, რომლის საქართველოში გადმოგზავნა ბატონმა კალისტრატემ ვერ შეძლო საბჭოური რეჟიმის გამო. ამ კითხვაზე პასუხმა ბევრი რამე გამოააშკარავა, კერძოდ, გურამ შარაძე დიდხანს ყოყმანობდა საზოგადოებისათვის გაეცნო თუ არა ის პიროვნება, რომელმაც იკისრა მოხუცი ნინო სალიას მეურვეობა, უსინდისოდ გაიტაცა კალისტრატე სალიას თანხა ბანკიდან, გაყიდა ქალბატონ ნინოს სახლი და ისიც კი არ აღირსა საბრალო მოხუც ქალბატონს, შეესრულებინა ანდერძი — დაესაფლავებინათ მეუღლის გვერდით საქართველოში. მისი ფერფლი საფრანგეთის ერთ-ერთ კრემატორიუმშია გადამალული. უსინდისო მეურვე, რომლის ვინაობის გამხელასაც ერიდებოდა ბატონი გურამი, შალვა თაყაიშვილი აღმოჩნდა, რომელსაც ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილი აქვს საქართველოსთან და თავის მოქმედებას არსებული ხელისუფლებისადმი ანტიპათიური განწყობილებით ხსნის. თუ უახლოეს მომავალში ქართველი ემიგრანტი ვერ მოეგება გონს და ანდერძს მაინც არ შეასრულებს, გურამ შარაძე საერთაშორისო სასამართლოს წესით დასვამს მის წინააღმდეგ საკითხს.

***ჯორჯიან თაიმსი №32***

## კითხვა-პასუხი



***ჩვენი გაზეთის მკითხველებს უპასუხებენ თბილისის საგზაო პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე როლანდ ნაჭყებია და ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების უფროსი, სახელმწიფო ინსპექტორი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი დემურ ცხოვრებაძე.***

— სად გადაირიცხება მანქანის ტექნიკური დათვალიერების თანხები და რა საქმეს ხმარდება იგი?

ზ. ბ.

— მიმდინარე წლის 20 მაისიდან საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებულებით, ტექნიკური მომსახურების ფასი (50 თეთრი) გაუქმებულია. მოქალაქე იხდის მხოლოდ საგზაო ფონდის გადასახადს, რომელიც მთლიანად საგზაო სამინისტროს მიაქვს. მსუბუქი ავტომანქანისათვის, თითოეულ ცხენისძალაზე 20 ცენტია გადასახადი. ავტობუსზე (12 ადგილის ჩათვლით) 50 ცენტი. 13 ადგილიდან 30 ადგილის ჩათვლით 1 დოლარის ეკვივალენტი, 30 ადგილზე მეტი — 2 დოლარის ეკვივალენტი. სატვირთო ავტომანქანებისთვის 10 ტონამდე ტვირთამწეობით — 1 დოლარი, 11-დან 20 ტონამდე — 1,5 დოლარი, 21-დან 40 ტონამდე — 2 დოლარის ეკვივალენტი, 40-ზე მეტი — 3 დოლარის ეკვივალენტი.

— რამდენი ჯდება, მაგალითად, „გაზ-24-ის" მარკის ავტომანქანის ტექნიკური დათვალიერება? „ამ სიამოვნებაში" ქალაქ რუსთავში 70 ლარი გადამახდევინეს. შეესაბამება თუ არა ეს თანხა ოფიციალურ გადასახადს?

ნ.გ.

— საერთოდ, ავტომანქანის ტექნიკური დათვალიერება 40 ლარამდე ჯდება, მაგრამ შორიდან ამ ფაქტის ახსნა ძნელია, რადგან არ ვიცი, რა მომსახურება ჩაუტარდა ავტომანქანას დიაგნოსტიკისათვის. შეიძლება ამ შემთხვევაში მრავალმხრივი შემოწმება მოახდინეს.

— ავტომანქანის განახლებული ტექნიკური დათვალიერების შემთხვევაში, აუცილებელია თუ არა ძველი ნომრების გამოცვლა?

— ძველი, საბჭოთა ნომრების გამოცვლა აუცილებელია, ხოლო ახალი, ქართული ნომრების გამოცვლა უნდა მოხდეს მაშინ, როდესაც ავტომანქანას სხვა შეისყიდის.

— გაუქმდა თუ არა მძღოლთა კატეგორიები და საჭიროა თუ არა მათი ხელახალი კვალიფიკაცია?

ნოდარ დვალი

— მძღოლთა კატეგორიები კვლავ არსებობს ჩვეულებრივი წესით. ავტობუსის მართვის შემთხვევაში, მძღოლს უნდა ჰქონდეს „დ" კატეგორია, მოტოციკლეტისთვის — „ა" კატეგორია, მოყვარულ მძღოლს — „ვ" კატეგორია, სატვირთო ავტომანქანისას — „ვც" კატეგორია. ხელახალი კვალიფიკაცია დამოკიდებულია მძღოლის სურვილზე — დაეუფლოს ამა თუ იმ ტრანსპორტის მართვას.

— აქვს თუ არა ავტოინსპექტორს მოძრაობის წესების აშკარა დარღვევის გარეშე ავტომობილის გაჩერების უფლება? სად უნდა გაარკვიოს მძღოლმა სხვადასხვა სახის ჯარიმის რაოდენობა (რომელსაც ყველგან „ამრგვალებენ")?

ლაშა ლომიძე

— პირველ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია რამდენიმე მომენტი. წესდებით, აკრძალულია დარღვევის გარეშე ავტომანქანის გაჩერება, მაგრამ როდესაც ავტოინსპექტორი შეამჩნევს მანქანის ტექნიკურ გაუმართაობას, ანდა ეჭვი შეეპარება მძღოლის სიფხიზლეში, მაშინ უფლება აქვს, გააჩეროს ავტომანქანა. რაც შეეხება მეორე კითხვას, ნებისმიერ სპეციალურ გადასახდელ პუნქტში გამოკრულია ამონაწერი, დარღვევის კატეგორიების მიხედვით რა თანხა უნდა გადაიხადოს დაჯარიმებულმა. მინდა გითხრათ, რომ პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი, რომელიც უკვე გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში". ეს კანონი 1 ივლისიდან შედის ძალაში. ამ დადგენილებით, დარღვევის კატეგორიებს შორის ჯარიმის განსხვავება ძალიან უმნიშვნელოა და გაუგებრობა ნაკლებადაა მოსალოდნელი.

— აქვთ თუ არა უფლება ავტოინსპექტორებს, ავტომანქანის რიგითი დარღვევის შემთხვევაში, გამოეკიდონ მას?

რა კრიტერიუმებით განისაზღვრება ავტოინსპექტორების მიერ დაჯარიმების თანხა?

ირაკლი მიქაძე

— წესდების მიხედვით, მანქანის გაუჩერებლობის შემთხვევაში, საგზაო პოლიციელს აქვს გამოდევნების უფლება, მხოლოდ უსაფრთხოების წესების დაცვით. ხშირ შემთხვევაში, ბოლო დროს, გამოდევნებას არიდებენ თავს და რადიო-ტექნიკით აცნობებენ შემდეგ პუნქტს დარღვევის შესახებ. დაჯარიმების კრიტერიუმები დამოკიდებულია დარღვევის ხარისხზე. საგზაო ნიშნების მსუბუქი დარღვევის შემთხვევაში ადგილზე ხდება ქვითრის გამოწერა, მძღოლის არაფხიზელ, ან ნარკოტიკულ მდგომარეობაში ყოფნისას, ანდა ავარიის მძიმე შემთხვევაში, გადასახადი უფრო მაღალია და დაჯარიმება მოხდება დარღვევის ადგილის მიხედვით.

## მანანა არჩვაძის დღიურები ნამდვილი ყოფილა!

რამდენიმე ხნის წინ, რამდენიმე ქართულ გაზეთში გამოქვეყნდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის მეუღლის დღიურები, რომლებიც იმდენად გულისამრევი და საზიზღარია, რომ თავიდანვე ყველამ ისინი „КГБ-ს ნაყალბევად" მიიჩნია. თენგიზ სიგუამაც კი განაცხადა, დღიურები ნაყალბევი უნდა იყოსო. რატომღაც არავინ მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ მოსკოვში მცხოვრებმა არჩვაძემ არავითარი კომენტარი არ გააკეთა ამ „სიბინძურის" გამომზეურების გამო.

როგორც აღმოჩნდა, დღიურები რამდენიმე პიროვნებამ გადაიღო „ქსეროქსზე" და შემდგომ მიიტანა კვალიფიციურ ექსპერტებთან, რომელთაც მათი „ნაყალბევობა" უნდა დაედასტურებინათ, მაგრამ მოულოდნელად აღმოჩნდა (კალიგრაფიული შედარების ჩატარებისთანავე), რომ დღიურები მართლაც მანანა არჩვაძის ხელით იყო დაწერილი. ადამიანებმა, რომელთაც დღიურები ექსპერტთან მიიტანეს, ექსპერტის კეთილსინდისიერება არ ირწმუნეს და სხვა ექსპერტებთან წაიღეს დოკუმენტი, — იქაც იგივე შედეგი მიიღეს. მაშინ ჩათვალეს, რომ ყოველივე КГБ-ს მოწყობილი იყო, რომელმაც ყველა სპეციალისტი მოისყიდა და დღიურები წაიღეს საზღვარგარეთ (ჯერ ლიტვაში, შემდეგ ფინეთში) — შედეგი ყველგან ერთნაირი აღმოჩნდა. ექსპერტები ადარებდნენ დღიურის კალიგრაფიას მანანა არჩვაძის „ნამდვილ" ხელნაწერს (მის ერთ-ერთ წერილს, რომელიც თბილისში გამოგზავნა 1993 წელს) და უეჭველად ადასტურებდნენ ნაწერის იდენტურობას.

***მსგეფსი №7***

## ახალი ჭორი შევარდნაძის გარშემო

კვირიდან რედაქციაში ზარი არ წყდებოდა, მოქალაქეები კითხულობდნენ, მართალია თუ არა, რომ კრწანისის სამთავრობო რეზიდენციას პრეზიდენტმა პრივატიზაცია გაუკეთა და სურს იგი მოსწავლეთა სასახლეს გაუცვალოს. ორშაბათის რადიოინტერვიუში პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი რამ მიუღებელია მისთვის. მიუხედავად ამ განცხადებისა, დაუჯერებელი მოქალაქეები მაინც აწუხებდნენ რედაქციას და ჩვენ იძულებულნი გავხდით, პრეზიდენტის პრესცენტრისთვის მიგვემართა, სადაც დაგვიდასტურეს პრეზიდენტის ნათქვამი და აღნიშნეს, რომ ეს მორიგი თბილისური ჭორია. ასეა თუ ისე, ქვეყნის პრეზიდენტს მართლაც უნდა ჰქონდეს რეზიდენცია, ასეა ყველა ქვეყანაში მიღებული. ხოლო პრეზიდენტის კრწანისის დღევანდელი სამყოფელი ნამდვილად არ შეესაბამება ისეთ მაღალ სტანდარტებს, რომელსაც პრეზიდენტის რეზიდენცია უნდა ერქვას. დიახ, ქვეყნის პირველ პირს სჭირდება რეზიდენცია, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა პრივატიზებული. ხოლო რეზიდენციის პრივატიზება ჭორია.

***მანანა იაშვილი***
***საქართველო №58***

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დრონი მეფობენ...



კამბოჯის ყოფილი დიქტატორი პოლ პოტი, რომელიც 1979 წელს, მისი სისხლიანი რეჟიმის დამხობის შემდეგ, ორ ათას პარტიზანთან ერთად, სადღაც, ჯუნგლებში იმალებოდა, ეტყობა, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. კამბოჯის პრემიერ-მინისტრის ინფორმაციით, იგი პარტიზანთა უმრავლესობამ მიატოვა. 69 წლის სნეული ახლობლებთან ერთად ტაილანდის გავლით ჩინეთში გადასვლას აპირებდა, მაგრამ წითელმა ქხმერებმა თავიანთ ყოფილ მეთაურს ღალატი დასწამეს და გაქცევის საშუალება არ მისცეს. ტაილანდის სამხედრო ჩინოსნები მის დაკავებას აპირებენ. პოლ პოტმა პასუხი უნდა აგოს 2 მილიონი კამბოჯელის სიკვდილისთვის, რომლებიც მისი მმართველობის (1975-1979 წწ) დროს დაიღუპნენ.

*მოსკოვსკი კომსომოლეც №107*

## ჩუბაისმა ჰიტლერს აჯობა

შეიძლება ითქვას, რომ საპრივატიზაციოდ გამოყოფილი 108 ტრილიონი სეკვესტრი რუსეთის ხელისუფლებამ ქარს გაატანა. სახელმწიფო სექტორის მასშტაბური პრივატიზაციის ჩატარების შემდეგ, ქვეყნის ხაზინა, შევსების მაგივრად, უფრო დაცარიელდა. რატომ მოხდა ეს?

თუ გაზაფხულზე დანიშნული ვიცე-პრემიერი ჩუბაისი პასუხს არ აგებს ბიუჯეტის 97%-ზე, რომელიც, თურმე, მის გარეშე შემუშავდა და დამტკიცდა, მაშინ არც სახელმწიფო ხაზინის განიავების უფლება ჰქონდა.

პრივატიზაციის შემდგომ რუსეთის ეკონომიკური დანაკარგი დიდი სამამულო ომისდროინდელ ეკონომიკურ ზარალთან შედარებით 2,5-ჯერ მეტია. ჩუბაისმა აჯობა ჰიტლერს, თუმცა მის თავდასხმას მასობრივი მსხვერპლი არ მოჰყოლია.

კიდევ ერთი საკითხი წამოიჭრა: რა ვუყოთ „ზედმეტ ხალხს", რომელიც XX საუკუნის ბოლოს რუსეთში 50 მილიონზე მეტი აღმოჩნდა? გამოსავალი, ჯერჯერობით, ძალზე მარტივი მოინახა, — აშიმშილონ! ეკონომიკური პოლიტიკის დარგში სახელმწიფო დუმის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, ლისიჩკინის აზრით, „რუსეთის 500 უმსხვილესი საწარმოს 80% აუქციონზე გაიყიდა — თითოეული 8 მლნ დოლარზე ნაკლებად, სახელმწიფოს 1 ტრილიონი დოლარიც კი არ მიუღია, პრივატიზაციიდან მოგებამ ჰი 7,2 მლნ დოლარი შეადგინა, ანუ 150-ჯერ ნაკლები. ვინ დარჩა მოგებული?

ზოგიერთი მონაცემით, „ახალმა რუსებმა" პრივატიზაციით ხელი მოითბეს და მოპარული 60 მლრდ დოლარის საზღვარგარეთ გატანა მოასწრეს. ეს ვეებერთელა თანხა 1,5-ჯერ აღემატება წლევანდელ ბიუჯეტს. მაგრამ სად არის კიდევ 900 მლრდ-ზე მეტი დოლარი? ნუთუ, ასე უგზო-უკვლოდ გაქრა?"

იქნებ, პრივატიზაციის შედეგების გასარკვევად, კომისიების შექმნის მაგივრად, რუსეთის სპეცსამსახურმა მოჰკიდოს ხელი ამ „დანაშაულებრივი აქციის" შემსრულებელთა საქმის გამოძიებას.

*ანატოლი ბასოვი*
*იბეჭდება შემოკლებით*
*პრავდა-5 №73*

სენსაციას არც არავინ ელოდა. 75 წლის ფრანიო თუჯმანი კვლავ ხორვატიის პრეზიდენტია. ყოფილმა კომუნისტურმა ისტორიკოსმა, გენერალმა და დისიდენტმა, ხანდაზმულმა თუჯმანმა მებრძოლი ხასიათი შეინარჩუნა — ჯერ ოპოზიციას ებრძოდა, ახლა კუჭის კიბოს, რომელმაც შესაძლოა მისი ახალი პრეზიდენტობის ხუთწლიანი ვადა შეამციროს.



*ნეზავისიმაია გაზეტა №109*

## ამერიკაში

## ახალი 50 დოლარიანი ბანკნოტები შემოიღო

ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ ვაშინგტონსა და ნიუ-იორკს მიაწოდა ახალი ნიმუშის 50 დოლარიანი ბანკნოტები. ახალი ბანკნოტების გამოჩენა გამოწვეულია იმით, რომ ამერიკის ვალუტა არა მარტო მთელ მსოფლიოშია პოპულარული, არამედ ადვილად გასაყალბებელიცაა. მათი დიზაინი, ფაქტობრივად, 1929 წლიდან არ შეცვლილა, მათზე მხოლოდ 1990 წელს გამოჩნდა დამცველი ხაზი. 50 დოლარიანები ისევე, როგორც ასიანები, თავიანთი წინამორბედებისაგან დიდად განსხვავებული არ იქნება. ფერი და ზომა ისევე, როგორც პრეზიდენტ გრანტის გამოსახულება, იგივე დარჩება.

*იზვესტია №111*

### კვირის ფრაზა

*მოდით, იმ ადგილით ვიფიქროთ, რომელიც ამისთვისაა განკუთვნილი.*

*კონსტანტინ ბოროვოი, დუმის დეპუტატი*

### უკანასკნელ საათს

**ნიჟეგოროდის ოლქში,** რუსეთის ფედერალური ბირთვული ცენტრის („არზამას-16") ტერიტორიაზე, სერიოზული ინციდენტი მოხდა. საგანგებო შემთხვევის შედეგად ცენტრის ერთ-ერთმა თანამშრომელმა რადიოაქტიური დასხივება მიიღო, იგი ჰოსპიტალიზებულია. კომისია მომხდარს იკვლევს.

**რუსეთისა და უკრაინის** დელეგაციები ერთმანეთს შეხვდებიან რუსეთ-უკრაინის საზღვრების დელიმიტაციისა და აზოვის ზღვისა და ქერჩის სრუტის გაყოფის საკითხების გადასაჭრელად.

**ტულის** მახლობლად კატასტროფა განიცადა თვითმფრინავმა AH-2-მა. ბორტზე მყოფი ეკიპაჟის 7 წევრიდან 4 დაიღუპა, სამი მძიმედ დაშავდა.

**უმაღლესმა სასამართლომ** არ დააკმაყოფილა რფ-ის უშიშროების სამსახურის ყოფილი უფროსის ა. კორჟაკოვის სარჩელი. გენერალი პრეზიდენტისაგან ითხოვდა, უარეყო ბრალდებები, რომლებიც პრეზიდენტმა უსაფრთხოების სამსახურის ექსშეფის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის ბრძანებულებაში შეიტანა. „დიდ კაცთან პატარა კაცის" ამბავისა არ იყოს, სასამართლოს გადაწყვეტილებით, კორჟაკოვს აქეთ დაეკისრა 8 მლნ 36 ათასი რუბლის გადახდა.

პოლიგრაფიული მასალები

ტ:987-444




მაღალი ხარისხის უცხოური ოფსეტური საღებავები ბრიალის ფერი 1 კგ. ფასი — 16,9 ლარი

## დენვერში დაიწყო მსოფლიოს ლიდერთა შეხვედრა

ისედაც განკრალებულ დენვერს ორი ათასი მოხალისე აკოხტავებდა და ალამაზებდა — კოლორადოს შტატის დედაქალაქი მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოთა ლიდერებს ელოდა. რუსეთის პრეზიდენტი სამიტის მასპინძლის, ქლინთონისა და იაპონიის პრემიერის შემდეგ ჩავიდა.

მთავარი შეხვედრებისთვის ავეჯი სამი ჯიშის ხის მასალისგან დამზადდა, რომელიც ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზში დაიდგა. პროტოკოლის მიხედვით, მაგიდას მიუჯდება პლანეტის 8 უძლიერესი ადამიანი, ორი ევროკავშირელი დამკვირვებელი და თითოეული მათგანის თითო თანაშემწე. ისინი ტყავის სავარძლებში ჩაბრძანდებიან, რომლებიც პნევმატურად იმართება. სავარძლები 1 ტონიან დატვირთვაზე გამოსცადეს, ამიტომ სახელმწიფოს ლიდერთაგან ყველაზე „მძიმეწონიან" — ჰელმუტ კოლსაც კი შეეძლება სავარძელი ისე ატრიალოს, როგორც მოესურვება. ამა ქვეყნის ძლიერთა შეკრებაზე რუსეთი პირველად 1991 წელს მიიწვიეს. გორბაჩოვი ლონდონში სადილს დაესწრო, დიდი პროგრესია — 6 წლის შემდეგ ელცინიც მათთან ერთად ისადილებს, მაგრამ შემდეგ დაგვტოვეო, — ეტყვიან, რადგან შვიდეულის შეხვედრა — ეკონომიკური ფორუმია. კრიზისში მყოფ რუსეთთან ერთად მსოფლიოს ფინანსური პოლიტიკის განხილვას შვიდეული არ აპირებს. ელცინი, პროტოკოლით, სადილის შემდეგ დაისვენებს. დენვერში მოწვევის მისაღებად ელცინი დათანხმდა ჩეხეთის, პოლონეთისა და უნგრეთის ხარჯზე ნატოს გაფართოებას, მაგრამ დენვერში მოუწევს გერმანიისა და საფრანგეთის წინადადებების მოსმენა, რომელთაც სურთ, ეს სია რუმინეთითა და სლოვენიით შეივსოს.

*კომსომოლსკაია პრავდა №109*

## ჰონკონგი ჩინეთს გადაეცა



წლეულს, 30 ივნისს, შუაღამიდან, ჰონკონგი ბრიტანეთის კოლონია კი აღარ იქნება, არამედ ჩინეთის საკუთრება. ამერიკის სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაითმა განაცხადა, რომ საზეიმო ცერემონიალზე ჩავა, მაგრამ არ დაესწრება ჰონკონგის ახალი პარლამენტის მიერ ფიცის დადებას, რადგან ეს პარლამენტი დემოკრატიული გზით კი არ არის არჩეული, არამედ ჩინეთის ხელისუფლების მიერაა დანიშნული. ოლბრაითს შეუერთდა ბრიტანეთის პრემიერი ტონი ბლერი. დანარჩენები ჯერ ფიქრობენ, ვერ გადაუწყვეტიათ, რა უფრო მთავარია — ჩინეთთან ვაჭრობა თუ (ავსტრალიამ, მაგალითად, ბოიკოტზე უკვე უარი თქვა) დემოკრატია.

*კომერსანტი №22*

## თალიბები დამარცხდნენ

ავღანეთში მდგომარეობა მეტად დაძაბულია... სტრატეგიულ ქალაქებში — ჯაბუალ-უს-სასაჯსა და ფულიჰუმრიში ბრძოლები დასასრულს უახლოვდება და აშკარად ჩანს, რომ თალიბებმა წააგეს. ბოლო დროს თალიბების ხელმძღვანელობამ დიდი დანაკლისი განიცადა, — დაიღუპა რამდენიმე ლიდერი. მეომრების მორალურად მხარდასაჭერად, ყარდალანიდან ქაბულში ჩავიდა „თალიბანის" სულიერი ლიდერი მულა ომარი. მეთვალყურეების ცნობით, პაკისტანიდან ავღანეთში ყოველდღიურად ასობით თალიბი მიემართება. პუშტუნის თემის ბელადებმა „ნეზავისიმაია გაზეტას" კორესპონდენტებს განუცხადეს, რომ უკმაყოფილონი არიან თალიბების პოლიტიკით და მათ წინააღმდეგ ბრძოლას აპირებენ.

*მოსკოვსკაია პრავდა №68*

## სუკი ორმაგ აგენტებს ეძებს

რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის თავკაცი, გენერალი ნიკოლაი კოვალიოვი, ტელემაყურებელს მხვეწნელის როლით წარუდგა. გენერალი თხოვდა რუსეთის იმ მოქალაქეებს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის სადაზვერვო დავალებებს ასრულებენ, ორმაგი აგენტობა ეკისრათ. სამაგიეროდ, სთავაზობდა სოლიდურ საზღაურს და სრული ანონიმურობის გარანტიას ჰპირდებოდა. ტელეეკრანზე გამოჩნდა ტელეფონის ნომრები, რომლებზეც მათ შეეძლოთ დაერეკათ.

ასეთი რამ მსოფლიო შპიონაჟის ისტორიაში ჯერ არ მომხდარა. როგორც ჩანს, დღევანდელი სუკის სისტემაზე ქვეყნის დღევანდელმა მერყევმა მდგომარეობამ დიდი ზეგავლენა მოახდინა და ნგრევისა და ქაოსის პროცესშია.

ერთ-ერთი ჩინოსნის თქმით, ნახსენები ტელეფონის ნომრები, ჯერჯერობით, დუმს, მხოლოდ ხანდახან თუ აწკრიალდება — აბეზარი ჟურნალისტები ან ხუმარები რეკავენ.

*ნიუზუიქ, 16 ივნისი*

## ინგლისის პარლამენტში ქალების რაოდენობა გაიზარდა



ინგლისში ამას წინათ ჩატარებული საყოველთაო არჩევნების შემდეგ მისი პარლამენტი უფრო „ქალურად" გამოიყურება. ახლა მასში 119 მანდილოსანია (ეს რეკორდული რიცხვია ბრიტანეთის ისტორიაში). რეკორდად ალბათ, ისიც უნდა მივიჩნიოთ, რომ ერთდროულად ორი ტყუპი დები — ანჯელა და მარი იგლესები არიან პარლამენტში. ახალ პარლამენტში აღმოჩნდა აგრეთვე, დედა-შვილი — 57 წლის ენ კრაინერი და 33 წლის ჯონ კრაინერი.

*სანი*

## რუსეთი მიიწევს წინ — მაგრამ უკანა მიმართულებით

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ბონში წარადგინა სიღარიბის პრობლემისადმი მიძღვნილი უზარმაზარი გამოკვლევა, რომელშიც რუსეთზე თავის მოსაწონებელი არაფერია ნათქვამი. უკანასკნელ 50 წელიწადში მსოფლიოში სიღარიბის დონემ გაცილებით მეტად დაიწია, ვიდრე წინა 500 წელიწადში. მხოლოდ რუსეთი და საბჭოთა კავშირის ყოფილი სატელიტები მოძრაობენ ამ გზაზე უკანა მიმართულებით.

*სეგოდნია №122*

## პლანეტის მაჯისცემა



**დიდი ბრიტანეთის** ლეიბორისტული მთავრობა იხილავს ლონდონის მეტროს პრივატიზაციის გეგმას, თუმცა იმასაც ვარაუდობენ, რომ კერძო საკუთრებაში მხოლოდ მისი ნაწილი შეიძლება გადავიდეს. მსოფლიოში უხუცესი მიწისქვეშა ტრანსპორტის მოდერნიზაციას 1,2 მილიარდი ფუნტი სტერლინგი დასჭირდება. საინტერესოა, რომ როცა თებერვალში კონსერვატორები ალაპარაკდნენ მეტროს პრივატიზაციაზე, ლეიბორისტებმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს ისინი.

**შვედეთის დედაქალაქში** არსებობს პირომანთა ჯგუფი, რომელთაც არ სურთ, რომ 2004 წელს სტოკჰოლმში გაიმართოს ოლიმპიური თამაშები. ასეთია პოლიციის ვერსია, რომელიც სპორტულ ნაგებობათა დაწვის მთელ სერიასთან დაკავშირებით წარმოიშვა. ორი კვირის განმავლობაში პირომანთა ტერორისტული აქციების ობიექტი გახდა სტოკჰოლმის ყინულის სასახლე, ჩოგბურთის დახურული კორტები, სტადიონი. ხანძარი გაუჩნდა დიდ სპორტულ კლუბსაც, რომელიც 1932 წლიდან ამშვენებს დედაქალაქს. შვედეთის პრესის მტკიცებით, პირომანთა აქციებს სტოკჰოლმის კანდიდატურის დისკრედიტირების მიზნით, იტალიელი კონკურენტები გამოიყენებენ.

**თოთხმეტი უნივერსიტეტის** სამართლის საპატიო დოქტორი, მერი რობინსონი, რომელიც 1990 წელს ირლანდიის პრეზიდენტად იყო არჩეული, ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში გაეროს უმაღლეს კომისრად დანიშნეს.

**თურქეთის მთიან** გზაზე ტრანსპორტის მოძრაობა შეჩერდა, ასობით ადამიანი შეზარა იქ დატრიალებულმა ტრაგედიამ: საუდის არაბეთში მოსალოცად წასული ჩეჩნების ერთ-ერთი ავტობუსი კლდეს შეეჯახა, ექვსი მგზავრი ადგილზევე გარდაიცვალა, დასახიჩრებულთა რიცხვი 20-ს აღემატება.

პატრონობისთვის დიდად არ შეუწუხებია თავი თურქეთს, საავადმყოფოებში მათი განთავსებაც არ მოხერხდა, რადგან ეს დიდძალ თანხებს ითხოვდა.

# საიდუმლოებები ნელ-ნელა იხსნება

## (კვლავ სოლონიკის გარშემო)

მასზე არც წერა მობეზრდებათ, არც კითხვა...

ყოველთვის, როდესაც კი მომწევია დაუდგრომელი ქილერის, სოლონიკის შესახებ წერა, თან მდევდა უძლურების შეგრძნება — ძალზე ბევრი იყო საიდუმლო, და, არა მარტო ჩემთვის, სპეცსამსახურებსაც ბევრჯერ უმტვრევიათ თავი... მართლაც და, ვის აწყობდა ასეთი საშიში მკვლელის ასეთი შეუღწევადი ,,მატროსკაია ტიშინადან" გაპარება, საით წაიყვანეს, როგორ ცხოვრობდა ამის შემდეგ საშა მაკედონსკი? თავის სისხლიან ხელობას აგრძელებდა თუ დაცხრა? ბოლოს და ბოლოს, იგი მართლა მარტოხელა მგელი იყო, თუ რომელიმე ბანდის წევრი: ვის გადაელობა წინ და ვინ მოაშთო... რა კავშირი ჰქონდა მშვენიერ სვეტა კოტოვას სოლონიკთან?



ისევ მოსკოვის სამძებრო განყოფილებაში თუ მეტყვიან რამეს... ერთ-ერთ უფროს ოფიცერს ვიქტორს, რომლის არც გვარი და არც თანამდებობა არ მიკითხავს (სულერთია, არავინ მეტყოდა), გავესაუბრე.

### აგონია

ვიქტორიც გაფრენილა ათენში სოლონიკის ასაყვანად და თანამშრომლებთან ერთად ისიც თავლაფდასხმული დარჩენილა — მათი თვითმფრინავი ჯერ კიდევ ჰაერში იყო, სოლონიკს რომ თოკი წაუჭირეს ყელში... მეოთხე თვეა მოსვენებადაკარგული დადის, ვიდრე არ მოიოხებს გულს, შეკითხვას აზრი არა აქვს.

ვიქტორმა ხელი სტაცა ქაღალდს, ფანქარს და გამალებით დაიწყო მარტივი სქემის ხაზვა.

— აი, ვინ იცოდა ათენში ჩვენი გაფრენის შესახებ: უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა, საგარეო საქმეთა სამინისტრომ, გენპროკურატურამ და მესაზღვრეებმა. ყველა უწყებაში აბსოლუტურ საიდუმლო ინფორმაციას ორი-სამი კაცი ეცნობა... გამოდის, რომ რომელიღაც მათგანმა მაფიას მიჰყიდა საიდუმლოება, ეს ცხადზე ცხადია, კიდევ ერთხელ გვიღალატეს. შევეშვათ დელიკატურობას, ხაზგასმით ვამბობ — ყველა სახელმწიფო სტრუქტურა და მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროც გამოტენილია ჩამშვებებით.

კეთილი, ახლა სხვაზე ვთქვათ, შევთანხმდეთ, რომ ფანტაზიას თავს დავანებებთ... სოლონიკს თავის ნებაზე არასოდეს უსეირნია, იგი კურგანის დაჯგუფების ერთ-ერთი ბოევიკი იყო და ავტორიტეტების: ანდრეი კოლიგოვის, ვიტალი იგნატოვის და ოლეგ ნელიუბინის დავალებებს ასრულებდა. თანაც, არცთუ შეუცვლელი ბოევიკი, სოლონიკის მკვლელობის შემდეგაც კარგა გვარიანად ხოცეს კურგანელებმა ხალხი. ხომ გახსოვთ, რა თავშისაცემი საქმე გაგვიხადეს, — კოპტევოს დაჯგუფების ლიდერი ნაუმი პირდაპირ პეტროვკაზე, ლამის სამმართველოს ცხვირწინ რომ დაცხრილეს, არ დაგავიწყდეთ და, თურმე ნაუმს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცრაზმი ,,სატურნი" იცავდა...

ერთი სიტყვით, დიდი ნადირობის დრო დადგა. მე და ჩემს კოლეგებს ბრაზი გვახრჩობდა — მარტო სოლონიკთან სიტუაციებში რამდენჯერ დაგვასწრეს, რამდენჯერ გაგვაცურეს. კოლიგოვი ხომ გაგიგონია, ეს პახანი სოლონიკთან ათენში ბრძანდებოდა და მოსკოვშიც შეეგება.

**— გაქცევის შემდეგ იყო მოსკოვში?**

— დამაცადე, ჯერ კურგანელებზე ლაპარაკს მოვრჩე... ეს კოლიგოვი ავიყვანეთ, ეს საძმოს პირველი ზარი იყო. მეორე და უფრო ხმაურიანი, ნაუმის მკვლელობის შემდეგ გაისმა, ანალოგიური წარმატებული ოპერაცია არც მახსოვს, რამდენიმე დღეში 17 ბოევიკი დავაკავეთ, მთელი არსენალი ამოვიღეთ, ესენი ნამდვილი მკვლელები იყვნენ. კურგანის დაჯგუფებაა ერთადერთი, რომელიც ვიწრო სპეციალიზაციით — დაკვეთილი მკვლელობებით არის ცნობილი. საბოლოო ჯამში, დღესდღეობით ბანდა აგონიაშია. მხოლოდ ორნიღა დარჩნენ: იგნატოვი და ნელიუბინი, მაგათაც ავიყვანთ და ბასტა, დამთავრდება კურგანელების თარეში. მათგან დაკითხვებზე ხშირ-ხშირად ისმოდა სოლონიკის გვარი.

### ვარიანტი №2

მართლა გაიქცა სოლონიკი ციხიდან? ვიქტორი დარწმუნებულია, რომ გაქცევა კურგანელების მოწყობილია. მათმა ანალიტიკოსებმა ორი ვარიანტი გათვალეს. პირველი: ჩავარდნილი მოძმე ან ციხის საავადმყოფოდანვე (პეტროვსკო-რაზუმოვსკის ბაზრის წინ რომ სისხლის გუბე დააყენა, მაშინ დაიჭრა სოლონიკი) აართქლონ (მოკლან) ან იზოლატორიდან; მეორე: როგორმე დაიხსნან... პახანებს მხედველობიდან კინაღამ გამორჩათ, რომ დასუსტებულმა ქილერმა გამომძიებელ ციბულენკოსთან უკვე აღიარა მკვლელობები. ამას ისიც დაემატა, რომ მაკედონსკი მართლაც საქმის ,,დიდოსტატი" იყო, ხარჯს მალე ამოიღებდა, ითათბირეს და მხარი დაუჭირეს მეორე ვარიანტს.

ვიქტორმა დახარჯული თანხებიც დაასახელა: კურგანელებმა ტუსაღის გასათავისუფლებლად მილიონნახევარი დოლარი გაიღეს, იზოლატორიდან როცა დაიხსნეს, — მაშინ — 500 ათასი...

ამ ჭკუიდან შესარყევმა ციფრებმა დამარწმუნეს ვიქტორის ვერსიაში: ნაოპერაციევი, დასუსტებული სოლონიკი ვერ შესძლებდა ჯერ სახურავზე აძრომას და შემდეგ ალპინისტური თოკით დაბლა დაშვებას. იგივე მენშიკოვი (გახსოვთ, ალბათ, მასთან ერთად გაქცეული მცველი — სერჟანტი) შეთანხმების მიხედვით, მშვიდად გამოატარებდა ყველა პოსტს პირველამდე და იქ უკვე თავისუფლების კარები იღებოდა... ჩამოკონწიალებული ზონარი, საკანში მიმოფანტული კარაბინი და სხვა ნივთები თვალის ასახვევად იყო მხოლოდ... როგორც ჩანს, კარგად გათვალეს, ხომ ხედავთ, გამოძიებას დღემდე სჯერა ქილერი №1-ის ალპინისტური მონაცემების.

### მშვიდობით და გამარჯობა

გაქცევიდან სულ ცოტა ორი თვე, სოლონიკი და მენშიკოვი მოსკოვში იყვნენ — ხან ერთ, ხან მეორე კონსპირაციულ ბინაზე. როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, რაზუმოვსკის ბაზრის ,,ეპოპეიდან" დამძვრალი მონინი (სოლონიკის თანამონაწილე) რომელიღაც დაჯგუფების ბანდიტებმა ,,გაასაღეს" იმ დღეებში.

სოლონიკი 3 აგვისტოს საკუთარი გვარით ჩაფრინდა ათენში, 15-ში კი უკვე შვეიცარიაში იყო. მასთან ერთად იყო მენშიკოვიც, მაგრამ საბრალო სერჟანტს დიდხანს არ უბაირამია — სოლონიკისვე ცნობით, იგი ნოემბერში, ათენის გარეუბანში მოუკლავთ. ცხედარი დღესაც მიუგნებელია.

ბევრს მოგზაურობს მაკედონსკი: იტალია, სინგაპური, მალაიზია, ტაილანდი. ინტერპოლსაც ძალიან აინტერესებდა მისი ვიზიტების მიზნები და შედეგები, ვინ უწყის, რეები დაატრიალა...



მაგრამ გაქცეული ქილერი, რომელსაც, როგორც ირწმუნებიან, დღე და ღამე ეძებდნენ, ყველაზე ხშირად მაინც მოსკოვის სტუმარი იყო. როგორც წესი, იგი სრულ წესრიგშია, ჩამოდის ვალერი ვერეშჩაგინის სახელზე გაცემული საზღვარგარეთული პასპორტით, მოშვებული აქვს წვერი და ატარებს სქელმინიან, უდიოპტრიო სათვალეებს. ზოგჯერ ,,ვერეშჩაგინი" სასტუმრო ,,აეროპორტშიც" ათენ-ალამებს.

გაქცევიდან სულ რაღაც ექვს თვეში არაერთხელ მოინახულა მოსკოვი, ორენბურგი და ტიუმენი.

— თითოეულ მის ,,სტუმრობანას" მკვლელობების სერიალი აგვირგვინებდა, დიდი ორომტრიალი იწყებოდა: ავტორიტეტები და კომერსანტები იჟუჟებოდნენ. სულ ცოტა, თხუთმეტი კაცი გაუყენა საიქიოს გზას, და ეს ჯერ კიდევ არ არის სრული რიცხვი.

### ბოლო მსხვერპლი

მაისის დასაწყისში ათენის პოლიციამ ქალიშვილის აკუწულ გვამს მიაგნო. მალე დადგინდა, რომ ეს სვეტლანა კოტოვა იყო. კონკურსის ,,მის როსიას" პრიზიორი და მოსკოვის სააგენტოს RED STARS-ის მანეკენი.

ვიქტორი სვეტლანას ფერად ფოტოს მიჩვენებს — უსიტყვოდ მივჩერებივარ მუქმწვანე თვალებს — მშვენიერების გარდა ეს ფოტო ახლა დაუცველობას, მიმნდობლობასა და სიმორცხვეს ამჟღავნებს.

— ბოლოს, 25 იანვარს, კოტოვა საერთაშორისო გამოფენაზე ,,კონსუმექსპოზე" გამოდიოდა, იტალიურ ფეხსაცმელს აჩვენებდა. მალევე ითხოვა ერთკვირიანი შვებულება — მეგობარი მეპატიჟება საკუთარ ვილაშიო. დედა და მამინაცვალი ამბობენ, ყოველდღე გვირეკავდა და ბოლოს, 30 იანვარს გველაპარაკაო. 31-ში, როგორც იცი, სოლონიკი მოკლეს. ამის შემდეგ სვეტლანასთანაც გაწყდა კავშირი, არც ვილის გარშემო მცხოვრებლებს მოუკრავთ მისთვის თვალი.

**— როგორ გაიცნეს ერთმანეთი?**

— რომ გითხრა, ფაქტები ვიცი-მეთქი, არ არის მართალი, მაგრამ მაინც ეს ვერსიაა ჭეშმარიტებასთან ახლო — მოსკოვის ერთ-ერთ ღამის კლუბში (დასახელებისგან ჯერ თავს ვიკავებ)... უფრო ადვილად დამიჯერებ, თუ გეტყვი, რომ, ფაქტობრივად, სწორედ კურგანის დაჯგუფება აკონტროლებდა მთელ შოუ-ბიზნესს, მანეკენების და ფოტომოდელების სააგენტოებს, ღამის კლუბებს. ერთ-ერთი ჯალათური ვოიაჟის შემდეგ სოლონიკმა განტვირთვა მოინდომა და კლუბში შეიარა, საძმო გვერდით ჰყავდა, არაფრის შიში არ ჰქონდა. ქალები კი საშას ყოველთვის უყვარდა, არც უჭირდა კონტაქტი, ყველას ოსტატურად ,,ახუჭუჭებდა". სულ ქალების სისუსტეს ნუ დავაბრალებთ. იგი შესანიშნავ ფორმაში იყო, რბილი, მომნუსხავი ღიმილითა და გამოხედვით, კარგი მოსაუბრე, არ ეწეოდა, სვამდა ზომიერად და ფულების დასტა არასოდეს აკლდა. რაღა დარჩა — მოიწვიე ლამაზი ქალიშვილი ვილაში, ათენში... იმ საბრალოს კი ცხვირი არ გაუყვია რუსეთს იქით, სიხარულით აცქმუტდებოდა, აბა რა...

მიცვალებულზე ცუდი არ უნდა თქვაო, მაგრამ კარგი ოხერი იყო ის სოლონიკი — ხომ გრძნობდა რომ დასდევდნენ, ადრე თუ გვიან მიაკითხავდნენ, რატომ არ შეიბრალა გოგო?

როგორც ჩანს, ასე მოხდა ყველაფერი: ნაშუადღევს სოლონიკთან მისი კარგად ნაცნობი ,,ძმები" მოვიდნენ, ცოტა გადაჰკრეს, ნაიტრაბახეს, ვილაცებს განაჩენი გამოუტანეს და ბოლოს გააკეთეს ის, რისთვისაც მოვიდნენ — მიახრჩვეს მასპინძელი. სვეტაც სახლში იყო, აბა, რომელი მკვლელი ტოვებს მოწმეს ცოცხალს? ბერძენი პოლიციელები ამბობენ, რომ ასეთი სისასტიკით და სიველურით მხოლოდ რუსული მაფია იქცევა.

ვიქტორმა მითხრა, რომ სოლონიკს ერთდროულად რამდენიმე დაჯგუფება დასდევდა, უნდოდათ ანგარიში გაესწორებინათ ბევრი დაღვრილი სისხლისთვის... ერთი-ორი თვეც და — ვიქტორი მპირდება, რომ დამისახელებს მკვლელებსაც და დამკვეთებსაც... მე კი კვლავ სვეტაზე ვფიქრობ...

*გიორგი როჟნოვი*
*ოგონიოკი №24*

# მოსკოვურ მკვლელობათა სერიალი — ეკრანზე

პეტერბურგში, კინოსტუდია „ლენფილმში", რუსეთის კრიმინალური ცხოვრების ამსახველი ახალი ფილმი გადაიღეს. ფილმს „შიზოფრენია" ჰქვია და მკაფიოდ გვიხატავს 2000-მდე ჟურნალისტისა თუ საქმოსნის ულმობელ, გაუხსნელ მკვლელობათა ფარულ მექანიზმს. ფილმის ერთ-ერთი მთავარი გმირი რუსეთის ვიცე-პრემიერია. მისი უშუალო დაკვეთით ხორციელდება თვითმფრინავის აფეთქება, რომლითაც „საქმისათვის" მეტად საზიანო მოწმეები მიფრინავენ. მეორე „გმირი" საიდუმლო სამსახურის ოფიცერია. იგი ციხიდან ერთი ბანკირის სიცოცხლის ხელყოფის ფასად იხსნის თავს. მთავარ მრჩევლად ელცინის ყოფილი მთავარი პირადი მცველი ალ. კორჟაკოვია გამოყვანილი. დღეს კორჟაკოვი დუმის დეპუტატია და რუსეთის ხელისუფლების მაღალჩინოსანთ ემუქრება — თქვენზე დიდძალი კომპრომატი მაქვს და საქვეყნოდ გამოგააშკარავებთო.

ეს შემაძრწუნებელი ფილმი დღევანდელი რუსეთისა და მისი პრეზიდენტის ბორის ელცინის მეფობის ეპოქის — ღალატის, გაუტანლობის, ბოროტების წინააღმდეგ მიმართულ მოწოდებად უნდა იქცეს.

ფილმის დამდგმელი რეჟისორია ვიქტორ სერგეევი, რომელიც შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს, თითქოსდა შეფარულად, შენობის კედელზე მისხურებული წარწერით გვამცნობს: ლებედი ჩვენი პრეზიდენტია.

*შპიგელი*

# მაფიას შავი დღე დაუდგა



პალერმოს პოლიციამ, როგორც იქნა, დააკავა მაფიის ერთ-ერთი თავკაცი, იტალიის ნომერი მეორე ძებნილი პიერო აგლიერი. სისასტიკითა და დაუნდობლობით ცნობილმა აგლიერიმ „კოზა-ნოსტრას" მეთაურის პოსტი დაიკავა 1993 წელს, სალვატორე რიინას დაპატიმრების შემდეგ. მას 1989 წლიდან ეძებდნენ, რადგან მკვლელობაში ედებოდა ბრალი. როგორც ჩანს, პიერო აგლიერი დარჩენილ სიცოცხლეს ციხის კედლებში გაატარებს.

*ნიუზუიქ, 16 ივნისი*

# ქილერები დედის მოსაკლავად

გვიანი საღამო იყო, როცა ვერა ნოვიკოვას კარებზე ზარი დარეკეს. კარის გაღებას დიასახლისის ძმისწული აპირებდა, მაგრამ ქალი თავად გავიდა და 10 წამში გაისმა კიდეც რამდენიმე გასროლის ხმა. გოგონას სადარბაზოში ამაზრზენი სურათი დახვდა: მამიდა ბეტონის იატაკზე სისხლის გუბეში იწვა.

ნოვიკოვას ვაჟი და მისი სამი მეგობარი დაკავებულნი არიან. ბიჭმა ისინი 20000 დოლარად დაიქირავა დედის მოსაკლავად. მას 28000 დოლარის ხელში ჩაგდება უნდოდა, რომელიც დედას ბანკის ანგარიშზე ჰქონდა. დედის სიკვდილის შემდეგ კოტეჯის და ავტოფარეხის გაყიდვაც შეიძლებოდა. ასე რომ, „ვაჟკაცი" მშობელი დედის მოკვლის შემდეგ გამდიდრებას აპირებდა.

ახლა ამ „შესანიშნავ" ოთხეულს დახვრეტა თუ არა, სამუდამო პატიმრობა მაინც ელოდება.

*იზვესტია №105*

# ევროპოლის დარტყმა

ევროპოლი ახალი ჩამოყალიბებული ორგანიზაციაა და მიზნად ისახავს ევროპაში კრიმინალური სიტუაციის აღკვეთას. მისი შტაბ-ბინა ჰააგაშია. სწორედ აქედან იმართებოდა ევროპის მასშტაბის უმსხვილესი ოპერაცია, რომელიც 20 წუთში წარმატებით დასრულდა და, რაც მთავარია, უსისხლოდ.



...შტაბში მთელი ღამის განმავლობაში არ ჩამქრალა სინათლე. ათკაციანი ჯგუფის ოთხი წევრი კომპიუტერთან იჯდა, ექვსი კი ესპანეთში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, კიოლნსა და დიუსელდორფში რადიოკავშირით მართავდა ოპერაცია „კოქტეილს", რომელიც, იტალიაში გამთენიისას, ზუსტად 5 საათზე დაიწყო. მას სპეცდანიშნულების პოლიციის ბრიგადა ერთდროულად ახორციელებდა. ევროპის თორმეტ ქალაქში ევროპოლმა ელვისებურად დააკავა 75 დიდი მაფიოზი. მათგან ცხრა — კიოლნ-დიუსელდორფის სინდიკატის წევრია, დანარჩენი კი — სიცილიის კოზა-ნოსტრას წარმომადგენელი.

ოპერაციის დასრულების შემდგომ თავისი მოსაზრება გამოთქვა ევროპოლის შეფმა იურგენ ტრორბეკმა: — ჩვენს პატარა დაჯგუფებას, ჯერჯერობით, ასეთი მასშტაბის ოპერაციების ჩატარების საკმარისი გამოცდილება არ გააჩნია, მაგრამ იგი ერთადერთი დასაყრდენია ევროპაში კრიმინალური მდგომარეობის ალსაკვეთად. ორი წლის განმავლობაში აქტიურად ვაგროვებდით მონაცემებს ნარკომაფიოზებისა და იარაღით მოვაჭრეთა შესახებ. თუ ამდაგვარი მსხვილმასშტაბიანი ოპერაციები არ განხორციელდა, დანაშაული არასოდეს მოისპობა, ეს არ არის ევროპოლის მიერ პირველი ბრწყინვალედ დასრულებული საქმე. სამი თვის წინ მივიღეთ ინფორმაცია, რომ ლიბანელებს სომალელი ლტოლვილები ევროპაში გადმოჰყავთ და მონებად ჰყიდიან. სომალელ ლტოლვილებს თავშესაფარი გამოუყვეს და რამდენიმე ადამიანით მოვაჭრე ლიბანელი კი უკვე გადაეცა სასამართლოს. ევროპოლს ბევრი თავსატეხი აქვს. 2 თვის წინ ბელგიის პოლიციამ ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში მიაკვლია სექს-მონებად გაყიდულ სამ უნგრელ გოგონას. მათ ყალბი პასპორტები აღმოაჩნდათ. გამოძიებამ დაადგინა, რომ ისინი რუსმა შუამავლებმა ჩამოიყვანეს და აიძულეს, პროსტიტუციით ერჩინათ თავი. მსგავს ფაქტებს ევროპის მრავალ ქალაქში შეხვდებით. უმეტეს წილად, აღმოსავლეთევროპელი ქალები იყიდებიან დასავლეთ ევროპაში და შუამავლები რუსები არიან. ამჟამად ევროპოლი აქტიურად თანამშრომლობს აღმოსავლეთ ევროპის პოლიციასთან, რათა სექს-ბაზარი ცოტათი მაინც შეიზღუდოს. მდგომარეობა ნამდვილად საგანგაშოა, რადგან ყოველწლიურად 500 ათასი გოგონა იყიდება...

*ფოკუსი №21*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსები ქართულ სანაპიროსთან ნატოს გემების ჩაძირვას სწავლობენ

სულ ცოტა ხნის წინ ერთი საინტერესო ფაქტი მოხდა, რომელმაც დამოუკიდებელი სამხედრო ექსპერტები საბოლოოდ დაარწმუნა, რომ საქართველო კურიოზების ქვეყანაა, ერთის ხელით გაკეთებულს მეორე ანგრევს, ან პირიქით.

ერთი შეხედვით, საგანგაშო არაფერი მომხდარა, საქართველოს ტერიტორიაზე, ჯერჯერობით, უკანონოდ დისლოცირებულ, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ ერთ-ერთ სამხედრო ბაზაში სამხედრო წვრთნა ჩატარდა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს წვრთნა მხოლოდ ბატალიონური მასშტაბის იყო, მით უმეტეს, საგანგაშო არაფერი ყოფილა, რადგან თავის დროზე საქართველოს ბუნებას და რელიეფს საარმიო მასშტაბის სამხედრო წვრთნებიც აუტანია, რომ არაფერი ვთქვათ ფართომასშტაბიან სამხედრო წვრთნაზე „კავკასია-85"-ზე.

რამდენიმე დღის წინ ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის ბათუმის მე-12 რუსული სამხედრო ბაზის ერთ-ერთმა ქვედანაყოფმა სასწავლო ტაქტიკური საბატალიონო სამხედრო სწავლება ჩაატარა.

მე-12 რუსული სამხედრო ბაზის, ყოფილი 145-ე სამთო მოტომსროლელი დივიზიის ერთი მოტომსროლელი ბატალიონი, რომელსაც ამჟამად მაიორი ვლადიმერ კუზნეცოვი მეთაურობს, სამხედრო სწავლების დაწყების წინ გაძლიერებულ იქნა დამატებითი სამხედრო ქვედანაყოფებით — საარტილერიო პოლკიდან მიმაგრებული საარტილერიო დივიზიონით. ბატალიონის განკარგულებაშივე იქნა გადაცემული ერთი ზალპური ცეცხლის რეაქტიული დანადგარი „გრადი" და მობილური გადამღობი ჯგუფი.

საბატალიონო ტაქტიკურ სასწავლო სწავლებას პოლკის მეთაური, პოლკოვნიკი ლიოგკი ხელმძღვანელობდა.

რუსული გაძლიერებული მოტომსროლელი ბატალიონი, მთელი თავისი შეიარაღებით, მე-12 სამხედრო ბაზის სასწავლო ცენტრში, სარფისკენ მიმავალ გზასთან დადგა.



რუსეთის სამხედროების ამ მანევრებს ესწრებოდნენ არა მარტო ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის (ГРВЗ) მეთაურობა, არამედ ხელისუფლებაც და, რაც ყველაზე საოცარია, მეზობელი ჩრდილოკავკასიის სამხედრო ოლქის წარმომადგენლებიც.

სხვათა შორის, სწორედ ბათუმის მე-12 რუსული სამხედრო ბაზის შტაბის უფროსია — რუსეთის მოქალაქე, პოდპოლკოვნიკი ვაჟა ნადიბაიძე, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ვაჟიშვილი.

რუსების სამხედრო სწავლება წინასწარგანსაზღვრული გეგმით წარიმართა. დათქმულ დროს ბატალიონმა თავდაცვითი ზღუდეები დაიკავა ზღვის სანაპიროზე.

ზუსტად 11 საათზე რუსების დაზვერვამ აღმოაჩინა, რომ სანაპიროდან 30კმ-ის დაშორებით, მოწინააღმდეგის გემები გამოჩნდნენ და გეზი ნაპირისაკენ აიღეს.

რუსებმა, ნაღმტყორცნების საშუალებით, ჰაერში რამდენიმე საჰაერო სამიზნე „ჩამოკიდეს", რომლებიც მოწინააღმდეგის შვეულმფრენების იმიტაციას ახდენდა. იმავე წუთს ბატალიონის დასახმარებლად მიცემული საარმიო ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებები ამოქმედდნენ. რუსებმა არ დაინანეს დოლარები და რვა ცალი „სტრელა-2" ტიპის ხელის საზენიტო რაკეტა ესროლეს საჰაერო სამიზნეების იმიტაციებს, მაშინ როდესაც ერთი „სტრელას" რაკეტა 20000 დოლარზე მეტი ღირს! „სტრელების" დაწყებული საქმე თვითმავალმა საზენიტო დანადგარებმა ЗСУ-23-4 „შილკებმა" დაასრულეს.

მაგრამ, რუსი სამხედროების საუბედუროდ, პირობითი მოწინააღმდეგის „სადესანტო გემებმა" ნაპირთან მიახლოება დაიწყეს საზღვაო მედესანტეთა გადმოსასხმელად. ამ დროს სრული ძალით ამოქმედდა რუსების არტილერია. მოწინააღმდეგის გემების იმიტაციებს გამანადგურებელი ცეცხლი გაუხსნეს რუსების ჰაუბიცებმა, ტანკებმა და თვით ქვეითთა საბრძოლო მანქანებმაც.

იმავდროულად, რუსების მობილურმა გადამღობმა რაზმმა მცურავი ტრანსპორტიორების ПТС-М საშუალებით, დესანტსაწინააღმდეგო ნაღმები ჩააწყო სანაპიროდან მოშორებით, რასაც უნდა შეეფერხებინა „მოწინააღმდეგის სადესანტო გემების" ნაპირთან მიახლოება.

მიუხედავად იმისა, რომ „მოწინააღმდეგის" საზღვაო დესანტის ნაწილმა მოახერხა ნაპირზე გადმოსხმა, რუსმა სამხედროებმა ბოლო რეზერვები აამოქმედეს და გაძლიერებული ბატალიონის განკარგულებაში მყოფი ყველა შეიარაღების გამოყენებით „მოწინააღმდეგე" გაანადგურეს.

რუსების მოქმედებამ აღაფრთოვანა არა მარტო საპატიო სტუმრები, არამედ სარფის გზაზე შეჩერებული მანქანების მძღოლებიც და მგზავრებიც, საინტერესო და ეფექტურმა სანახაობამ ყველას თვალი მოსწყვიტა.



ბუტირკაში ვიჯექი. ყოველდღე მიბარებდნენ დაკითხვაზე და გამომძიებელი დაჟინებით ითხოვდა, მიმეცა ქმრის საწინააღმდეგო ჩვენებები. მეუბნებოდა, საბჭოთა ხალხი აღშფოთებულია ლავრენტის ღალატითო... კატეგორიულად განვაცხადე, რომ არავითარ ჩვენებას, — არც კარგს და არც ცუდს, — არ მივცემდი. ამის შემდეგ თავი დამანებეს და ერთი წელი კი მაყურყუტეს. როგორი ბრალდება წამომიყენეს, იცით? აბსოლუტურად სერიოზულად დამადანაშაულეს, რომ რუსეთის არაშავმიწანიადაგიანი რაიონიდან ჩამოვიტანე ერთი სათლი ნითელი მიწა... მაგრამ რადგან თვითმფრინავი სახელმწიფო საკუთრება იყო, გამოვიდა, რომ პირადი ინტერესებისათვის გამოვიყენე სახელმწიფო ტრანსპორტი. საკანში უმძიმეს პირობებში მამყოფებდნენ... გაგიგიათ, ალბათ, კარცერი, სადაც ვერც კი დაჯდები, არათუ — დაწვები. თითქმის მთელი პატიმრობა იქ გამატარებინეს.

ერთხელ, გამომძიებელმა გამომიცხადა, რომ აქვს მონაცემები, თითქოსდა, 760-მა ქალმა აღიარა, ბერიას საყვარელი ვიყავიო...

— ლავრენტი დღე და ღამე მუშაობდა. როდისღა მოასწრო ქალების ლეგიონთან გამიჯნურება? მგონი, საქმე სულ სხვაგვარად იყო: ომის დროს და ომის შემდეგაც ლავრენტი დაზვერვასა და კონტრდაზვერვას ხელმძღვანელობდა. ეს ქალებიც მისი აგენტები და ინფორმატორები იყვნენ. მათთან კავშირი კი სრული კონსპირაციისთვის მხოლოდ ლავრენტის ჰქონდა, ფენომენური მახსოვრობისა გახლდათ და ყველა სამსახურებრივი კავშირი, მათ შორის, ამ ქალებთანაც, ტვინში ჰქონდა გამჯდარი, მაგრამ როდესაც მაინც ეჭვმიტანილ ქალებს დაუწყეს გამოკითხვა, რა კავშირი ჰქონდათ შეფთან, ბუნებრივია, განაცხადეს საყვარლები ვიყავითო. აბა, როგორ გინდათ, ეღიარებინათ, სპეცსამსახურების აგენტები ვართო?

ერთი წლის შემდეგ მე და სერგო სტოლიპინის ვაგონით სვერდლოვსკში გაგვამგზავრეს, ხელზე 500 მანეთი (ახლანდელ 50-ს უდრის) მოგვცეს, — ოთხივ მხრივ თავისუფლები ხართო. ძალიან გვიჭირდა, უფულოდ, უბინაოდ. მერე სერგომ მექანიკოსად დაიწყო მუშაობა და ცოტა სული მოვითქვით. დაპატიმრებამდე სერგო ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი გახლდათ და ციხიდან გამოსვლის შემდეგ ისეთი ცნობა მისცეს, მხოლოდ ტექნიკოს-მექანიკოსად შეეძლო მუშაობა.

სვერდლოვსკში გადასახლებამ კარგა ხანს გასტანა. შემდეგ კი ნება მოგვცეს, გვეცხოვრა საბჭოთა კავშირის ნებისმიერ ქალაქში, მოსკოვის გარდა. ბუნებრივია, საქართველოსაკენ გამომიწია გულმა, ჩამოვედი მშობლიურ მარტვილში. არა მიშავდა, არ შემარგეს. მალე ქუთაისიდან ამოვიდა ორგანოს ორი თანამშრომელი და... იმ დღიდან აქ ვცხოვრობ და ხშირად ვიხსენებ საქართველოს“.

ქ. ვოლჟსკი. მარეთის რესპუბლიკა. კლიუკვა №3


ვამზადებთ და ვლებავთ



რკინის კარებს, გისოსებს, ჟალუზებს და სხვა რკინის ნაკეთობებს შეღავათიან ფასებში

ალ. ყაზბეგის გამზ №34ა. საშენ-მასალათა კომბინატის უკან. ტელ: 39-79-46



ფირმა „ვიატკა“

შეგიკეთებთ და დაგიმონტაჟებთ „ვიატკას“ და „ვიატკის“ ტიპის უცხოურ სარეცხ მანქანებს, შეგიკეთებთ ნებისმიერი ტიპის სარეცხ მანქანას.

გარანტიით, შეღავათიან ფასებში

ჩვენთან შეგიძლიათ შეიძინოთ როგორც იტალიური, ისე რუსული წარმოების ავტომატური სარეცხი მანქანები შეღავათიან ფასებში.

გამოძახება და კონსულტაცია უფასოა

პეიჯერი 30-69, ტ. 98-50-52, 30-34-41

გთავაზობთ რკინის კარებს, ჟალუზებს, გისოსებს შეღავათიან ფასებში

დარეკეთ ყოველდღე ნებისმიერ დროს

37-07-78; 38-83-87; 37-46-55

სიახლე

შეისყიდით ადამიანის 25 სმ-ზე მეტი სიგრძის თმას. გთავაზობთ, სხვადასხვა სახის თმის საღებავს, საპარიკმახერო იარაღებს და საშუალებებს იაფად.



მის.: რკინიგზის ცენტრალური სადგური, II სართული

მაღაზია „ესთეტი“

აუდიტი

იურიდიული კონსულტაციები

ბეჭდები და შტამპები

გამსახურდიას 41

ტელ.: 37-16-12

37-16-68

ფირმების რეგისტრაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი სატრანსპორტო დერეფნები კონკურენციას გაამწვავებს

სატრანსპორტო არტერიები, რომლებიც დასავლეთ ევროპის და ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის რამდენიმე ათეული წლის წინათ შეიქმნა, სერიოზულ ცვლილებებს განიცდის. დსთ-ის ქვეყნების საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ბევრ ევროპულ კომპანიას იზიდავს, მაგრამ უკანასკნელ დრომდე მათ ძლიერ აფიქრებდათ ის, რომ ამ ქვეყნებს არ გააჩნიათ განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, პირველ რიგში, საჰაერო, სარკინიგზო და საავტომობილო გზები.

23-25 ივნისს ჰელსინკში გაიმართება ტრანსპორტის საკითხისადმი მიძღვნილი საერთო ევროპული კონფერენცია. ვარაუდობენ, რომ დისკუსია, ძირითადად, სწორედ ევროპიდან დსთ-ის ქვეყნებისკენ მიმავალი სატრანსპორტო დერეფნების შექმნის საკითხს მიეძღვნება.

მთავარი პრობლემა, რომელსაც დღეს ეჯახებიან დსთ-ის და ევროპის ქვეყნები, უმთავრესად არის ამ ქვეყნების კანონმდებლობების შეუთავსებლობა, ერთი სატრანსპორტო სისტემიდან მეორეზე გადასვლის სიძნელე, ტვირთის უსაფრთხოების საკითხები. ახალი სატრანსპორტო დერეფნების შექმნა და ძველის მოდერნიზაცია დსთ-ის ქვეყნებისათვის არა მარტო ტვირთის გადატანის დამატებითი საშუალებაა, არამედ კონკურენციის გაზრდის საშუალებაც. რფ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს მიაჩნია, რომ სამომავლო სატრანსპორტო დერეფანი შუა აზია-კავკასია-ევროპა („ტრასეკა") შესძლებს კონკურენცია გაუწიოს „ტრანსსიბუსა" და ევროპულ ნაწილში რუსეთის სატრანსპორტო ქსელს. ეს ვარიანტი ითვალისწინებს საქართველოსა და აზერბაიჯანში არსებული სარკინიგზო და საზღვაო საშუალებების გამოყენებას შუა აზიის ქვეყნებიდან ევროპაში ტვირთის გადასატანად. ეს კი ამ რეგიონის სახელმწიფოებს საშუალებას მისცემს გადაზიდონ ბამბა, ადრეული ნავთობი და მსოფლიო ეკონომიკაში ჩართონ კასპიის ზღვის უზარმაზარი ბუნებრივი რესურსები.

*ფინანსოვიე იზვესტია №41*

## „სმარტი" — ახალი მანქანა

მიუნხენის ცენტრში შესანიშნავი ავტო-შოუ გაიმართა. ფირმა „დაიმლერ-ბენცმა" მეტად გაბედული ნაბიჯი გადადგა, — წარმოადგინა „მერსედესის" ჯუჯა ვარიანტი „სმარტი", რომელიც ავტობაზარზე 1998 წელს გამოჩნდება. იგი უსათუოდ დაიმკვიდრებს ადგილს მსოფლიოში, რადგან დიდი ქალაქებისთვის ძალზე მოსახერხებელი და მისაღებია. უკვე 100-ზე მეტი მეწარმე მზად არის, ექსკლუზიურ სმარტ-ცენტრში ჩადოს ინვესტიცია.



მანქანას აქვს ტურბო-ძრავი, რაც მეტად ხიბლავს მნახველს. მინი-მოდელის ნაკლი ის არის, რომ არა აქვს საბარგული, — წინა მხარეს მხოლოდ ორი ბალონილა ეტევა.

დიდი სიჩქარით პირდაპირ დაჯახებისას იგი „მერსედესსაც" კი აზიანებს, მაგრამ „სმარტის" სალონი უვნებელი რჩება, თანაც უმალ ამოქმედდება ჰაერ-ბალიში, რომელიც მძღოლს აბსოლუტურად უსაფრთხო პირობებს უქმნის. „დაიმლერ-ბენცის" მეწარმენი სწორედ მაღალი უსაფრთხოების გარანტიას იყენებენ მთავარ კოზირად. სალონი — სოლიდურია, მძღოლს არა აქვს შეგრძნება, რომ მინი-ავტომობილში ზის.

*ფოკუსი №20*

## გუშინდელი მასწავლებელი დღეს „პლეიბოის" შეფია

მარიანა ჰოვათსონი შოტლანდიის პატარა ქალაქ კილმარნოკში დაიბადა. ნიჭიერმა გოგონამ წარმატებით დაამთავრა უნივერსიტეტი, მასწავლებელი გახდა და თავისსავე მშობლიურ ქალაქში დაიწყო მუშაობა. მოსწავლეებს ძალიან უყვარდათ, დირექციაც კმაყოფილი იყო, მაგრამ თავად მარიანა გრძნობდა, რომ გაცილებით მეტის მიღწევა შეეძლო და ლონდონის დასაპყრობად გაემგზავრა. ფული არ ჰქონდა, ამიტომაც ოფიციანტად დაიწყო მუშაობა პრესტიჟულ კლუბში. მალე შეამჩნიეს მისი მონდომება, შრომისმოყვარეობა და აი, ახლა, 30 წლის შემდეგ, რაც შოტლანდია დატოვა, მარიანა ნიუ-იორკში „პლეიბოი პაბლიშინგის" პრეზიდენტია და წელიწადში ნახევარი მილიონი დოლარი აქვს ხელფასი. მისი მდიდრული ოფისიდან მანჰეტენის პანორამა იშლება და ეს ანტურაჟი სავსებით შეესაბამება ამ 46 წლის საქმიანი ქალის ელეგანტურობასა და სილამაზეს.




„პლეიბოის" მთელი მსოფლიო იცნობს, — სიამაყით ამბობს მარიანა, — მას დიდი მომავალი აქვს". ამ აზრს სავსებით ეთანხმება „პლეიბოის" იმპერიის გამგეობის თავმჯდომარე, იმპერიის დამაარსებლის ქალიშვილი ქრისტი ჰეფნერი, — მარიანა ჩვენთან ყველაზე დინამიკურ დროს მოვიდა, — ამბობს ქრისტი, რაც იმას ნიშნავს, რომ მან ძალზე ძნელი, თითქმის შეუსრულებელი საქმე იკისრა. 1960 წელს „პლეიბოის" ტირაჟი თვეში 7 მილიონი იყო, ეს ის დრო გახლდათ, როცა ვიეტნამში მებრძოლ ამერიკელ ჯარისკაცებს თვითმფრინავიდან „პლეიბოის" უყრიდნენ გუნებაზე მოსაყვანად. ახლა „პლეიბოის" ტირაჟი 3 მილიონამდეა და მარიანას ამოცანაა, ჟურნალის მაქსიმალური მოდერნიზაცია. ახლანდელი მდგომარეობისათვის მარიანას ადვილად არ მიუღწევია, მაგრამ როცა კლუბ „მეიფერეს" ოფიციანტი გახდა, დაამტკიცა, რომ სამუშაო ადგილი სწორად შეარჩია. იგი ჟურნალ „პენტჰაუზის" მფლობელმა ბობ გუჩიონიმ შეამჩნია, — ეს კი იმას ნიშნავს, რომ ოფიციანტებიდან გამოირჩეოდა უნარით, გარეგნობით, გამჭრიახობით. მარიანა იწყებს გუჩიონისთან რეკლამის აგენტობას და გამომცემლობასთან ერთად ნიუ-იორკში გადადის. ერთხელ, 1972 წელს, „პლეიბოის" ფურცლებზეც კი გამოჩნდა მისი შიშველი გამოსახულება. ახლა ამბობს, — ისე, გასართობად წავედი ამ საქმეზეო. რა თქმა უნდა, კილმარნოკში დარჩენილ მის მშობლებს, ნათესაობას მაინცადამაინც არ მოეწონებოდათ „პლეიბოის" ფურცლებზე დედიშობილა მარიანას ნახვა, მაგრამ ქალს ეს ნაკლებად აღელვებდა. მიზნისკენ სავალ გზებს ეძებდა, 10 წლის განმავლობაში ჰარვარდის ბიზნესის სკოლის მეცადინეობებს ესწრებოდა. იგი მალე მიხვდა, რომ „პენტჰაუზი" უნდა დაეტოვებინა, წინ დიდი მიზანი ჰქონდა — იგი ჯერ ჟურნალების გამომცემელთა ასოციაციის თავმჯდომარე ხდება, მერე კი „პლეიბოის" 70 წლის დამაარსებელს, ჰიუ ჰეფნერს, საკუთარი „როლს-როისით" მოჰყავს ლოს-ანჯელეში, თავის სასახლეში.

მარიანა იმ ადამიანებს ეკუთვნის, რომლებიც დღე-ღამეში 15 საათს შრომობენ და ამავე დროს, ქმართან ერთად, არც ზეპური საზოგადოების შეკრებებს ივიწყებს ეს მომხიბლავი, დიდი გემოვნებით ჩაცმული, ჭკვიანი ქალი.

*მეილ ონ სანდი №14*

ს/ს კომერციული ბანკი „ოლიმპი"
ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №2
სტადიონის შენობაში
ტელ/ფაქსი: 95-09-19; ტელ.: 94-07-60
ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. №34, ტელ.: 2-10-67
გახდით „ოლიმპის" მეანაბრე და კლიენტი. თქვენს ნდობას ჩვენ გავამართლებთ

## ყოველდღიურ გაზეთებზე მოთხოვნა მცირდება

გაზეთების მსოფლიო ასოციაციის ცნობით, ყოველდღიური გაზეთი სულ უფრო ნაკლებად საღდება. უკანასკნელ ათ წელიწადში ევროკავშირში გაზეთების გაყიდვა 7,7%-ით შემცირდა, ამერიკაში კი — 8,8%-ით. სპეციალისტების ვარაუდით, მიმდინარე 5 წელიწადში ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში გაზეთების გაყიდვა, შესაძლოა, 36%-ით შემცირდეს. საერთო ფონზე ერთადერთ გამონაკლისს იაპონია წარმოადგენს, სადაც გაზეთების გაყიდვა 0,9%-ით გაიზარდა.

*ფრანს პრესი*

## გერმანიამ რუსეთს ძველი ვალი მოსთხოვა

გერმანიამ რუსეთს ყოფილი საბჭოთა კავშირის ვალის დაბრუნება მოსთხოვა, ვალი 1 მილიარდი გერმანული მარკაა. რუსეთის საგარეო ეკონომიკური კავშირისა და ფინანსთა სამინისტროებმა უნდა გადაწყვიტონ, რა სახით გადაიხადონ ვალი — ვალუტით, გაზით, სპეცტექნიკით, სახელმწიფო ქაღალდებით თუ რაიმე სხვა სახით.

*პრაიმ-ტაიმი*

## უცხოური დასახელების მიღმა რუსული ფირმა იმალება

რუსეთის თითქმის ყველა ტელეარხი ფართო რეკლამას უწევს TOM KLAIM-ის წარმოების კოსტიუმებს, კაბებს და გვარწმუნებს, რომ იგი საერთაშორისო კომპანიაა და რამდენიმე ფილიალი აქვს. სინამდვილეში კი მთელ ამ KLAIM-ს, სადღაც, მოსკოვთან ახლოს კერავენ და იმპორტულ საქონლად ასაღებენ. კომპანიის თავკაცი ანატოლი კლიმინი გახლავთ. თურმე, როცა ანატოლი კანადის საზღვარს კვეთდა, იქაურმა მებაჟემ რუსული გვარი ინგლისური ტრანსკრიფციით წაიკითხა — ტომ კლაიმი და ეს იმდენად მოეწონა კლიმინს, რომ თავის ფირმას ეს სახელი უწოდა. კომპანია ხუთი წლის წინ სწორედ კანადაში იქნა რეგისტრირებული, ხოლო სამი წლის შემდეგ იგი რუსულ ბაზარზეც გამოჩნდა.



ანატოლი კლიმინი საზოგადოებაში არ ჩნდება და ინტერვიუებსაც არ იძლევა. ფირმის თანამშრომლებიც მეტად სიტყვაძუნწნი არიან და თავიანთი ბოსის შესახებ შეიძლება მხოლოდ ის გითხრან, რომ იგი 40 წლისაა და ცოლ-შვილიანია.

TOM KLAIM-ის კოსტიუმების საშუალო ფასი 250 დოლარია და მათ უმთავრესად ქალები ყიდულობენ, რომელთა თვიური შემოსავალი 300 დოლარია.

ამ ფულით ქალს შეუძლია ნახევარ წელიწადში 250 დოლარად ღირებული კოსტიუმი შეიძინოს. მას ძალიან კარგად ახსოვს ის დრო, როცა იძულებული იყო, საბჭოთა ტანსაცმლით დაკმაყოფილებულიყო და იმპორტული სამოსი ბრძოლით მოეპოვებინა. შეიძლება ეს ქალი უკვე ხვდებოდეს კიდეც, რომ იმპორტული საქონელი ყოველთვის მოდური და ხარისხიანი არაა, თანაც თურქულსა და ჩინურ საქონელზე უკვე გული აუცრუვდა. მაგრამ ჯერ კიდევ კარგად ვერ ერკვევა, ესა თუ ის საქონელი სად არის დამზადებული. სიტყვათშეთანხმება DESIGNED IN FRANCE კი, რომელიც TOM KLAIM-ის ეტიკეტებს აწერია, ალაფრთოვანებს და ნდობით განაწყობს მას.

არადა, TOM KLAIM-ის პროდუქცია ჩინურ-თურქული ფართო მოხმარების საქონლისაგან არაფრით განსხვავდება: სერიული წარმოება, სინთეტიკური, იაფფასიანი ნაჭრები, პლასტმასის უბრალო ფურნიტურა და ის 250-300 დოლარი, რომელსაც ფირმა TOM KLAIM-ის თაყვანისმცემელი უბრალო კოსტიუმსა და ქვედატანში იხდის, შემოთავაზებულ ხარისხს არ შეესაბამება.

TOM KLAIM — არ არის ერთადერთი მაგალითი იმისა, რომლის უცხოური დასახელების მიღმა იმალება რუსული ფირმა. რუსული წარმოებისაა, აგრეთვე, ფართოდ რეკლამირებული ავსტრიული ფეხსაცმელი VENA MODA AUSTRIA-ც.

*ოგონიოკი №20*

## ვალავი უკმაყოფილოა, ჭკუასელი — ისე, რა

სავალუტო ფონდის წარმომადგენელმა, ქართველებისთვის კარგად ნაცნობმა შადმან ვალავიმ დაიწუნა წინა კვირას პარლამენტის მიერ მიღებული საგადასახადო კოდექსი. მიზეზი — ზედმეტი შეღავათები, რომელსაც ახალი კანონი ითვალისწინებს. ვალავის აზრით, ქართული მხარისა და სავალუტო ფონდის შეთანხმებებში ეს ცვლილებები არ მოიაზრებოდა.

ფინანსთა მინისტრი მიხეილ ჭკუასელი: მე ვერ ვიტყოდი, რომ კოდექსის მიღება მთლიანობაში არის დაწუნებული. შენიშვნები არის რამდენიმე მუხლთან, რომელიც შეღავათების საკითხს ეხება. ჩვენ პატივი უნდა ვცეთ პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, აქ საგანგაშო არაფერია. ერთი რამ კი აღნიშვნის ღირსია: თუ ჩვენ გვინდა ძლიერი ბიუჯეტი, ძლიერი ეკონომიკა და ძლიერი სახელმწიფო, უარი უნდა ვთქვათ ყველანაირ შეღავათებზე.

*დილის გაზეთი №119*

## ელისეის მინდვრების ოთხი ფერია

მანუელა, იზაბელა და ორი დელფინა პარიზის მერიის ნებართვით, ყოველდღე, 7 საათს ელისეის მინდვრებზე ატარებენ. ცუდი არაფერი იფიქროთ, უმიზნოდ კი არ ხეტიალობენ. მათ მსოფლიოს ულამაზესი ქუჩის დასუფთავება-გალამაზება ევალებათ. შუადღის პირველის ნახევრიდან ღამის 8-ის ნახევრამდე შრომობენ, პატარა, ლამაზ მოტოროლერებზე სხედან, ნელნელა მიუყვებიან ქუჩას, ამასობაში, მოტოროლერზე დამაგრებული ჯაგრისები ტროტუარს ასუფთავებენ. არც ხელფასი აქვთ ურიგო — თვეში 7500 ფრანკი. ქუჩის დახვეტაზე არც ერთს არ უოცნებია, მაგრამ ახლა სიამოვნებით შრომობენ. მთელი დღე პარიზის ულამაზეს ადგილზე, თანაც ჰაერზე ვართ, — ამბობს დელფინა. მართალია, მან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაამთავრა და მეყვავილეობა უნდოდა, მაგრამ სამსახური ვერ იშოვნა, მანუელს ბალერინობა სურდა, მაგრამ არც ახლა გადაუწურავს იმედი, დრო ბევრი რჩება და ისიც სულ ცეკვავს. თუ არაფერი გამოუვიდა, ელისეის მინდვრების სისუფთავის დაცვა სულაც არ არის ცუდი საქმე.

*ექსპრესი*

## ბრძოლა სპორტული მოედნების დასაპყრობად

საფეხბურთო მოედანი სპორტული საქონლის ცნობილ მწარმოებელთა დავის საგნად იქცა. ამერიკული „ნაიკი", რომლის შემოსავალმაც წლიურად 15 მილიარდი მარკა შეადგინა, ცდილობს, მსოფლიო ბაზრიდან აგრესიული მარკეტინგული მეთოდებით განდევნოს პირველი რანგის კონკურენტი, გერმანული ფირმა „ადიდასი", აზია და ლათინური ამერიკა. — ჩვენ ფული არ გვიზიდავს, მთავარია პრესტიჟი და მყარი გარანტიები, — განაცხადა ერთ-ერთ ამერიკულ საფეხბურთო ჟურნალში „ნაიკის" შეფმა ფილ ნაითმა, მაგრამ „ნაიკი" სულაც არ ამბობს ფულზე უარს და შემოსავალს მეტად ორიგინალური ხერხით ზრდის, — ყიდულობს სატელევიზიო კომპანიების სარეკლამო რგოლებს ხელშეკრულების საფუძველზე, მათ არ ექნებათ უფლება, სხვა სპორტულ ფირმას გაუწიონ რეკლამა. 300 მლნ. დოლარად ათწლიანი ხელშეკრულება გააფორმა ბრაზილიის გუნდთან, ამერიკის რამდენიმე გუნდთან, მზადდება ხელშეკრულებები ჰოლანდიის, იტალიის, პორტუგალიის და რუსეთის გუნდებთან. აქამდე „ნაიკს" ევროპაში არ ჰქონია ცნობილ გუნდებთან მოლაპარაკება, ახლა მოლაპარაკებები მიმდინარეობს კარლსრუესთან, მიუნხენის „ბაიერნთან" და ისეთ პრომინანტულ ფიგურასთან, როგორიც ფრანც ბეკენბაუერია. „ნაიკი" ცდილობს, ამერიკის ბაზარზე ყოველმხრივ შეზღუდოს სამზოლიანი ფირმა. მან დაიბევა ამერიკის რეგიონული, მოყვარულთა 25 გუნდი და მომავალი სეზონისთვის მათ აღჭურვას ნისიად აპირებს.




„ნაიკის" ესოდენი წარმატება შეიძლება აიხსნას „ადიდასის" შეფის, რობერტ ლუის-დრაიფუსის ფინანსური ჩამორჩენით, მაგრამ იგი მაინც იბრძვის ფირმის პრესტიჟისთვის და საფრანგეთის ტელევიზიას დაუკვეთა ბუცების ისტორიის გაშუქება, რომელიც საკმაოდ ძვირი ჯდება. გერმანული ფირმის „რიიბოკის" შეფს, რიჩარდ ლიტცელსაც ეეჭვება გამარჯვება, მაგრამ იმედს მაინც არ კარგავს. „ჩვენ არ დავქრით მთელ მსოფლიოში და დოლარებს არ ვაფრიალებთ, მაგრამ შევეცდებით, ხარისხიანი პროდუქციით შევერკინოთ კონკურენტებს," — ამბობს იგი.

*ფოკუსი №21*

# „მთელი ჩემი ქონებიდან ფოტოაპარატი და ვიდეოკამერა დამრჩა“



ექიმი-ფსიქოთერაპევტი ანატოლ კაშპიროვსკი პირველად 80-იანი წლების ბოლოს გამოჩნდა. მისი ტელესეანსების დროს ქუჩები ცარიელდებოდა, სტადიონი სავსე იყო. მას მილიონობით ადამიანი იცნობდა, არა მარტო კავშირში, არამედ ევროპასა და ამერიკაში. დადგა პოპულარობის მწვერვალიდან დალმასვლის გარდაუვალი პერიოდი.

— ***ადამიანებზე ჰიპნოზურ ზემოქმედებას გაბრალებენ. ხომ ვერ უარყოფთ იმ ფაქტს, რომ ამ ხერხს იყენებდით?***

— 25 წლის განმავლობაში მე არა მარტო ფსიქოლოგი და ფსიქოთერაპევტი ვიყავი, არამედ მკურნალი და საესტრადო ჰიპნოზიორი. ჩატარებული მაქვს ათასობით ჰიპნოზური სეანსი, მაგრამ ჰიპნოზი არ მიმაჩნია მკურნალობის ერთადერთ და უებარ საშუალებად, ამის გაკეთება ძალზე რთულია და შედეგიც ნაკლებია, ამიტომ დიდი ხანია, აღარ ვიყენებ.

— ***თქვენ ამბობთ, რომ მილიონობით ხალხი განკურნეთ. სად არის ამის დამამტკიცებელი ფაქტები?***

— ფაქტების მოძებნით ჯანმრთელობის სამინისტრომ და ჩემმა პირადმა მტრებმა შეიქციონ თავი. რატომ არ გამოიკვლევენ იმათ, ვისაც მე ვუმკურნალე? ისინი ხომ მილიონობით არიან მთელ მსოფლიოში! ამის საუკეთესო დასტური 40 ტონა მადლობის წერილია.

— ***ისეთი შემთხვევებიც ხომ იყო, როდესაც თქვენს სეანსებზე ხალხი ცუდად ხდებოდა. ნევზოროვმა თავის დროზე ტელევიზიითაც აჩვენა კადრები, რომელშიც თქვენი სეანსის დროს ბიჭმა გრძნობა დაკარგა და დაეცა. მსგავსი შემთხვევა ბევრი იყო?***

— ალსანიშნავია ის უცნაური ფაქტი, რომ ასეთი რამ მხოლოდ ჩვენთან ხდებოდა. რატომ ევროპასა და ამერიკაში არავის უთქვამს, — თქვენი სეანსების შემდეგ ხალხი ცუდად ხდებაო? რატომ არ შეეშინდა ჩემთან შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონს კრივში — მუჰამედ ალის?

— ***თქვენ მას დაეხმარეთ?***

— სამწუხაროდ, ვერა. მას ძალიან მძიმე დაავადება აქვს — პარკინსონი. მე ბორის ელცინს ოპერაციის წინ დახმარება შევთავაზე, მოვახერხებდი მისი დაავადებული გულის აღდგენას.

— ***ისეთი ხმებიც დადიოდა, რომ თქვენ პაციენტები მოსყიდული გყავდათ.***

— შეიძლება მოისყიდო 5-10 ადამიანი და ისიც ჩვენთან, მაგრამ არა მილიონობით და თანაც ევროპასა და ამერიკაში.

— ***იმასაც ამბობენ, ბნელ ძალებს ემსახურებაო.***

— სისულელეა. ვიცი, ამბობენ, რომ სატანა ვარ ან მისი შვილი. მე კი ომის ვეტერანის შვილი ვარ. ვეტერანისა, რომელიც კიევს იცავდა, კენიგსბერგსა და ბერლინს იღებდა.

— ***მონათლული თუ ხართ?***

— სწორედ იმიტომ არის ეს მითქმა-მოთქმა, რომ მონათლული არა ვარ. ომი იყო, მამა წითელი არმიის მეთაური გახლდათ. იმ დროს არ იყო მიღებული მეთაურებისა და მებრძოლების შვილების მონათვლა. ან რა მაგისი დრო იყო, ქვეყანას ცეცხლი ეკიდა! მონათვლას კი, გაიხსენეთ, იმ დროს როგორ უშლიდნენ. სამღვდელოება არ არის ჩემდამი ცუდად განწყობილი. პოლონელმა კათოლიკეებმა ძალიან თბილად მიმიღეს.

— ***ძალიან მდიდარი ხართ არა?***

— ჩემი სიმდიდრიდან მარტო ორი კოსტიუმი, ფოტოაპარატი და ვიდეოკამერა დამრჩა.

იბეჭდება შემოკლებით

*არგუმენტი ი ფაკტი №25*

# გენერალი ერმოლოვი მეფესაც ეურჩებოდა...

უზომოდ თავგანწირული და, ამავე დროს, ანგარიშიანი, „უპოპულარესი პიროვნება მთელ რუსეთში", „კავკასიის პროკონსული" ერმოლოვი — შიშის ზარს სცემდა ნაპოლეონის მარშლებს, ის იყო ერთადერთი პიროვნება, რომელიც მეფესაც კი ეურჩებოდა.

ჩეჩნები ქალები ბავშვებს მისი სახელით აშინებდნენ. რუსი ქალბატონები მეჯლისებზე ნამდვილ გმირებად თვლიდნენ მაგ ფრაკში გამოწყობილ გენერლებს. დიდი ბედნიერებაა ერმოლოვი — ის რუსეთის ავ... ბის ერთ-ერთი... ბედნიერება ერგო რუსეთსაც; მის ისტორიაში ისეთი ბევრი არ იყო: სუვოროვი, კუტუზოვი, ერმოლოვი, ბაგრატიონი, ფრუნზე, ჟუკოვი. შემდეგდროინდელი გენერლების უკვე ამ პარტაბენიდან, ინტერნის ქურდობის და აგარაკების მშენებლობა. გმირების გარეშე რუსეთი ობოლი იყო, როგორც ახლა არის.



17 წლის ერმოლოვი პოლონეთში ბრძოლისთვის თავად სუვოროვმა დააჯილდოვა წმინდა გიორგის ჯვრით. ბოროდინოს ომში იგი ერთი ბატარეით გააკავა ნაპოლეონის გვარდიას და სამი საათის განმავლობაში ხმალამოღებული იბრძოდა. ბოლოს, კუტუზოვმა... ერმოლოვი გენერალ-ლეიტენანტი ხდება. მაგრამ ერმოლოვს მეფე არ სწყალობდა. ამბობდნენ, მისი მხარე ჯერ ნის გამო. ...ოზიც შეემთხვა. მეფეს აუწყეს უმცროს პოდპოლკოვნიკ ერმოლოვსა და ხანდაზმულ ეკატერინე II-ს შორის ინტიმური ურთიერთობის შესახებ. იმპერატორს „შეეშალა" ფავორიტი და გენერალი ერმოლოვი დააპატიმრეს. გენერალმა მისთვის ჩვეული მრისხანებით გაიცხა სასამართლო, რისთვისაც პეტრე-პავლეს ციხეში ჩასვეს. ეს მისი მეორე იყო.

1816 წლიდან ერმოლოვი კავკასიაშია. „ეს უდიდესი ციხესიმაგრეა, — წერდა კავკასიის პროკონსული, — რომელიც მხოლოდ ბრძოლით უნდა აიღო, მხოლოდ რუსულ იარაღს შეუძლია ამ მთიელების დამორჩილება". მრისხანე გენერალმა გადაწვა მთიელთა აულები, აგებდა ციხესიმაგრეებს, ყოფდა და ბატონობდა კავკასიაში. ვინც არ ემორჩილებოდა, სპობდა და ანადგურებდა. ოფიციალურ მოხსენებებში კავკასიელებს „ბოროტმოქმედებს" უწოდებს და ცინიკურად ახასიათებს: „ჩეჩნები დამნაშავეთა ერთ-ერთი კარგებია". ერმოლოვს არასდროს ჰყოლია ცოლი, მაგრამ, ამისა, კავკასიაში მრავალი მემკვიდრე დატოვა, — მთიელმა ქალებმა ოთხი ვაჟიშვილი და ამდენივე ქალიშვილი აჩუქეს.

გენერალი მხოლოდ თავის მეფეს ანცობოდა. კარგად აჭრა მევდა და ზედმეტი სამხედრო ჯარისკაცი არ ... მიუხედავად ამისა პოპულარობა... 1827 წლის 27 მარტს ნიკოლოზ I-მა ბოროდინოს და კავკასიის გმირი თავიდან მოიცილა, გადადგა. ამ 35 წელი იცხოვრა „უსაქმოდ". ... ხანში ერმოლოვის ძველი ... ისტორიის სახელმძღვანელოში ის მოხსენიებულია, როგორც მეფის დროინდელი კოლონიზატორი. თანამედროვენი კი გენერალ ერმოლოვს ჰერკულესს უწოდებდნენ.

*კომსომოლსკაია პრავდა №100*

# პოეტი ქალის ტრაგედია



21 წლის ნინა (ნიკა) ტურბინა უკვე 8 წლის ასაკში გახდა ცნობილი თავისი საინტერესო, უნიკალური ლექსებით. მისი ლექსები გამოიცა იტალიაში, ინგლისში, აშშ-ში, საფრანგეთში. მარინა ცვეტაევას შემდეგ იტალიაში პირველმა დაიმსახურა ჯილდო „ვენეციის ოქროს ლომი“.

ოთხი წლის გოგონას ლექსები დედამ ევგენი ევტუშენკოს აჩვენა. ევტუშენკო ალაფრთოვანა პატარა პოეტმა, დაეხმარა პირველი კრებულის გამოცემაში, ინგლისურად თარგმნაში, საზღვარგარეთ გამგზავრებაში...

ათი წლის მერე ნიკა ევტუშენკოზე იტყვის: „მან მე მიღალატა!...“

რამდენიმე დღის წინ ნიკა მეხუთე სართულიდან გადმოხტა და ახლა, უმძიმეს მდგომარეობაში, ოპერაციის მოლოდინში, მარტოდმარტო წევს საავადმყოფოში. ჟურნალისტებთან შეხვედრაზე უარი განაცხადა.

ევგენი ევტუშენკომ თავიდან არ მოისურვა ნიკაზე ლაპარაკი:

— წავიკითხე მისი ინტერვიუ „ევტუშენკომ მიღალატა“... ალბათ, ღალატი იმიტომ დამწამა, რომ ძველებურად ხელს აღარ ვუწყობდი. იცით, მე პროვინციელი ვარ და პატივს არ ვცემ უმადურ ადამიანებს... კაცი ფეხზე უნდა დააყენო, შემდეგ თავისი გზა თვითონ უნდა იპოვნოს... ვწუხვარ, ასე რომ მოხდა. ღმერთმა უშველოს... მას შეეძლო კარგი პოეტი ყოფილიყო... მისი „დიდობისდროინდელი“ ლექსები არ წამიკითხავს. ბოლოს, 10 წლის წინ, ჩემს ქორწილში შევხვდი, დედასთან ერთად მოვიდა მოსალოცად... მერე გავიგე, მდიდარ უცხოელ ბიზნესმენს გაჰყოლოდა ცოლად, ნარკოტიკებს მისძალებია, ფილმშიც უთამაშია. შემდეგ დაბრუნებულა, ცოტა ხანს „ვგიკშიც“ უსწავლია. ვწუხვარ, ახლა ასე რომ უჭირს... ადამიანს ცხოვრებაში ორი გამოცდა ელის: აღიარება და დამარცხება. უნდა მოახერხო ორივეს დაძლევა. არ შეიძლება ტალანტის გაფლანგვა. პიროვნული თავისუფლება პასუხისმგებლობასთან უნდა იყოს შეხამებული...

— მართალი ბრძანდებით, მაგრამ, ის ხომ პატარა გოგონა იყო, გაალმერთეს, ალაზევეს და მერე... მიატოვეს. ეს მძიმე გამოცდა იყო. დიდიც კი ვერ გაუძლებდა...

— დამნაშავედ თავს სრულებით არ ვგრძნობ. მშობლების ბრალია. ისინი იღებდნენ ნიკას არცთუ მცირე ჰონორარებს, პრემიებს და მაინც დედამისი გამუდმებით მე მთხოვდა ფულს.

— ალბათ. გახსოვთ სენტ-ეგზიუპერის სიტყვები: „პასუხისმგებელი ხართ იმაზე, ვინც მიიჩვიეთ!

— დიდი ხნის წინ ერთი ფილმი გადავიღე — „საბავშვო ბაღი", სადაც ორი 14 წლის ბიჭუნა თამაშობდა. ფილმი აკრძალეს. ორივემ დამირეკა. ერთმა მითხრა: — ძია ჟენია, ფილმი აკრძალეს და ვერავინ გვნახავს... თქვენ ხომ შემპირდით, ცნობილი გახდებითო? მეორემ კი: — ძია ჟენია, ვიცი, ფილმი რომ აკრძალეს. გავიგე, ფინანსურად გიჭირთ. მე ცოტაოდენი თანხა მაქვს მოგროვილი და გთხოვთ, ჩემგან მიიღოთო. ხომ გესმით, ამით რისი თქმა მინდა?..

**P.S.** ნიკა ტურბინას უკვე გაუკეთეს ცალი ხელის ოპერაცია, მალე მეორისასაც გაუკეთებენ. ექიმებს იმედი აქვთ, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება. პოეტს უფასოდ მკურნალობენ მუნიციპალურ საავადმყოფოში.

*მოსკოვსკი კომსომოლეცი №96-97*

# გაბრიელი – «პანელის ჰერცოგინია»

საფრანგეთის მეფის ჰენრიხ V-ის საყვარელი, გაბრიელ დ,ესტრე, იმჟამად გალარიბებული დიდი ფეოდალური საგვარეულოს შთამომავალი იყო. იგი მეფის ობერშტალმაისტერის, მომხიბლავი როჟე დესენლარის, ჰერცოგ ბელგარდის საცოლე გახლდათ. ერთხელ, ჰერცოგმა ისე თვალნათლივ დაუხატა გაბრიელის მშვენიერება მონარქს, რომ მან უმალ მოინდომა დ,ესტრეს მამულში სტუმრობა... ჰენრიხ V მოაჯადოვა 17 წლის მზეთუნახავმა... უკან დაბრუნებისას ცხენი შეაყენა და ბელგარდს უთხრა: ქორწილი არ იქნება, ეს მზეთუნახავი ჩემია!..



ბელგარდმა უსიტყვოდ, მორჩილად დაუკრა თავი... რა ექნა... კარიერა უფრო ხიბლავდა!

... 1594 წლის თებერვალში გაბრიელმა მეფეს პირველი ვაჟი აჩუქა. უსაზღვროდ ბედნიერი იყო მონარქი. თუმცა სასახლეში ხმა დადიოდა, ბავშვის მამა ბელგარდიაო, სიყვარულით გაბრუებული მეფე ამას ყურადღებას არ აქცევდა, — თვითონაც არ აკლდა საყვარლები.

მალე გაბრიელს გოგონა შეეძინა — კატრინ-ჰენრიეტა. სიხარულით ფრთებშესხმულმა ჰენრიხმა საყვარელს აჩუქა შლომბერის სასახლე, რომელიც საიდუმლო გზით უკავშირდებოდა ლუვრს.

გაბრიელი დღითიდღე მშვენდებოდა. მეფე მას „სხივმფინარეს“ ეძახდა, ხოლო ხალხისა და სამეფო კარისათვის — „პანელის ჰერცოგინია“ იყო. საათობით სიამოვნებით იდგა იგი მხატვრების წინ დედიშობილა... მისი მზისფერი სხეულის ასლები ჩუმად გავრცელდა. პარიზი მოხიბლული იყო მეფის საყვარლის სიტურფით.

...სისინებდნენ სასახლის დიდებულები. გაბრიელი კი დედოფლის გვირგვინზე ოცნებობდა. რატომაც არა! დედოფალი მარგო ხომ აგერ ათი წელი იყო სასახლის კარს მოცილებული და ოვერნში ცხოვრობდა. შვილი არ ჰყავდა და არც ჰქონდათ ამის იმედი. გადასახლებული დედოფალი გაბრიელს „ქუჩის მეძავს“ უწოდებდა.

მალე მესამე შვილი შეეძინა, ალექსანდრე. მეფე სიხარულით მეცხრე ცაზე იყო. 1599 წელს, ლუვრში, უცხოელი დიპლომატების სტუმრობის დროს, საჯაროდ მიმართა სატრფოს: ქალბატონო, ეს წმინდა ბეჭედი მეფედ კურთხევისას მიძღვნეს... თქვენთვის მიბოძებია“, — და ყველას თვალწინ ბეჭედი თითზე ჩამოაცვა.

აღდგომას მეფე მარტო ხვდებოდა ხოლმე. ამიტომ გაბრიელი ფონტებლოდან პარიზში გაემგზავრა. მეოთხე ბავშვზე იყო ფეხმძიმედ. ტიროდა, არ უნდოდა მეფესთან და შვილებთან განშორება...

პარიზში თავი უკეთ იგრძნო. ისადილა კიდეც სტუმართან, იტალიელ ბანკირ ზამეტთან ერთად. სტუმარმა მას უცხო ხილი — ლიმონი მიართვა. რამდენიმე საათის შემდეგ გაბრიელმა გონი დაკარგა, სახე გაუშავდა, დაეწყო კრუნჩხვა, მშვენიერი თვალები ჩაეშრიტა და მკვდარი ბავშვი შვა. ცოტა ხანში საშინელი წამებით ამოხდა სული ისე, რომ აღსარების თქმა და ცოდვების მონანიებაც ვერ შეძლო.

პარიზი ზეიმობდა მის სიკვდილს, სიკვდილს ქალისას, რომელმაც გაბედა და სურათებზე გამოფინა თავისი სხეული, ყურადღება არ მიაქცია საეკლესიო დოგმებს.

...აღდგომის დღესასწაულამდე რამდენიმე დღით ადრე დედოფალმა მარგარეტმა ჰენრიხ V-ს განქორწინებაზე დასტური მისცა. კარგად იცოდა, სამეფო კარის ახალ დედოფლად ფლორენციელი მარია მედიჩის მოყვანა სურდა; ისიც იცოდა, იტალიელი პრინცესა ყველაფერს იღონებდა საფრანგეთის ტახტზე დასაჯდომად... მოკლედ, ბრძენმა დედოფალმა კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა...

ლიმონი მოწამლული ხომ არ იყო?

*ჟენსკიე დელა №6*

# სენსაციური აღმოჩენა

ახლახან ასტროლოგმა, პროფესორმა მაიქლ ლორენცმა (მას საკუთარი ლაბორატორია აქვს ნევადის შტატის უდაბნოში, აშშ), სენსაციური განცხადება გააკეთა:

დედამიწას გამალებით უახლოვდება დღემდე უცნობი კომეტა. ის ისე ახლოს ჩაუვლის ჩვენს პლანეტას, რომ შეიძლება დედამიწა მიიზიდოს. კოსმოსის მორიგი სტუმარი ცის თაღზე სექტემბრის ბოლოს გამოჩნდება პატარა, მაგრამ ძალზე ნათელი ცეცხლოვანი წერტილივით, რომელიც თანდათან გაიზრდება და ოქტომბერში უკვე ნათელ, კაშკაშა დღესაც კი შესაძლებელი გახდება მისი დანახვა. მაიქლ ლორენსის გაანგარიშებით, იგი ჩამოვარდება ცენტრალურ აზიაში — ჩინეთსა ან ინდოეთში. ჰეილა-ბოპასთან განსხვავებით (იგი ა.წ. აპრილში გამოჩნდა) მისი დიამეტრი 3 კმ-ია (ჰეილა-ბოპასისა — 40 კმ. იყო). მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ტუნგუსის მეტეორის დიამეტრი სულ 120 მეტრი იყო და რა დიდი ნგრევა მოიტანა! თუ შეჯახება მოხდა, ამას საშინელი შედეგები მოჰყვება. ძლიერი აფეთქების შედეგად წარმოქმნილი კაშკაში ადამიანებს დააბრმავებს. იგი ფერფლად აქცევს ყველაფერს, იმასაც კი, რასაც თითქოს ცეცხლი არ ეკიდება. აფეთქების ტალღა ქალაქიდან ქალაქში გადაინაცვლებს და წალეკავს ყველაფერს. გაიღვიძებს მთვლემარე ვულკანები, დაიწყება მიწისძვრები და წყალდიდობები. ჩვენი ასტრონომების აზრით, თუ შეჯახება არ მოხდა, დედამიწას, შესაძლოა, კომეტის კუდმა ჩაუქროლოს, მაგრამ ესეც დიდ უბედურებას მოიტანს, რადგან იგი ათასნაირ უცნობ ბაქტერიას შეიცავს, ძლიერი რადიაციის მქონეა და, შესაძლებელია, ისეთი ეპიდემიები გავრცელდეს, რომ შიდსი მასთან შედარებით უმნიშვნელო რამ გამოდგეს.

აღმოჩენის შესახებ მრავალმა ასტრონომიული კვლევის ცენტრმა გამოთქვა მოსაზრება. ვარაუდი ყოველთვის არ მართლდება — შესაძლოა, კომეტამ ჩაუქროლოს დედამიწას (როგორც ეს ხშირად მომხდარა) და ყველა უბედურება აგვცდეს.

*სობესედნიკი №22*


კვლავ ფასდაკლება!

საწერ და საბეჭდ ქაღალდზე



I ხარისხის (ძაეროქსის) ფორმატი A4 შეკვრაში 200 ფურცელი 2,3 ლარი



II ხარისხის ფორმატი A4 შეკვრაში 250 ფურცელი 1,5 ლარი

ნაღდსა და გადარიცხვით. მინიმალური რაოდენობა 10 შეკვრა

აგრეთვე საკანცელარიო წიგნები, სახატავი რვეულები, საქაღალდეები, საბუღალტრო ბლანკები

ტ.: 36-78-07, 98-74-44, აკურის ქ. 8, „კოლორი"



კომპიუტერული სკოლა



კვალიფიციური პედაგოგები შეგასწავლიან:

1. ზოგადი: Dos, NC, Windows, Internent, E-mail;
2. საოფისე: Windows, Word, Exel, Access;
3. საგამომცემლო: Windows, Word, Pagmaker, Corel;
4. პროგრამირება: Visual basic, Delphi, C++, Foxpro, Pascal.

დაგეხმარებით: პროგრამული პაკეტის შექმნა-შეძენაში, დაყენება-მომსახურებაში, კომპიუტერის შეძენა-გაყიდვაში, დამონტაჟება-შეკეთებაში. ფალიაშვილის 42, №57 სკოლა.

ტელ.: 29-11-78

გაიცემა მოწმობა



შ.პ.ს. „გაზსერვისი"

გთავაზობთ:

თხევადი გაზის ბალონების შინ მოტანას და სარემონტო სამუშაოების შესრულებას სწრაფად და იაფად.

☎ 96-71-51



ეროვნული ბიბლიოთეკა

## წერილი სტეფანის

„პირველად რომ დაგირეკე, არ ვიცოდი, როგორ მომემართა, — თქვენობით? თქვენო



უმაღლესობავ? მაგრამ როგორც კი შენი „ალო" გავიგონე, ყველაფერი ნათელი გახდა..."

განშორებიდან 8 თვის შემდეგ, პრინცესას ყოფილმა მეუღლემ, დანიელ დიუკრუემ გამოაქვეყნა წიგნი „წერილი სტეფანის". დაგვიანებული სიყვარულის ახსნა 22 მაისს გამოვიდა: „ამ სტრიქონებს ვწერ შენთვის, ჩემთვის, ჩვენი სიყვარულისთვის, ჩვენი შვილებისთვის და მათთვის, ვისაც ჩვენი სიყვარულისა სჯეროდა".

1989 წელს, ნიუ-იორკში, ერთი ნახვით დაწყებული უძლიერესი გრძნობა კარგა ხანს უმალეს უცხო თვალს, მიუხედავად უამრავი წინააღმდეგობისა, დანიელმა და სტეფანიმ შეძლეს ბედნიერი ოჯახის შექმნა, შეეძინათ ქალ-ვაჟი. წიგნში დანიელი აღიარებს შეცდომას. არაფერს უარყოფს, მაგრამ დაგებულ ხაფანგში მოხვედრის გამო თავის გამართლებას ცდილობს. — სტრიპტიზიორმა ფილი ჰუტმანმა ხომ ყველაფერი საგანგებოდ მოუწყო! ეს წიგნი სულის კივილია კაცისა, რომელიც ბოდიშს იხდის.

*პარი მატჩი*

კუბის საპატიმროში ჩაატარეს ტესტირება, რომლის მეშვეობითაც დაადგენდნენ პატიმრების ინტელექტის კოეფიციენტს. პირველმა შედეგმა აჩვენა, რომ ტუსაღები საშუალო დონის მოსახლეობას საგრძნობლად ჩამორჩებიან. მაშინ კიდევ ერთი მომენტი დაუმატეს ცდას — ახლა სწორი პასუხისთვის წამახალისებელი „პრემია" — სიგარეტი დააწესეს... აღმოჩნდა, რომ პატიმრები უბრალოდ არ ირჯებოდნენ, ახლა კი, სიგარეტისთვის ბრძოლაში მათ ისეთი ინტელექტი გამომაჟღავნეს, რომ უკან, და კვლავ საგრძნობლად, ჩამოიტოვეს საშუალო დონის საზოგადოება.

*ოგონიოკი №23*

## ქრისტეს სასძლოთა ყრილობა

პლიმუთის საკათედრო ტაძარში გაიმართა ინგლისელ ქალწულთა, ე.წ. შეწირულთა, ყრილობა. ოცმა დეპუტატმა იზეიმა თავისი „ორდენის" აღორძინების 25 წლისთავი. ჩვ. წელთაღრიცხვის III საუკუნიდან არსებობდნენ ქალწული-მლოცველები, რომლებიც თავს ქრისტეს სასძლოდ მიიჩნევდნენ. სწორედ ისინი იყვნენ მონაზონთა წინამორბედნი. დაახლოებით X საუკუნეში ქალწულთა მოძრაობა, პრაქტიკულად, შეწყდა, მაგრამ 1970 წელს ვატიკანმა კვლავაც აალორძინა. ყრილობაზე შეკრებილებმა ილაპარაკეს თანამედროვე საზოგადოებაში თავიანთი როლის მნიშვნელობაზე და მოჭოჭმანე თანამოქალაქეებს მოუწოდეს, ჩაუფიქრდნენ ქალწულობის ფაქტის ყველა უპირატესობას.

*იტოგი №23*

## ელიზაბეტ ტისეს ორმაგი შეცდომა



საფრანგეთში, არჩევნების წინ, სახელგანთქმულმა ფრანგმა ასტროლოგმა ელიზაბეტ ტისემ მონაცემების ელექტრონულ ბანკზე დაყრდნობით და ვარსკვლავებთან „მოთათბირების" შემდეგ, მოამზადა დოსიე და დარწმუნებით თქვა, — საპარლამენტო არჩევნებში მემარჯვენეები გაიმარჯვებენ და პრემიერ-მინისტრი ალენ მადლენი გახდებაო. მაგრამ, როგორც ცნობილია, გამარჯვება მემარცხენეებმა მოიპოვეს და, იუპიტერმა, რომელსაც ხელი უნდა შეეშალა ამ პოსტზე ლიონელ ჟოსპენის დანიშვნისათვის, ეტყობა, თავისი საქმე ვერ გააკეთა. ელიზაბეტს კოვზი ნაცარში ჩაუგდო თავად პრეზიდენტმაც, რომელმაც მეორე ტურის წინ განაცხადა, — პრემიერად მემარჯვენეების სხვა წარმომადგენელს, ფილიპ სეგუნს დავნიშნავო.

*ფიგარო*

## — გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა!.. —

რამდენიმე წლის წინ, აიოვას შტატის პატარა ქალაქ ლონდონის ყველა იმ დაწესებულებაში, სადაც ალკოჰოლი იყიდებოდა,



აიკრძალა ნუდისტური ცეკვები. ბარებმა უამრავი კლიენტი დაკარგა და რადგან კანონში არაფერი იყო ნათქვამი სხვა გასართობ ადგილებში ნუდისტური ცეკვების აკრძალვის შესახებ, ამით ისარგებლეს მოხერხებულებმა და გახსნეს სპეციალური ბარები, სადაც მხოლოდ წვენებს, კოკა-კოლას და უალკოჰოლო ლუდს სთავაზობდნენ მუშტარს. მოეძალათ შიშვლად როკვის თაყვანისმცემლები, შემოსავალიც დიდი იყო. მაგრამ არც კონსერვატორ კანონმდებლებს ეძინათ; ახლა ყველგან აკრძალეს ამგვარი გართობა.

ერთ-ერთი ბარის პატრონმა მუშტრებს მაგიდაზე ქაღალდი და საწერკალამი დაახვედრა. ვინც ნუდიზმის მოთხოვნას დაწერდა და ხელსაც მოაწერდა, ათ-ათ დოლარს ჩუქნიდა.

ბარის პატრონმა ასეულობით მოთხოვნას მოუყარა თავი და ქალაქის ხელისუფალთ მიართვა. ამ უკანასკნელთა გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ნუდიზმის მოტრფიალეთა შორის თავიანთი ცოლ-შვილიც აღმოაჩინეს. უკან დაიხიეს და ახლა შეგიძლიათ ყველა ბარში დატკბეთ დედიშობილა ქალიშვილების ნარნარი რხევით. ხოლო ნიუ-იორკში, მანჰეტენში მდებარე ერთ ფეშენებელურ რესტორანში, არანაკლები უცნაურობა ხდება. აქაური ოფიციანტი ქალები ტყავის ან ლაქირებულ ტანსაცმელში არიან გამოწყობილნი და ხელში მათრახი უჭირავთ. ოფიციანტ მამაკაცებს კი ყელზე ძაღლის საყელურები აბიათ. ამ რესტორანში თავს არ იყრიან გურმანები ან მშვიდი დასვენების მოყვარულნი, აქ მხოლოდ სადომაზოხიზმის თაყვანისმცემლებს ნახავთ.



ლუდისა და შამპანურის გარდა, შეგიძლიათ შეუკვეთოთ კოქტეილი „მაზოხისტი" და ოფიციანტი გოგონა მათრახის ცემით შეგახურებთ, ოციოდ დოლარად მოითხოვთ „მონა", რომელიც იქვე გაგიწმენდთ ფეხსაცმელს და თუ ისურვებთ, ენითაც გაგიპრიალებთ.

*ფავორიტი №5*

## გულაგიდან ნატიფ სამზარეულომდე

საბჭოთა კავშირის დროს, ამერიკელები საბჭოურ კულინარიას „ბრეჟნევის სამზარეულოს" ეძახდნენ და ეგონათ, მთელ ქვეყანაში ხალხი მხოლოდ საქონლის ხორცის წვნიანს და კარაქში შემწვარ კოტლეტებს მიირთმევდა. დღეს კი, ახალი თაობის ამერიკელებმა, რომლებიც რესტორნების ბიზნესში არიან ჩართული, — ყურადღება მიაპყრეს საბჭოთა სამზარეულოს. გაიხსნა რესტორნების ქსელი „ფაიერბერდი"; მათი ინტერიერი მეფისდროინდელ არისტოკრატთა ბინებს მოგაგონებთ. ოფიციანტები თეთრგვარდიელი ოფიცრების ფორმებში არიან გამოწყობილი. აქ მოგართმევენ სსრკ და ცარიზმისდროინდელ რუსეთში პოპულარულ საჭმელებს. ეგზოტიკის მოყვარული ამერიკელები აღტაცებაში მოჰყავს უზბეკურ ფლავს „მანტი", რომელიც ხელით იჭმება, ცნობილ უკრაინულ ბორშჩს, რუსულ მწნილეულს, შებოლილ თევზს, თევზის წვნიანებს, ხორციან და ხიზილალიან ბლინებს და სხვა. რა თქმა უნდა, „რუსეთის სიამაყეს" — ოცამდე სახეობის არაყს. მზარეულებს არც ამერიკელთა ნაწილის ვეგეტარიანელობა გამოპარვიათ მხედველობიდან. მათ სთავაზობენ მართლმადიდებელი



რუსების მრავალფეროვან სამარხვო კერძებს. მათ, ვისაც ერთხელ მაინც სმენია საბჭოური რესპუბლიკის სიმბოლოს „გულაგის" სახელი, ალუმინის ჯამებით მიართმევენ პატიმართა ერთადერთ საჭმელს — „პოხლიობკას" — სოკოს, ბოსტნეულის, ცოტა ცხიმისა და ხორცის ნახარშს.

ნიუ-იორკში, ქალაქში, სადაც მსოფლიოს ყველა სამზარეულო საუკეთესო კერძებითაა წარმოდგენილი, — „ფაიერბერდის" ქსელი აღმოჩენაა და მას უწოდებენ „რუსულ გასტრონომიულ რევოლუციას ნიუ-იორკში".

*ნიუზუიქ, 9 ივნისი*

## საყვარელი თაგუნები



თუ დაუკვირდებით, თაგვი ძალიან დიდ როლს ასრულებს ჩვენს ცხოვრებაში. ამის შემჩნევა ადამიანებმა უოლტ დისნეის მულტიპლიკაციური ფილმის, „ტომი და ჯერის" შემდეგ დაიწყეს. დისნეიმ ეს პატარა ცხოველი ისე გააფერადა, რომ ყველასათვის საყვარელ



პერსონაჟად იქცა. ისინიც კი, ვინც გულგრილნი არიან თაგვებისა და ვირთხების მიმართ, ჯერის მაინც სიყვარულით უყურებენ. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თაგვს ძველი მსოფლიოს კულტურაში, ხოლო აღმოსავლურ რელიგიებში მისი კულტიც კი იყო. აზიელები დიდი რიტუალით მიაგებენ პატივს თაგვს. იაპონურ მითოლოგიაში პატიოსანი თვლებით მოოჭვილი თაგვის ქანდაკება გვერდს უმშვენებს სამართლის ღმერთ დაიკოკუს.

მაგრამ, არ გეგონოთ, რომ თაგვს მხოლოდ აქებდნენ. კატა ეშმაკის შვილია, — ქადაგებს ლეგენდა, — იგი თაგვს გულგრილად ვერ უყურებს, მაშასადამე, თაგვი ეშმაკის ლუკმაა, ეს კი კარგზე არაფერზე არ უნდა მეტყველებდეს.

ამბობენ, თაგვი ყველაზე კეთილი და უწყინარი ცხოველიაო. სწორედ ამიტომ, ჰიპებიცა და პანკებიც სამეგობროდ თაგვებს ირჩევენ, ხალხი კი ამას აგრესიულად უყურებს.

სხვათა შორის, თაგვს სექს-სიმბოლოდაც მიიჩნევენ. ზიგმუნდ ფროიდის აზრით, წრუწუნას სექსუალური ინსტინქტები ყველზე ახლოს დგას ადამიანის სექსუალურ ინსტინქტებთან. ეს არ ნიშნავს, რომ ერთნი ვართ, მაგრამ საერთოც რომ ბევრი გვაქვს, ცხადია.

*ფოკუსი №17*

ჩერეპანოვების სახლში სატელევიზიო ანტენით ელვის ცეცხლოვანი ბურთი შემოვარდა, ერთ წამში ჩამოიმსხვრა შვიდივე ფანჯარა, იატაკი დაიბრიცა, ავეჯი დაილეწა და თეთრეული დაიფერფლა; ბირთვულმა ელვამ ტელევიზორი, მაცივარი და, კარადა ნახშირად აქცია. საბედნიეროდ, „გაცოფებულმა ბურთმა" ბავშვებამდე ვერ მიაღწია, მშობლებს კი ეზოში „დაესხა თავს". სვეტლანა შეტრუსა და ყურთასმენა დაუხშო. გონდაკარგული კაცი დიდხანს ეგდო მიწაზე. ენერგიულმა ძალამ ოჯახის უფროსსაც დაასვა დაღი. სვეტლანა ჩერეპანოვა ფეხმძიმობის მეცხრე თვეში იყო. ექიმებსა და მეზობლებს ეგონათ, ელვა მოკლავდა ბავშვს, მაგრამ პატარა სერიოჟა სავსებით ჯანსაღი და უვნებელი მოევლინა ქვეყანას, თუმცა ბირთვულმა ელვამ ცოტა კი დააჩქარა მისი გაჩენა. სვეტლანას სმენა და მხედველობა დაუქვეითდა. ასეთ მძიმე მდგომარეობაში დაბადებულს შეიძლება არაჩვეულებრივი უნარი გამოყვეს, ან წინასწარმეტყველიც გახდეს...

ბირთვული ელვა უბრალოდ კი არ ცელქობს!..

*კომსომოლსკაია პრავდა №108*

## კომპოზიტორი ბახები

იოჰან სებასტიან ბახის ვაჟიშვილებიც მუსიკოსები იყვნენ. უფროსმა, ვილჰელმ ფრიდემანმა, რომელსაც „ჰალეს ბახს" უწოდებდნენ, იმპროვიზაციებით მამას აჯობა. ის კარგი ორგანისტიც ყოფილა. მეორე შვილი, კარლ ფილიპ ემანუელი — თავისი მუსიკით ამხნევებდა ბეთჰოვენსა და ჰაიდნს. მას „ჰამბურგის ბახი" შეარქვეს. ხოლო მესამე ვაჟის, „მილანის ბახად" წოდებული იოჰან ქრისტიანის ნაწარმოებებმა თვით მოცარტი მოხიბლა.

*ბუნტე*

## ასოციაცია



თარაზულად: 1. წვერი, ნიკაპი; 4. ფოთოლი, „აფეთქება"; 9. კენედი, ტეხასი; 111. მოგება, ბილეთი; 14. უაილდი, კინოაკადემია; 16. ალადინი, იატაკი; 17. ბალი, ქალაქი; 18. მაგიდა, ვაჭარი; 20. ინკასატორი, დენი; 21. შოშიტაიშვილი, საამირო; 28. სახაზავი, ციფერბლატი; 30. მგელთავა, თბილისი; 31. „მსგეფსი", უქმე; 33. „შოკოლადი", ნაომი; 34. აკაკი, ფრინველი; 35. ფრაგმენტებიანი კროსვორდი, გაზაევი; 37. საკურთხეველი, „კათედრა"; 40. ბანდერასი, რამიშვილი; 41. ბატონი, როჩესტერი; 42. „ხელი". ორგანიზაცია.

შვეულად: 2. მეფე, ზოდიაქო; 3. გიორგი, საღარაძე; 5. სანჩო, ლურჯა; 6. ფერწერა, მტვერი; 7. საბურავი, საკანი; 8. ყვავ-ყორანი, ვაჟა-ფშაველა; 10. ჟურნალისტი, მუხლი; 11. მხდალი, „ვაჟკაცი"; 12. აყლაყუდა, „კარადა"; 13. „ვარდი", წამალი; 15. ჭონქაძე, ციხე; 19. გოჭი, „ძილისპირული"; 22. აღმაშენებელი, ქარელი; 23. ნევროპათოლოგი, ლურსმანი; 24. ....ბანდა, ....ბასი; 25. კაპიკი, ქაღალდი; 26 „ყეყეჩი", ხილი; 27. აზლუდი, ბიუსტი; 29. ქოქოსი, გოზინაყი; 32. „ნემსი", ფარიკაობა; 36. წყალბურთი, ალენ დელონი; 38. მაია წყნეთელი, სახარება; 39. ალექსანდრია, მირიანი; 40. ბანქო, კარდიოგრამა;

შემდგენელი გოგა ჩანადირი.

წინა ასოციაციის პასუხები

თარაზულად: 1. ანკარა; 4. ელდარი; 9. ლამე; 10. ტყემალი; 12. ალვა; 15. კრება; 16. გოშია; 18. სპორა; 19. ქვორუმი; 20. აცეტონი; 21. კომპოტი; 23. კალიბრი; 28. თევზი; 29. „ავარა"; 30. პრალა; 33. კიკუ; 35. ვენეცია; 36. კიბე; 37. კონკია; 38. ლექცია;

შვეულად: 2. ნოე; 3. რიყე; 5. ლილო; 6. რქა; 7. სამხრე; 8. ავდარი; 11. მარში; 13. აბანო: 14. სპილო; 16. გეომეტრია; 17. ასოციაცია; 22. მორზე; 24 ბასრი; 25. პენსია; 26. მაცნე; 27. ზღარბი; 31. ხელი; 32. ნიკე; 34. ურო; 36. კიი;

## ფლამენგოს მატადორი

გუშინდელმა საღამომ იგი დაღალა, ისევე, როგორც წინა საღამოებმა, როცა ცეკვავდა. „ჩემი ბატარეები სასწრაფოდ უნდა დავტენო“, — ამბობს ფლამენგოს ახალგაზრდა კერპი.

ამ 28 წლის ესპანელს ცეკვის თაყვანისმცემელნი „ფლამენგოს ნურიევს“, ქალები — ახალ ვალენტინოს, ხოლო ესპანელები — „ჩვენს ღმერთს“ უწოდებენ. „მე მე ვარ, ხოაკინ კორტესი. ეს მთელი ისტერია მასმედიამ შექმნა. რაც უნდათ, ის წერონ“, — ამბობს იგი.



ეს დიდებული მოცეკვავე მსოფლიოს ორი წლის წინათ მოევლინა. მისი PASION CITANA-GUPSU PASSION, ორსაათნახევრიანი რიტმში, სიმღერასა და ცეკვაში გამჟღავნებული ემოციები დღემდე მილიონზე მეტმა მაყურებელმა ნახა.

კორტესის ნახტომი და... იწყება შოუ. 15 მოცეკვავე და 15 მუსიკოსი სცენას ფლამენგოს სამყაროდ აქცევენ. საზღვრები თანდათანობით ფართოვდება: ინდური ჰანგები, კლასიკური პირუეტები, ფანტაზია თანამედროვე ცეკვის თემაზე... ადამიანის სხეულის შესაძლებლობებს ზღვარი არა აქვს, — ამტკიცებს თავისი ცეკვით კორტესი. „საზღვარგარეთი მხოლოდ ფლამენგოს ვარსკვლავად აღმიქვამს, მაგრამ ჩემს ცეკვაში სხვადასხვა ხალხის და სტილის ცეკვებია შეჯვარებული. ყველაფრის ბაზისი, რაღა თქმა უნდა, ფლამენგოა, რომელიც ყველაფერია: მამა, დედა, და, ძმა. მე ხომ ბოშა ვარ და ამით ვამაყობ,“ — ამბობს კორტესი.

კორტესმა 12 წლისამ დაიწყო ცეკვა. 14 წლისა უკვე ესპანეთის სახელმწიფო ბალეტის წევრი იყო.

შემდეგ, რამდენიმე წლის განმავლობაში, ის და ბიძამისი, მოცეკვავე კრისტობალ რეისი, ანტონიო გადესის ანსამბლის წევრი, კაფეებში ერთად ცეკვავდნენ. პირველი წარმატებები, კრიტიკოსების ქება... და კრიზისი: „ბოშები ჩემი სტილის გამო ხშირად მაკრიტიკებდნენ და მაშინ ნახევარ წელიწადზე მეტი შინ ვიყავი ჩაკეტილი. ბევრს ვვარჯიშობდი, ცეკვის ხელოვნებაში უფრო ღრმად ჩაწვდომას ვცდილობდი. მაგრამ ის დრო მაინც მკაცრი და უსიხარულო იყო“, — იგონებს კორტესი. მაშინ მოცეკვავემ ხსნა თავის რელიგიაში ჰპოვა.

ესპანეთის უძლიერესმა მენეჯერმა პინო საგლიოკომ ესპანეთში პრინსი, როლინგ სთოუნი, მადონა, ფრედი მერკური ჩამოიყვანა და დიდი კონცერტი გამართა, სადაც კორტესიც მიიწვია.

პინომ შექმნა ხოაკინი, რომელიც მაშინ ცეკვასთან ერთად კარლოს საურასა და პედრო ალმოდოვარის ფილმებშიც მონაწილეობდა. ესპანეთი ფლამენგოს ისტერიამ მოიცვა. დღეს კორტესი მსოფლიოში ცნობილი მოცეკვავეა, ფლამენგოს ჯადოქარია და ამიტომ მისი პირადი ცხოვრება ჭორიკანა გაზეთებს ძალიან აინტერესებთ, განსაკუთრებით კი კავშირი ნაომი ქემპბელთან. „უკვე ესპანურს ვსწავლობ, თუმცა მე და ხოაკინი ურთიერთობას სხვანაირადაც ვახერხებთ,“ — განაცხადა ცოტა ხნის წინათ სუპერმოდელმა.

ურთიერთობა ნაომთან. რა არის ეს — ზღაპარი თუ მარკეტინგი? ხოაკინი ამთქნარებს, ცეკვის ჯადოქარი დაღლილია და იგი ამხელს თავის ოცნებას — ამ ოცნებაში ნაომი ქემპბელის იერსახე არ ეწერება. ოცნება მისი კი — ტრადიციული ბოშური ოჯახია, დიდი სახლი, დიდი ფერმა, აუცილებლად საკუთარი კორიდით — ხარებითა და ცხენებით. „მაგრამ ჩემი ეზოს ერთ კუთხეში სცენას აუცილებლად ავაშენებ,“ — ამბობს იგი

*შტერნი №20*

***P.S. მკითხველმა ტელევიზიით ალბათ შეიტყო, — სულ ახლახან ნაომი ქემპბელი საავადმყოფოში მოხვდა... საძილე აბების ჭარბმა მიღებამ მისი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდო, მაგრამ დროული ჩარევით „შავი ანგელოსი“ გადარჩა. პირველი, ვინც საავადმყოფოს კარებთან აღმოჩნდა, კორტესი იყო.***

***ამბობენ, მიტოვებულმა ქალმა თავის მოკვლა განიზრახაო.***

## დუგლასების კლანის „მთავარი ინსტინქტი“

ამბობენ, რომ მისი პაპა, დანიილ დემსკი გლეხი იყო, გროდნოსა და ვილნოს შორის მიწას ამუშავებდა, რევოლუციამდე 10 წლით ადრე ამერიკაში წავიდა. შვილი კი — ისური — უკვე ნამდვილ ამერიკელად იზრდებოდა. მან თავისი ბელორუსული სახელი და გვარი ანგლოსაქსურ კერკ დუგლასზე გაცვალა. ბროდვეის სცენაზე უკვე ამ სახელით გამოჩნდა. 1994 წლის 25 სექტემბერს პირველი პრემიერა ჰქონდა. როცა სცენაზე თავის დასაკრავად გამოსულ კერკ დუგლასს აღფრთოვანებული მაყურებელი ტაშს უკრავდა, თეატრის მახლობლად, პატარა ბინაში მისი ახალშობილი პირმშოს ტირილი გაისმა. მშობლებს პატარასთვის კერკის დარქმევა უნდოდათ, მაგრამ მერე შეეშინდათ, რომ სამუდამოდ შერჩებოდა სახელი „კერკი-უმცროსი“ და მაიქლი დაარქვეს. წლები გადიოდა. მაიქლმა ნიუ-იორკის სამსახიობო სტუდია დაამთავრა, რამდენიმე ფილმშიც გადაიღეს. მსახიობობასთან ერთად პროდიუსერობაც დაიწყო და წარმატებასაც მიაღწია. „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“ მაიქლ დუგლასის ძალისხმევით გადაიღეს. მან მოძებნა მაშინ ყველასთვის უცნობი ჩეხი რეჟისორი მილოშ ფორმანი, აიძულა მსახიობები — ჯეკ ნიქოლსონი და ლუიზა ფლეთჩერი, ავადმყოფებთან ერთად დასწრებოდნენ ფსიქოთერაპიის სეანსებს. ფილმმა 5 ოსკარი დაიმსახურა, ერთი მათგანი — პროდიუსერს ხვდა. ამერიკაში უფრო იღბლიან პროდიუსერად მიცნობენ, საზღვარგარეთ კი როგორც მსახიობს და აზრადაც არ მოსდით, მამაჩემს შემადარონ, — განაცხადა მაიქლ დუგლასმა ერთ ინტერვიუში. უფროსმა დუგლასმა აღფრთოვანება ვერ დამალა, როცა „უოლსტრიტი“ ნახა. ფილმის დაწყებიდან ხუთი წუთის შემდეგ დამავიწყდა, რომ ჩემი შვილი ხარ — მაგარი ხარო! — უთხრა, რომელსაც შექებით არ ანებივრებდა. გამოცდილ მსახიობს ალღომ არ უმტყუნა. ამ სურათისთვის მაიქლ დუგლასს სამსახიობო „ოსკარი“ მიენიჭა. ბედის ირონიაა სწორედ — „ოსკარი“ მან თავის უცნობილეს მამაზე ადრე მიიღო. ლეგენდარულმა სპარტაკმა თავისი ერთადერთი ოსკარი მხოლოდ შარშან მიიღო, როგორც ჰოლივუდის ცოცხალმა ისტორიამ.



პრესას თუ დავუჯერებთ, უფროსი დუგლასის მკლავებში ბევრი ჰოლივუდელი მზეთუნახავი ყოფილა. შვილს არ მოსწონდა მამის საქციელი — მამაკაცს მხოლოდ ორი ქალი — საკუთარი დედა და ცოლი უნდა უყვარდესო. უკვე ასე აღარ ფიქრობდა. პრეზიდენტ კარტერის ინაუგურაციაზე ამერიკელი დიპლომატის ქალიშვილი დიანდრა ლუკერი გაიცნო, რამდენიმე კვირაში დაქორწინდნენ, ქორწილი მამის სახლში, ბევერლი-ჰილზე გადაიხადეს. სიძის მეჯვარეს, — ჯეკ ნიქოლსონს, ბოლომდე არ სჯეროდა, რომ მაიქლი მართლა ცოლს თხოულობდა, მხოლოდ მღვდლის გამოჩენის შემდეგ დაიჯერა. ერთი წლის შემდეგ კამერონ დუგლასი გაჩნდა. მათმა ქორწინებამ, რომ იტყვიან, დროს გაუძლო, დიპლომატის ოჯახში აღზრდილი სრულყოფილად ფლობდა კომპრომისის ხელოვნებას. ალბათ, ყველაფერი კარგად იქნებოდა, რომ არა „მთავარი ინსტინქტი“. ერთ მშვენიერ დღეს, როცა ამერიკამ ეს ფილმი ნახა, აღშფოთების ტალღამ გადაუარა ქვეყანას... ჟურნალისტები ამტკიცებდნენ — მსახიობს გადაღებების შემდეგ თავისი სექსუალური ტემპერამენტის დასაოკებლად მკურნალობა დასჭირდაო, მაგრამ არც „მთავარ ინსტინქტამდე“ და არც მის შემდეგ პაპარაცებს მაიქლის მაკომპრომეტირებელი ფოტოები არ გადაუღიათ. „წმინდანი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ როცა გაუთავებლად ჩემს სექსუალურ აღვირახსნილობაზე ლაპარაკობენ, აღშფოთება მიპყრობს. რაკი ხალხი ჩვენზე — მამა-შვილ დუგლასებზე ამდენს ლაპარაკობს, ეტყობა, რაღაცად ვღირვართ“, — ამბობს მაიქლი.

*7 დღე №25*

## ბუტიკიდან ბოსობამდე



მოდელების სახლმა CHLOE -ში შესულს, ბოსის მაგიდასთან მჯდარი ცისფერთვალება, ჯინსებიანი და სპორტულფეხსაცმელებიანი გოგონას დანახვაზე გეგონება, რომ ამ პატარას გზა დაბნევია, აქ შემთხვევით მოხვედრილა და ახლა მაგიდასთან გაკვეთილებს ამზადებს. სტელა მაკარტნი ლეგენდარული პოლ მაკარტნისა და მისი მეუღლის, ლინდას ქალიშვილია და აქ, CHLOE -ში, კარლ ლაგერფელდის მემკვიდრე. ლაგერფელდის აზრით, „ეს 25 წლის გოგონა მამამისივით ნიჭიერია“.

სულ ცოტა ხნის წინ კი სტელა წმ. მარტინის სახელობის ხელოვნებისა და დიზაინის კოლეჯის დამთავრების შემდეგ, ლონდონში, ნოთინგჰილის კვარტალში ვიწრო ქვედაკაბებსა და საღამოს კაბებს კერავდა, რომლებიც ბუტიკში იყიდებოდა. მისი მისამართი მხოლოდ საშუალო ფენის ქალების უმცირესობამ და რამდენიმე მეგობარმა იცოდა, ხოლო დანარჩენ მსოფლიოს მისი სახელის გაგონებაზე პოლ მაკარტნი ახსენდებოდა და შეიძლება ის ფოტოც, რომელზეც პოლი და ლინდა თავიანთ სამ გოგონასთან ერთად არიან გადაღებული. ერთ-ერთი გოგონა, ყველაზე პატარა, სტელაა, უფროსი, ჰედა — 34 წლისაა და კერამიკოსია, ხოლო მერი — 27 წლისაა, იგი ფოტოგრაფია.

როცა CHLOE -ს პრეზიდენტმა მუნი მოფერიჯიმ ლაგერფელდის მემკვიდრის პრეზენტაციაზე განაცხადა, — ტალანტმა ასაკი არ იცისო, — სტელას 40 კონკურენტს, ცნობილ მოდელიორებს, მღელვარებისგან სუნთქვა შეეკრათ. არ ეგონათ, რომ ეს პატარა გოგონა მათ, გამოცდილ ოსტატებს, აჯობებდა.

სტელა ვეგეტარიანელია. მას არც „მკვდარი ცხოველების“ ჭამა უყვარს და არც ფულის ფლანგვა. ორივე თვისება მან მემკვიდრეობად თავისი მშობლებისგან მიიღო. დედამისი, ლინდა, ვეგეტარიანელია და დარწმუნებულია, რომ ადამიანს სჭირდება მხოლოდ „ჭერი, ცოტაოდენი საჭმელი და პატარა ბაღი ბავშვებისთვის“. და მართლაც: ბავშვები ფუფუნებაში არ იზრდებოდნენ, ისინი ჩვეულებრივ სკოლაში სწავლობდნენ, ოჯახი წლების განმავლობაში ძალიან პატარა სახლში ცხოვრობდა, ვიდრე ფერმას იყიდდა.

ასეთი აღზრდის შედეგია, რომ მაკარტნის შვილები ქონებისთვის ერთმანეთს არ ებრძვიან.

მოდა სტელას ბავშვობიდანვე აინტერესებდა. „ალბათ, იმიტომ, რომ მუსიკის გაკვეთილებს გავქცეოდი“. მოდელებისადმი ინტერესი გოგონას დედამ გაუღვიძა. „ბავშვობაში ძალიან მომწონდა, როგორ იცვამდა დედაჩემი. დედაჩემის გარდერობმა დიდი გავლენა მოახდინა ჩემს კოლექციაზე. იგი ცჰლოე-ს სამოსს იცვამდა. ეს კარგი მარკა იყო, — იგი ჩუმდება და ცოტა ხნის შემდეგ უმატებს, — მაშინ“.

15 წლის სტელამ ხანმოკლე პრაქტიკა გაიარა ქრისტიან ლაკრუასთან. მიუხედავად იმისა, რომ პატარა ვიყავი, ყველა პატივისცემით მექცეოდა. პარალელურად, ხელსაქმესაც ვსწავლობდი... და აი, ახლა CHLOE -ს ბოსი ვარ. შეიძლება, სხვაზე მეტად იღბლიანი გამოვდექი, და ბოლოს, მოდა მხოლოდ კაბებისგან შედგება, ამის დავიწყების უფლება არა გვაქვს. თანაც ეს ადამიანმა ძალიან სერიოზულად არ უნდა აღიქვა. მოდელიორობა არც ისე სერიოზული პროფესიაა. ბოლოს და ბოლოს, კაბებს ვკერავ, კიბოთი დაავადებულებს ხომ არ ვარჩენ?“

*შტერნი №22*

## სამეფო ტახტის უარმყოფელი დიდი მთავარი მიხეილ რომანოვი

იგი მეფე ალექსანდრე III ‑III-ის უსაყვარლესი, ნაბოლარა შვილი იყო. სამეფო გვირგვინის ბრწყინვალება არასოდეს ხიბლავდა. გატაცებული იყო ავტომობილებით, სპორტით, დოლით. თავდავიწყებით შეუყვარდა თავისი პოლკის როტმისტრის, ალექსეი ვულფორტის უმშვენიერესი მეუღლე. აღშფოთებულმა ნიკოლოზ II-მ დაიბარა ძმა, აუდიენცია ხანმოკლე აღმოჩნდა: „ჩაიბარებ ჩერნიგოვის ჰუსარებს“, — უბრძანა მკაცრად. ასე აღმოჩნდა დიდი მთავარი პროვინციულ ორიოლში. რომანი ნატალია ვულფორტთან გრძელდებოდა. 1910 წელს მათ შეეძინათ ვაჟი, რომელსაც გარდაცვლილი ძმის ხსოვნის პატივსაცემად გიორგი დაარქვეს. მხოლოდ ამის შემდეგ მიაღწია ნატალიამ მეუღლესთან განქორწინებას. ამ უკანასკნელმა ხელსაყრელი შემთხვევა მაშინვე გამოიყენა და მიიღო 200000 მანეთი და თანამდებობა მეფის კარზე (ეს მიხეილმა მოუხერხა). მეფის დასტური ქორწინებაზე მიხეილმა ვერც ახლა მიიღო. შეყვარებულები საფრანგეთში გაემგზავრნენ და მალე ჯვარიც დაიწერეს. მიხეილი პატიებას თხოვდა ძმას, აღშფოთებულმა ნიკოლოზ II-მ რუსეთში ჩასვლა აუკრძალა, დაითხოვა არმიიდან, მის ქონებას კი მეურვე დაუნიშნა. მალე მსოფლიო ომი დაიწყო და რუსეთისათვის მოსალოდნელმა საფრთხემ ძმები შეარიგა. მიხეილი დაბრუნდა სამშობლოში. ნატალიას გრაფინიას ტიტული უბოძეს, მაგრამ მორგანატულმა ქორწინებამ სამეფო ტახტზე უფლება სამუდამოდ დააკარგვინა მას.



1917 წელს ნიკოლოზ II გადადგა და მიხეილი დანიშნა მეფედ. დროებითი მთავრობის წევრთა აზრი გაიყო. დიდმა მთავარმა მათ განუცხადა: „ასეთ პირობებში არ შემიძლია მივიღო ტახტი“. მან ხელი მოაწერა გადადგომის მანიფესტს. მალე იგი, მოქალაქე მიხეილ ალექსანდრეს ძე რომანოვი, გადაასახლეს პერმში. ამ დროისათვის მიხეილის ჯანმრთელობა ძალზე შეირყა. დიდი თხოვნის შემდეგ ძლივს დაითანხმა მეუღლე პერმიდან წასვლაზე, უნდოდა, შვილი საიმედო ადგილას ჰყოლოდა, დაჰპირდა, რომ თვითონაც მალე ჩავიდოდა მათთან.



1918 წლის 12 ნოემბერს, ღამით, სასტუმროში შეიჭრნენ შეიარაღებული პირები, საწოლიდან წამოაგდეს მიხეილი და მისი პირადი მდივანი ჯონსონი, დახურული ეტლით გაიყვანეს ქალაქიდან და ტყეში დახვრიტეს, შემდეგ, რა თქმა უნდა, მკვდრები გაძარცვეს — (გახადეს ფეხსაცმელი, საათი, ბეჭდები...). მომხდარის შესანიღბად მიიღეს სათანადო ზომები...

„როცა გვამები მიწაში ჩავფალით, — წერდა მრავალი წლის შემდეგ ერთ-ერთი მკვლელი (ნოვოსელოვი), — მე ხეზე ამოვჭერი ასოები: ВКМР, რაც ნიშნავდა — Великий Князь Михаил Романов“. ვინ იცის, იქნებ ახლაც დგას ის ხე იქ... პეტროგრადში მყოფმა ნატალიამ არაფერი იცოდა ქმრის ხვედრის შესახებ. დიდი გაჭირვებით მოახერხა შვილის საზღვარგარეთ გაგზავნა (აღმზრდელთან ერთად). მალე იგი დააპატიმრეს. განთავისუფლების შემდეგ რის ვაი-ვაგლახით (მოწყალების დის ნიღბით) ჩააღწია პარიზში. 1931 წელს ნატალიას ახალი უბედურება დაატყდა თავს — ავტოკატასტროფაში დაეღუპა შვილი. ნატალიას სიცოცხლის ბოლო დღეები უკიდურეს სიღატაკეში ჩაილია, გარდაიცვალა 1952 წელს. მისი სიკვდილი შეუმჩნეველი დარჩა თვით რუს ემიგრანტთა წრეშიც კი. მოგვიანებით, მის ქაღალდებში იპოვნეს წერილი: „ჩემო ძვირფასო, მშვენიერო ნატაშა! სულო, სიხარულო, ცხოვრებავ ჩემო... რა ბედნიერი ვიქნები, როცა ჩამოვალ და გნახავ. დღეს ვერ გწერ კარგად, არადა, რომ იცოდე, უშენობა როგორ მიჭირს, მიჭირს შენი სიყვარულისა და ალერსის გარეშე. მიყვარხარ მთელი გულით, დე გფარავდეს უფალი, ჩემო ძვირფასო ნატაშა!

შენი მიშა“.

*ჩასტნაია ჟიზნ №10*

## საამურო სიახლენი

- მსახიობ **ჯონ ტრავოლტას** კავშირი **ლაიზა-მარია პრესლისთან** საიდუმლოება აღარ არის. ეტყობა, იგი მალე გაეყრება **კელი პრესტონს**.
- **მაიქლ ჯექსონის** მეუღლე **დები როუ** კვლავ აპირებს შვილის გაჩენას. ამასთანავე, ურთიერთობა აღადგინა ყოფილ საყვარელთან, **ბილ ეისბროექთან.** ნეტავ, ვინ იქნება ბავშვის მამა?
- **ჯულია რობერთსი** დაუბრუნდა თავის ყოფილ ქმარს მომღერალ **ლაილ ლოვეტს**.
- **ბარბრა სტრეიზანდმა** და მსახიობმა **ჯეიმს ბროლინმა** ჯვარი დაიწერეს.

# თუ არ არსებობს კაცზე კომპრომატი, მას ხელისუფლებაში არ გააჭაჭანებენ

(დასაწყისი იხ. გვ. 3)

დარწმუნებული ვარ, ზვიადის დროს მიწა რომ მიგვეცა გლეხობისთვის, დაგვეწყო მცირე პრივატიზაცია და ქალაქში გაჩენილიყვნენ მეწარმეები, ისინი კბილებით დაიცავდნენ გამსახურდიას. მაგრამ მისმა გარემოცვამ მმართველობის ძველი სტილის და კურსის შენარჩუნება ან მცირედ ტრანსფორმირება არჩია, რამაც დაღუპა კიდეც.

— სისხლი რომ არ დაღვრილიყო, რა გააკეთეთ საამისოდ?

— ჯერ მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ არ მეგულება ამ ამბებში მონაწილე პატიოსანი კაცი, რომელიც თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს. ეს საკითხი უნდა გაირკვეს და მეც მზადა ვარ პასუხისმგებლობისათვის, და არა ისე, ზვიადისტები რომ იძახიან: „ჩვენ განსაკუთრებული როლი გვეთამაშა, თქვენ კი სასჯელებისთ...". ასე არ მოხდება, ყველა ძალა დამნაშავეა...

— და, ალბათ, უცნაურად რუსეთი...

— რა თქმა უნდა, ისიც. ამ დამპირისპირებულ ტრაგედიის შემდეგ ჩემთან საუბარში ზვიადი ბუნდოვანებით არ დამალა და განმიცხადა, რომ ისიც არის პასუხისმგებელი საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირების მოწყობისას. არ დაგავიწყდეთ, რომ კავშირი ჰქონდა ოპოზიციის ყველა ნაწილთან, ინტელიგენციასთან, რომლებიც სისხლიანი ურთიერთობის დაწყებამდე მოსკოვში იყვნენ. ...

რა თქმა უნდა, გამსახურდიას პოლიტიკა აღიზიანებდა რუსეთს. მოსკოვიდან მილიონმა ... როცა ყაზბეგში შეხვედრისას ელცინმა ხელი მოაწერა დოკუმენტს, საიდანაც მოყვება „კომუნი სამხრეთ ოსეთი...", გა დოკუმენტი კულუარებში უნდა ამუშავებულიყო, ჩვენ კი ქვეყანას მოვდეთ და ვაიძულეთ ელცინი, უარეყო თავისივე ხელმოწერილი შეთანხმება. ბუნებრივია, რომ ამგვარ პოლიტიკოსთან ყველა მოერიდებოდა ურთიერთობას. გამსახურდიამ თვითონვე განაიარაღა საკუთარი თავი და უარგუმენტოდ დარჩა საერთაშორისო თანამეგობრობის პირისპირ.

— და ამაში ხელს უწყობდა ადგილობრივი ოპოზიციაც, არა?

— საქართველოში იყო გარკვეული კასტა, რომელიც ფიქრობდა, რომ ელცინი და მისი თანამოაზრეები რუსეთის დემოკრატიის ბურჯები იყვნენ. პირდაპირ ვიტყვი, რომ ისინი ან უაზრო „ვითომ" რომანტიკოსები არიან, „რომლებსაც თითქოს სჯეროდათ, რომ რუსეთის „დემოკრატიული ძალები" კეთილი სურვილით ეხმარებოდნენ ქართველებს „დემოკრატიის" დამყარებაში, ანდა არაკეთილსინდისიერნი, რომლებიც საქართველოში რუსეთის გავლენის სივრცეში შენარჩუნებით ფიქრობდნენ თავიანთი გაბატონებული მდგომარეობის აღდგენასა და შენარჩუნებას.

— ე.ი. ფაქტობრივად, არც გამსახურდიას ანტირუსულ და არც შევარდნაძის პრორუსულ პოლიტიკას ჩვენთვის სიკეთე არ მოუტანია. სად არის ის „ოქროს კვეთი", რომელიც რაღაცას გვიშველის?

— შევარდნაძეს ვერც პრორუსულ, ვერც პროდასავლურ პოლიტიკას ვერ დავწამებ, რადგან როცა სჭირდება, ვთქვათ, ისეთ ანტირუსულ განცხადებასაც აკეთებს, რომ გამსახურდია მონაგონია. შევარდნაძე თავის საშინაო და საგარეო პოლიტიკას უსადაგებს ერთადერთ მიზანს — ძალაუფლების შენარჩუნებას. ამის ბრწყინვალე მაგალითია საქართველოს შეყვანა დსთ-ში. მაშინ მან გააკეთა ყოვლად უზნეო განცხადება, რომ, თითქოს როცა იგი ჩამოვიდა თბილისში საქართველო არ იყო მზად დსთ-ში შესასვლელად (!). ჩამოსვლისთანავე იგი გაწევრების კატეგორიული მოწინააღმდეგე გახლდათ. სულ ამას აცხადებდა, მაგრამ როცა გამსახურდია დასავლეთ საქართველოში დაბრუნდა და შევარდნაძის სკამს საფუძველი შეერყა, საქართველოც სწორედ იმ პერიოდში გამზადდა დსთ-ში შესასვლელად. გამოდის, რომ „მოსამზადებლად" აფხაზეთი უნდა დაგვეკარგა, 30 ათასი კაცი მომკვდარიყო. ამას ამზადებდა? დსთ-ში შესვლით მან მხოლოდ ძალაუფლება განიმტკიცა.

— როგორ გესახებათ მოვლენების შესაძლო განვითარება აფხაზეთიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის შემთხვევაში?

— ახლახან გახლდით მოსკოვში და ბევრ რუს პოლიტიკოსს შევხვდი. მათ აშკარად გამოკვეთილი პოზიცია აქვთ. რუსეთი რომ საქართველოს დაეხმაროს აფხაზეთის დაბრუნებაში, დამთავრებულია რუსული პოლიტიკა ჩრდილოეთ კავკასიაში. თუკი ვინმეს იჭერენ კიდევ კბილებით, ისინიც გაექცევიან. ამიტომ ტყუილია ის, თითქოს რუსეთი მოაგვარებს ამ კონფლიქტს. ამბობენ (თავიანთი ჩეჩნეთი აწევთ კისერზე), მოვაგვარებთო. ამიტომ, საჭიროა პირდაპირი მოლაპარაკება აფხაზეთთან, რომელიც უნდა წარმართონ ახალმა ადამიანებმა და არა სანდრო კავსაძის მსგავსმა „პოლიტიკოსებმა", რომელიც ამჟამად შვეიცარიაში ბრძანდება, როგორც გაეროს ორგანიზაციაში საქართველოს წარმომადგენელი და აფხაზეთის საკითხების განხილვის დროსაც კი არ დაბრძანდება სხდომებზე... ჯერ აქ ხომ აგვაშენა „ისტორიული ხელშეკრულებებით" და ახლა შევარდნაძემ, ალბათ, დიდი დამსახურებისათვის მიავლინა საქართველოს ინტერესების გასარკვევად...

— ე.ი. პირდაპირი მოლაპარაკება, მაგრამ ომის გზით დაბრუნებას გამორიცხავთ?

— გამორიცხულია, რომ ნადიბაიძემ რუსეთისთვის არასასურველი ნაბიჯი გადადგას. როგორც კი ამას გააკეთებს, რუსეთის სამხედრო პროკურატურა ამოალაგებს მის მაკომპრომეტირებელ მასალებს და გათავებულია ნადიბაიძის საქმე. უკვე გაზეთებში წერენ რუსები, — „ყურით გვიჭირავს ნადიბაიძეო". მეტი რაღა უნდა გვითხრან? რა თქმა უნდა, ყველა საშუალება უნდა გამოვიყენოთ აფხაზეთის დასაბრუნებლად, ოღონდ ეს საქმე იმ ხალხმა უნდა იტვირთოს, ვისაც გულიც ერჩის და ჭკუაც მოეკითხება. და ეს საქმე გაზეთებში წერით არ გაკეთდება.

— ყველაზე მძიმე შთაბეჭდილება რამ დატოვა თქვენზე ბოლო წლებში?

— ბევრმა რამემ. მათ შორის აპლოდისმენტებმა, რომლითაც ქართველი დეპუტატები დსთ-ში შეთრევას მიესალმნენ და მიესალმნენ ჩვენი თავისუფლების გაყიდვას. მეტიც, წავიდნენ და იქეიფეს კიდეც. ეს იყო ჩემთვის უმძიმესი ფსიქოლოგიური დარტყმა და კიდევ ის, რომ... შევარდნაძემ ხმა არ მისცა დსთ-ში შესვლას (!) და სხდომის ბოლომდე დაიტოვა შანსი იმისა, რომ თუ საკითხი არ გავიდოდა, დსთ-ის მოწინააღმდეგეებს მოგვცემდა ხმას. ან თუნდაც, ერთმა სხდომამ, როცა მას რომელიღაც საკითხი უნდა გაეტანა, საკითხი კენჭისყრაზე ჩავარდა, სახელმწიფოს მეთაური გამოვიდა და შეახსენა დეპუტატებს: ნუ დაივიწყებთ იმ ფაქტს, რომ დემურ დვალიშვილთან კრედიტებისთვის რიგში იდექითო. და 80 ხმის ნაცვლად, 140-მდე დეპუტატმა მისცა ხმა. მაშინ მივხვდი, თუ რა ამაზრზენ „სამზარეულოსთან" გვქონდა საქმე. აი, ასეთი მართვის სტილია ჩვენს ქვეყანაში და თუ არ არსებობს კაცზე კომპრომატი, მას ხელისუფლებაში არ გააჭაჭანებენ.

პატიოსანი ადამიანის მართვა შეუძლებელია და რად სჭირდებათ? ჩვენც შემოგვთავაზეს კარგი „სახრავი" თანამდებობები („ჩვენები" იყავითო), მაგრამ საკუთარი პოლიტიკური მრწამსი სავარძლებზე არ გავცვალეთ, არც მომავალში გავცვლით.

**როგორც ვნახეთ „ქარტია-91" კვლავ „ფორმაშია" და როგორც თედო პაატაშვილმა საუბრის დასასრულს მითხრა, იკრებს იმ მცირე ძალებს და ფინანსურ შესაძლებლობებს, რისი საშუალებაც აქვთ. ემზადებიან მომავალი არჩევნებისთვის... და თუმცა, ერთ-ერთმა ოპონენტმა „ქარტია-91"-ს ქარწაღებული უწოდა, პირადად მე ამ სიტყვაში ცუდს ვერაფერს ვხედავ... ქარი ბევრი მიმართულებით ქრის და არავინ იცის, როდის, ან საიდან დაუბერავს კვლავ და ვის მოიყვანს, ან ვის წაიყვანს...**

*ზურაბ მჭედლიშვილი*

## სპორტი... მედიცინა... სპორტი... მედიცინა... სპორტი...

## წმინდა საფეხბურთო მკვლელობა

პირველი ცნობა მოსკოვის „სპარტაკის" გენერალური დირექტორის, ლარისა ნეჩაევას მოკვლის შესახებ, 22.00 საათზე რადიო „თავისუფლებამ" გადასცა.



საფეხბურთო და სპორტულ ფუნქციონერთა მკვლელობა რუსეთში პირველი შემთხვევა როდია. ქილერის პირველი მსხვერპლი ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცის" პრეზიდენტი ვლადიმერ ბუტი გახდა. სამსახურში მიმავალი ბუტი რამდენიმე ასეული მეტრის მანძილიდან ერთი ზუსტი გასროლით მოკლეს. ამას მოჰყვა უკრაინის მეორე ლიგის — საკის „დინამოს" პრეზიდენტის მკვლელობა, შემდეგ კი „შახტიორის" პრეზიდენტი, მთელ ქვეყანაში კარგად ცნობილი ახატ ბრაგინი გამოასალმეს სიცოცხლეს, რომელიც „ალიკ ბერძენის" სახელით იყო ცნობილი. შეუძლებელია, არ გაიხსენო რუსეთის ჰოკეის ლიგის პრეზიდენტის ვალენტინ სიჩის ამასწინანდელი მკვლელობაც. დავუბრუნდეთ მოსკოვის „სპარტაკის" პირველ ლედის. საკმარისი იყო მისი სახელის ხსენება, რომ ფეხბურთთან ყველა მეტ-ნაკლებად დაახლოებული პირი, მიხვდებოდა, ვისზე იყო საუბარი. ცნობილია, რომ ოლეგ რომანცევი („სპარტაკის" მთავარი მწვრთნელი) და ნეჩაევა კრასნოიარსკიდან არიან. იმასაც ამბობენ, ერთ სკოლაშიც კი სწავლობდნენო. რომანცევმა პირადად მოიწვია ლარისა გუნდში სამუშაოდ, მანამდე „პირველი ლედი" ერთ-ერთ გამომცემლობაში მუშაობდა. გუნდში მოსვლიდან სულ ცოტა ხანში იგი კლუბის დირექტორი გახდა. ქალი ასეთ პოსტზე უიშვიათესი მოვლენაა არამარტო რუსეთში, არამედ დასავლეთშიც. დღეს ყველასთვის ცნობილია, რამხელა ფული ტრიალებს რუსეთის საფეხბურთო კლუბებში. ლარისა ნეჩაევა პირველი ორგანიზატორი გახლდათ „სპარტაკისა" და ფირმა „ადიდასის" კონტრაქტისა, რომელსაც უდიდესი მოგება მოჰქონდა მოსკოველთათვის. მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ნეჩაევასა და იაპონურ ფირმა „აკაის". „პირველი ლედი" „სპარტაკის" სტადიონის რეკონსტრუქციასაც კი აპირებდა.

არც მკვლელი და არც მკვლელობის მიზეზი ცნობილი არ არის. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სპორტულ მოღვაწეთა მკვლელებიდან, ჯერჯერობით, არავინ დაუკავებიათ.




## შუსტერმა მწვრთნელობა დაიწყო

მუდამ სკანდალებით გარემოცულმა ბერნდ შუსტერმა, რომელსაც გერმანიაში „ქერა ანგელოზს" უწოდებენ, სამწვრთნელო კარიერა დაიწყო. იგი მეორე ბუნდესლიგის ცნობილ კლუბს, დიუსელდორფის „ფორტუნას" ჩაუდგება სათავეში. ყოველივე ეს სიურპრიზი აღმოჩნდა თავად შუსტერისთვისაც, რადგან იგი, ჯერჯერობით, არ გეგმავდა მწვრთნელობას. შეგახსენებთ, რომ შუსტერი უდიდესი წარმატებით თამაშობდა „ბარსელონას", „რეალისა" და „ატლეტიკოს" შემადგენლობაში, საფეხბურთო კარიერა კი ლევერკუზენის „ბაიერში" დაასრულა. ნაკრებში თამაშზე კი ხან თავად ამბობდა უარს, ხანაც მწვრთნელები არ სწყალობდნენ.

## ყურადღება!

**მიხეილ სუმბაძის** მცენარეული ნაყენი ღრძილების ელექსირი „მკურნალი სუმბაძე" მოთავსებულია 0,5 ლ. და 0,33ლ. ტევადობის ჭურჭელში და დაცულია საფირმო ნიშნით.

შეგახსენებთ დანიშნულებას: ღრძილების შესიება, ჩირქისა და სისხლის დენა, უსიამოვნო გემო და სუნი პირის ღრუში, ღრძილების ანთება (გინგივიტი), პარადონტოზი: სტომატიტი, ჩირქოვანი გლანდები; ყელის კატარი, ბრონქების ანთება, ბრონქების გაწმენდა ნიკოტინის დანალექებისაგან. პრეპარატი „მკურნალი სუმბაძე" ნებადართულია ჯანდაცვის სამინისტროს ფარმაკოლოგიური კომიტეტის მიერ.

მის.: მეტრო „მარჯანიშვილი", დავით აღმაშენებლის გამზ. №115 (პოლიციის შენობის უკან, ეზოს სიღრმეში), მწვანე აფთიაქი „ცისანა", 11-18 საათამდე, კვირის გარდა.

**ყურადღებით დააკვირდით წარწერას აფთიაქზე იკითხეთ პირადად ცისანა სუმბაძე**

## აკუპრესურა

### ნაღვლის ბუშტის ტკივილები



აკუპრესურა მოახდინეთ მოცემულ წერტილზე. უფრო მომცრო წერტილებით აკუპრესურის წერტილის ამპლიტუდაა ნაჩვენები. თუ დაჭერის შემდეგ ყრუ ტკივილს შეიგრძნობთ, ე.ი. საჭირო წერტილი მოძებნილია, აკუპრესურა გააგრძელეთ მდგომარეობის გაუმჯობესებამდე. კარგია ამგვარი აკუპრესურის გამოყენება პროფილაქტიკის მიზნითაც.

### თავის ტკივილი კეფის არეში



საჭიროა რიტმული და ერთდროული ძლიერი აკუპრესურა სიმეტრიულ წერტილებზე.

პრესურის ჩატარება შეიძლება საჩვენებელ თითებით ან ცერებით.

### ქოშინის, ხველის, ასთმური მოვლენების, თამბაქოსთვის თავის დანებების მსურველთათვის



1 წუთის განმავლობაში საჩვენებელი თითით მსუბუქი ზემოქმედება მოახდინეთ მოცემულ წერტილზე. პრესურის გამეორება შეგიძლიათ ნებისმიერ დროს, ხოლო თუ თამბაქოსთვის თავის დანებება გსურთ, პრესურა უნდა შეასრულოთ მოწევის სურვილის გაჩენისთანავე. ამ შემთხვევაში ტარდება მოკლე, მაგრამ მტკივნეული, ძლიერი პრესურა. ასეთივე პროცედურის ჩატარება შეგიძლიათ ჰიპოტონიის (დაბალი წნევის) დროს.

## კაპელო „მილანში" დაბრუნდა

უპოპულარულესი იტალიელი მწვრთნელი ფაბიო კაპელო, რომელიც ბოლო სეზონში ესპანეთის ჩემპიონის — „რეალის" მწვრთნელი იყო, „მილანში" დაბრუნდა, სადაც თავის დროზე უდიდეს წარმატებებს მიაღწია, გასული სეზონი იტალიური კლუბისათვის კატასტროფული იყო. არიგო საკიმ ვერ შესძლო ის, რასაც ამჟამად კაპელოსაგან ელიან. „მილანი" უკვე დატოვა მოთამაშეთა დიდმა ჯგუფმა. ამბობენ, რომ გუნდიდან წასვლას აპირებენ რობერტო ბაჯო, ბობანი და სავიჩევი. „მე მოხარული ვიქნები, თუ ისინი გუნდში დარჩებიან, მათთან თანამშრომლობა სასიამოვნოა", — განაცხადა კაპელომ.




შპს «რემედია»

წამლები, წამლები, წამლები...

იაფად, ძალიან იაფად...

ქ.თბილისი აღმაშენებლის გამ. №38, ტელ.: 94-10-85

აფთიაქი

ჩემეტის ლაბორატორიიდან ლიცენზია №00179

ასთმიან მნეველებს

ნულს გიხუთავთ თუ სი სენცი. მაღვაყელავთ ამთშონერცი.

გაიცანით, მეხვედრით. თქვენი ექიმელია!

სამკურნალო

ქ.თბილისი გამსახურდიას ქ. №3 ტელ.-ფაქსი 96-61-17 ტელ. 96-61-92





ქვეყანაში, სადაც „შროშანი" საქმიანობს, ულვაშიანი ქალი არ უნდა დადიოდეს!"

— ეს აზრი რუსეთის კოსმეტიკური კორექციის ცენტრში გამოითქვა.

თუ გსურთ, კიდევ უფრო მშვენიერი გახდეთ, საშუდამოდ მოგეხსნათ თმიანობით გამოწვეული კომპლექსი, განიკურნოთ ჭარბი თმისაგან სახესა და სხეულზე სწრაფად და უმტკივნეულოდ,

მიმართეთ „შროშანს"

ფასი ხელმისაწვდომია

მის.: რუსთაველის გამზ. №28, მოზრდილთა პოლიკლინიკა №13, კაბინეტი №26 (ოპერის პირდაპირ);

საბურთალო, იოსებიძის ქ. №53, (161-ე სკოლასთან).

მიღება ყოველდღე კვირის ჩათვლით 11-18 სთ-დე



სქოლიოზი, კიფოზი (ხერხემლის გამრუდება), რადიკულიტი, იშიაზი, ოსტეოქონდროზი, ქათმისებური და მეწაღისებური გულ-მკერდი. მაღალი შედეგებით ამ დაავადებებს მკურნალობენ



ექიმი, ცნობილი მანუალური თერაპევტი სოსო ფირცხალაიშვილი და მეთოდისტი ფელიქს ლაპიცკი, რომლებმაც ეს მეთოდიკა რუსეთში დახვეწეს

მის: დავით აღმაშენებლის №115 (პოლიციის შენობის უკან)

11-დან 19 სთ-მდე ტ. 96-60-04; 72-06-14; 31-47-38 — საღამოს

# ბიბლიის საიდუმლო კოდი

***ისრაელელი მეცნიერი ამტკიცებს, რომ კომპიუტერის საშუალებით იპოვა ბიბლიის საიდუმლო კოდი. სამყაროს უძველეს წიგნში ყველაფერია ნაწინასწარმეტყველები. ჰიტლერიდან — მთვარეზე გაფრენამდე თუ იცხაკ რაბინის მკვლელობამდე.***

ცნობილი ისრაელელი მათემატიკოსი ელიაჰუ რიფსი ან გენიოსია ან დიდი მატყუარა.

ისრაელის მეცნიერებათა აკადემიამ ახლახან სცნო მისი ნაშრომების სამეცნიერო მნიშვნელობა. მისტიციზმის და ეზოთერიზმისაგან შორს მდგარმა „ვაშინგტონ პოსტის" „უოლ სტრიტ ჟორნალის" ცნობილმა კორესპონდენტმა მაიკლ დროსნინმა ამ საოცარ ამბებს წიგნიც კი მიუძღვნა, რომელიც ამ სიტყვებით იწყება: „1994 წლის 1 სექტემბერს იცხაკ რაბინის ნათესავს წერილი მივეცი და ვთხოვე, სასწრაფოდ გადაეცა პრემიერ-მინისტრისათვის. ვწერდი: ისრაელელმა მათემატიკოსმა ბიბლიის საიდუმლო კოდს მიაგნო. ბიბლიაში დეტალურად არის აღწერილი მოვლენები, რომლებიც ამ წიგნის შექმნიდან ათასობით წლების შემდეგ მოხდა, იმიტომ გწერთ, რომ თქვენი სახელი — იცხაკ რაბინი — გადაკვეთილია სიტყვებით „მკვლელმა მოაკვდინა". იცხაკ რაბინი 14 თვის შემდეგ მოკლეს."

ჟურნალისტი უკვე რამდენიმე წელია, ჩაჰკირკიტებს რიფსის აღმოჩენას, კომპიუტერს სთხოვს ახსნასა და კვანტური ფიზიკის საუკეთესო სპეციალისტებს. მათემატიკური თვალსაზრისით, რიფსის ნაშრომები, რომლებსაც დროსნანი გაეცნო, უზადოა. თურმე, ბიბლია სხვა მეორე ბიბლიას მალავს თუ მოიცავს, და მასში აღწერილია ყველა ის მოვლენა, რომლებიც მოხდა მას შემდეგ, რაც ღმერთმა მოსეს მიმართა. ერთმანეთის გადაკვეთის შემდეგ სიტყვები კი მუდმივ ეულოვის მქონე ინფორმაციულ პროგრამის მატარებელია. ბიბლიის „ალაპარაკებას" უხსოვარი დროიდან ცდილობდნენ. თვით თანამედროვე ფიზიკის მამა, ნიუტონიც კი სიკვდილამდე ცდილობდა საიდუმლოს გასაღების პოვნას, ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ სამყარო ყოვლისშემძლე ღმერთის მიერ განსაზღვრული გიგანტური კრიპტოგრამა იყო. ნიუტონი ღმერთის ტექსტის ენიგმის ამოცნობასაც ლამობდა, სურდა, განეჭვრიტა ღმერთის მიერ დასახული წარსული თუ მომავალი მოვლენები.

ჯერ კიდევ 30-იან წლებში პრალელმა რაბინმა გარკვეული მეთოდით (იგი კითხულობდა რომელიმე ასოს, შემდეგ მისგან ორმოცდამეორე, კიდევ ორმოცდამეათე და ა.შ. ასოს) ამოიკითხა თ ო რ ა, მეტი კი ვეღარ შესძლო. ეტყობა, საიდუმლოს ამოკითხვა კომპიუტერების ეპოქაში უნდა მომხდარიყო. კომპიუტერის მიერ უთვალავი კომბინაციის ამოკითხვის უნარით, ადამიანი 2000 წლისათვის, ალბათ, მიაღწევს გაიგოს ბიბლიაში დაფარული აზრი. 1992 წელს, ამერიკული საპრეზიდენტო არჩევნებიდან ექვსი თვით ადრე რიფსმა და დროსნანმა შესძლეს **„ქლინთონისა"** და **„პრეზიდენტის"** ამოკითხვა. **უოტერგეიტი:** თეთრი სახლის კრიზისის მიხედვით მათ მიაგნეს „ნიქსონს" და პატარა კითხვას: „ვინ არის იგი?" მოსდევს პასუხი: „პრეზიდენტი, მაგრამ იგი განდევნილი იქნა". **1929 წლის შეფასება:** „მოქმედებანი" და „ეკონომიკური ვარდნა", ადამიანის პირველი ნაბიჯი მთვარეზე: კოდირება ხდება სიტყვებით „ხომალდი" და „აპოლო-11", ეს აზრი გადმოცემულია „დაბადებაში", როდესაც ღმერთი აბრაამს ეუბნება: „აჰხედე ცას და დაითვალე ვარსკვლავები, თუ შეგიძლია მათი დათვლა".




დროსნანს თუ დავუჯერებთ, ყოველი ინფორმაცია მაქსიმალურად აღჭურვილია დეტალებით. „რაბინთან" და „მკვლელმა მოაკვდინასთან" ერთად დროსნანმა მკვლელობის ადგილი (თელ-ავივი) და თარიღიც (5756: ებრაული კალენდრით 1995-1996 წლების სექტემბერი) ამოიკითხა. ამ დრამის შემდეგ, როცა კოდის ვარგისიანობაში დარწმუნდა, კვლავ მიუბრუნდა ტექსტს და გაშიფრული ინფორმაციის გვერდით კიდევ ერთი სახელი **„ამირი"** ამოიკითხა. ეს კი რაბინის მკვლელის სახელია.

მოკლედ, სამი ათასი წლის წინ უმაღლესმა ინტელექტმა პლანეტა დედამიწაზე მოსახდენი მომავალი მოვლენები წინასწარ განჭვრიტა და კოდირება გაუკეთა. ჩვენი საუკუნის 80-იან წლებში კი ცოდნის გაღრმავების წყურვილით ანთებულმა კირკიტა მათემატიკოსმა კომპიუტერის დახმარებით შესძლო ღვთიური საიდუმლოს ამოკითხვა. თავდაპირველად, არავის სჯეროდა, 1996 წლის 19 მარტს კი შეერთებული შტატებისა და ისრაელის აკადემიების წევრმა და თამაშების თეორიის ერთ-ერთმა ექსპერტმა რობერტ ჯ. ომანმა მეცნიერთა წინაშე საჯაროდ განაცხადა, რომ ბიბლიის კოდი უკვე აღიარებული ფაქტი იყო.

1992 წელს, სპარსეთის ყურეში გაჩაღებული ომის დროს შეიტყო რიფსის შესახებ დროსნანმა, რომელიც მაშინ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებით იყო დაინტერესებული. რიფსი და დროსნანი ერთმანეთს შეხვდნენ. ჟურნალისტმა მეცნიერს ჰკითხა, თუ სად ეწერა ბიბლიაში სპარსეთის ყურის ომის შესახებ. პასუხად რიფსმა კომპიუტერი ჩართო. ეკრანზე ასახულ წმინდა ტექსტში რამდენიმე ასო გამოირჩეოდა და თავისუფლად იკითხებოდა **„ჰუსეინი"**, **„საუდი"**, **„რუსული რაკეტები"**. იქვე იყო თარიღიც „მესამე შაბათის ცეცხლი". რიფსმა გაოგნებულ ჟურნალისტებს აუხსნა, თუ როგორ მივიდა ამ აღმოჩენამდე. მან მთელი ძველი აღთქმა დისკეტზე გადაიტანა და ასოების მუდმივ სერიად აქცია, რომელშიც 304 805 ერთეული შედიოდა. კომპიუტერმა პირველსავე ასოზე დაყრდნობით დაიწყო ყველანაირი მნიშვნელოვანი ალტერნატიული მწკრივების, ეპიზოდების, ანუ ისეთი სიტყვების ძებნა, რომლებიც რეგულარულად მეორდებოდა ტექსტის კითხვისას, თანაც 1, 2, 3, 4 და ა.შ. კოდირებული ინფორმაციის პოვნის ალბათობა 10 მილიონზე ერთია. რიფსმა და დროსნანმა ისტორიული ფაქტების შემოწმება დაიწყეს, თან „ომისა და მშვიდობის" და კიდევ ორ სხვა ლიტერატურულ წყაროებს ეყრდნობოდნენ. კომპიუტერმა 444 საათი იმუშავა და უცებ „ღვთაებრივი" სიურპრიზი: პრობლემატური, იდუმალი კომბინაცია ამუშავდა. იგი თვით ბიბლიაშია ჩადებული და არა სხვაგან. რიფსმა აღმოჩენის შესახებ სამეცნიერო წრეებს ამცნო. ათასგვარი შემოწმება-გადამოწმების შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, შედეგები გამოქვეყნდა...

რაბინის სიკვდილის შემდეგ რიფსი და დროსნანი ტექსტს განუწყვეტლივ უსვამდნენ კითხვებს და საოცარ წინასწარმეტყველურ ინფორმაციებსაც იღებდნენ ისრაელ-პალესტინის ურთიერთობებზე. მათ იღებს და უსმენს ისრაელის მთავრობა.

როგორც ეს ხშირად ხდება, ამ ვერსიასაც გამოუჩნდნენ ოპონენტები. ჰარვარდის უნივერსიტეტის მათემატიკოსი შლომო სტერნბერგი (თვითონ ორთოდოქს რაბინთა რიცხვს მიეკუთვნება) აცხადებს, რომ ასეთი გაანგარიშებით ნებისმიერ ტექსტში შეიძლება რაიმეს პოვნა. კოლეჯის მასწავლებელი დონ ფოსტერი — ადამიანმა რომელმაც კომპიუტერული ანალიზი ჩაუტარა შექსპირის ნაწარმოებებს — აგრეთვე ეჭვის თვალით უყურებს „ბიბლიის კოდს" და მიიჩნევს, ასეთი კოდების გამოყენებით თვით ტელეფონების ცნობარშიც კი შეგვიძლია რაიმე აღმოვაჩინოთ. ალბათ ბოლომდე არავინ არის დარწმუნებული გაშიფრული ნაწერების სისწორეში, ბევრი სკეპტიკურად უყურებს ამ გამოკვლევებს, ბევრიც საკუთარ ჰიპოთეზებს გვთავაზობს. ღმერთი არასდროს ამღერებს კამათლებს და როგორც აინშტაინმა თქვა, — „დაწერდა კი ის ტექსტურ სათამაშოს?"

*პარი მატჩი, ნიუზუიქი*

## შემთხვევითობა თუ ბედი?



ისტორიაში ცნობილ და უდიდეს პიროვნებებზე ლაპარაკი გაცილებით ადვილია მაშინ, როცა ისეთ ცნებას ვიშველიებთ, როგორიცაა „ბედისწერა", ამ ხალხს რომ სდევდა თან. მაგრამ ისეთი ადამიანებიც ხომ არსებობენ, არანაკლები სასწაული რომ გადახდენიათ თავს. ისინი ჩვეულებრივი, უბრალო ადამიანები იყვნენ. დავიწყოთ ცნობილი პიროვნებებიდან.

**მიხაილ კუტუზოვი** არაერთხელ დაჭრილა მძიმედ ამა თუ იმ ბრძოლაში, მაგრამ ყველაფერს გადაურჩა და ბოლო კამპანიიდან მობრუნებული საკუთარ მამულში რომ დასახლდა... უბრალო გაციებამ იმსხვერპლა.

თანამედროვეთა და, კერძოდ, ადიუტანტების რწმუნებით, **ნაპოლეონი** მეტად ეჭვიანი კაცი იყო. ძალზე ეშინოდა ბასრი საგნებისა და საშინლად განიცდიდა წუთებს, როდესაც პარსავდნენ, კრეჭდნენ და ფრჩხილებს ულამაზებდნენ. მაგრამ ბრძოლაში ეს ნიჭიერი მხედართმთავარი უკან არ იხევდა, ტყვიას უშიშრად უშვერდა მკერდს და მუდამ... უვნებელი ბრუნდებოდა ბრძოლის ველიდან.

ცნობილი რევოლუციონერი **კამო** უამრავჯერ მოხვედრილა ტყვიის ქარცეცხლში, ციხეში ბოროტმოქმედებთან გარჩევებში, ფსიქიატრებთან სადისტურ ექსპერტიზაზე, მაგრამ არაფერი ეკარებოდა. მოგვიანებით, მშვიდობიან დროში, ველოსიპედით მოსეირნე მანქანას შეუვარდა. თანაც იმ ხანებში მოსკოვში თითზე ჩამოსათვლელი ავტო დადიოდა.

**ახლა უბრალო მოკვდავების თავგადასავალიც ვნახოთ:**

**შარიფ ზაკიროვი** სამამულო ომის დაწყებისთანავე ცეცხლის ხაზზე აღმოჩნდა. ომის წლებში შვიდჯერ შეიცვალა ბატალიონის შემადგენლობა, რადგან ყველა მოკლეს. შარიფი კი იმ ქარცეცხლიან დღეებს უვნებელი გადაურჩა.

მფრინავ-გამანადგურებელი **ანდრეი ზაგორუიკო** იმითაა ცნობილი, რომ გერმანელებმა თერთმეტჯერ ჩამოაგდეს; ორჯერ თვითმფრინავთან ერთად, ექვსჯერ — ცეცხლმოდებული პარაშუტით, ორჯერ — უპარაშუტოდ. ერთხელ თივის ზვინზე დაეცა, მეორეჯერ — თოვლიან ნამქერზე. ცეცხლმოდებული პარაშუტით რომ მიექანებოდა მიწისაკენ, გერმანელი სნაიპერი გულდაგულ უშენდა ტყვიებს. შედეგად: არც ერთი ჭრილობა, დამწვრობა, მოტეხილობა ან სხვა რამ.

ყველას ახსოვს სპიტაკში მომხდარი მიწისძვრა. დაზარალებულების დასახმარებლად გაფრენილი თვითმფრინავი, რომლის ბორტზე ასი მაშველი იყო, ჩამოვარდა. ასი კაციდან მხოლოდ ერთი გადარჩა, რომელსაც სამი დღის განმავლობაში დასდევდნენ დასაჭერად სხვა მაშველნი. საბრალო მომხდარისგან სიგიჟის ზღვარზე იყო...

კასპიისკოეში მომხდარი აფეთქების შემდგომ, ნანგრევებიდან ამოათრიეს ბომჟი, რომელმაც მთელი ის ტრაგედია გალეშილ მდგომარეობაში გადაიტანა. გონს რომ მოვიდა, უფრო სწორად, როცა გამოფხიზლდა, მაშინ გაიგო, რა მომხდარიყო. ბომჟს ერთი ნაკაწრიც კი არსად ჰქონდა.

## მოსალოდნელი ამინდი 23-29 ივნისი

გასული კვირის განმავლობაში საქართველოში ზოგან წვიმდა. სინოპტიკოსები 23-დან 30-მდე კვლავ არამდგრად ამინდს ვარაუდობენ, თუმცა, მოსალოდნელია უნალექო დღეებიც.

*დასავლეთ საქართველოში:* ტემპერატურა ბარში ღამით +14 +19, დღისით +25 +30, მთაში ღამით +10 +15, დღისით +23 +28, მაღალ მთაში ღამით +7 +12, დღისით +20 +25.

*აღმოსავლეთ საქართველოში:* ბარში ღამით +13 +18, დღისით +24 +29, მთაში ღამით +11 +16, დღისით +22 +27, მაღალ მთაში ღამით +6 +11, დღისით +19 +24.

ცალკეულ დღეებში მაქსიმალურმა ტემპერატურამ შესაძლოა 30-35 გრადუსსაც მიაღწიოს.

## რას გვეტყვით, ვარსკვლავებო...

### 23-29 ივნისის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი**




დააკვირდით თქვენს გარშემომყოფთ — ვის სურს თქვენთვის სიკეთე. ავისმოსურნეთ ტკბილად დაშორდით. კოლეგებთან კამათისას მჭერმეტყველი იყავით. თავშეკავება და მოთმინება გმართებთ.

**კურო**




დადგა დრო, ხელი მოაწეროთ საბუთებს, რომელიც უძრავ-მოძრავი ქონების საკითხებთანაა დაკავშირებული. დაგეგმილი საქმე გააკეთეთ, მას მატერიალური სარგებელი მოჰყვება. სიყვარული და ახლობლის მხარდაჭერა გელით. იყავით ალერსიანი მისადმი.

**მარჩბივი**




სიძნელეები უკან დარჩა. დამშვიდდით და დაუბრუნდით ჩვეულ ცხოვრებას. გაითვალისწინეთ შეცდომები. კამათისას კომპრომისი ირჩიეთ.

**კირჩხიბი**




ნუ შეგაშინებთ სირთულეები. კვირის ბოლოს ყველაფერი დაწყნარდება. მნიშვნელოვანი საქმეები მომავალი კვირისათვის გადადეთ. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას. დაისვენეთ, ნუ მოკიდებთ ხელს ფინანსურ და სარისკო საქმეს.

**ლომი**




დატკბით სიცოცხლით. ნუ იტყვით უარს ძველ სატრფოსთან შეხვედრაზე — ამას არ მოჰყვება უსიამოვნებანი. სამსახურში დაწინაურება და მატერიალური წარმატება გელით.

**ქალწული**




სამსახურში წინსვლის შანსი გაქვთ. თქვენი გულმოდგინება უკვე შეამჩნიეს. ეცადეთ, შეურიგდეთ გაბუტულებს. ისინიც მზად არიან ამისთვის. უქმე დღეები ოჯახში გაატარეთ.

**სასწორი**




კვლავ მოგიხდებათ ფასეულობათა გადაფასება. უკიდურესობაში არ ჩავარდეთ — არ არსებობს აბსოლუტურად კარგი და ცუდი ადამიანები. სამყარო ისეთი მიიღეთ, როგორიცაა. წარმატება გელით. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით.

**ღრიანკალი**




ვნება — თქვენი სტიქიაა. სიყვარული, სიძულვილი, ეჭვიანობა — ამ კვირაში ცოტ-ცოტა ყველაფერს გამოცდით. გიყვართ სინათლე, სიცხადე, ემოციები გავსებთ. არ გაცხარდეთ და არ გადადგათ მოუფიქრებელი ნაბიჯი. ყურადღება დაძაბეთ. ბედმა პირი იბრუნა თქვენსკენ.

**მშვილდოსანი**




ჩვეულებრივად შრომა გელით. ყოფითი საკითხების მოგვარება მოგიწევთ. არაფერი გადადოთ სახვალიოდ. იყავით მომთმენი და თავშეკავებული. განა ყველა საქმე კეთდება!

**თხის რქა**




ძველ ნაცნობებთან მეგობრობის განახლება წარმატებას მოგიტანთ. ყურადღებით იყავით — მოქიშპეები გმტრობენ. მხოლოდ სატრფო ამოგიდგებათ გვერდში. მისი იმედი გქონდეთ.

**მერწყული**




მომავლის საქმეები წარმატებით გადაწყდება. ეცადეთ, სიმშვიდე შეინარჩუნოთ. თანამშრომლებსა და უფროსობასთან კამათი ცუდს არაფერს მოგიტანთ. უქმე ბუნების წიაღში გაატარეთ.

**თევზები**




კონტრასტების დრო დაგიდგათ. ხელმოცარულობა წარმატებით შეიცვლება. ოჯახურმა გართულებებმა, შესაძლოა, გაგანერვიულოთ, მაგრამ ყველაფერი მოგვარდება. უსიამოვნებას ინტუიცია აგაცილებთ.

გისურვებთ წარმატებებს!




გთავაზობთ:

-მედიკამენტების, სტომატოლოგიური მასალების, სამედიცინო ნედლეულის, ავადმყოფის მოვლის საგნების, ბავშვთა კვების პროდუქტებისა (ხილფაფები და წვენები) და ბავშვთა მოვლის აქსესუარების ფართო ასორტიმენტს საბითუმო ფასებში;

-300ლარზე მეტი ღირებულების მედიკამენტებზე შეკვეთა მიიღება ტელეფონითაც 38-04-93. წარმოებს ადგილზე მიტანა დამატებითი გადასახადის გარეშე (თბილისის მაშტაბით).

-გაიცემა ფაქტურა და ხარისხის სერტიფიკატი.

თბილისი:
გულაჩაურის 9. ტ.98-78-60.

ქუთაისი:
ზ.ფალიაშვილის 21. ტ.5-65-14.




## №37 საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგის თემა იყო **„რეკლამა“.**

გამოკითხვას 418 მკითხველი გამოეხმაურა. 2 მათგანს ბარათი არასწორად ჰქონდა შევსებული.

დასმული იყო კითხვა: **„რა სახის რეკლამა ახდენს თქვენზე გავლენას ყველაზე მეტად?“**

როგორც მოსალოდნელი იყო, რეიტინგში პირველი ადგილი წილად ხვდა სატელევიზიო რეკლამას. მის ეფექტურობას მკითხველთა 67% მაქსიმალური შეფასებით გამოხატავს. საშუალო ქულაა — 7,34.

მონაწილეთა მიერ დაწერილი მაღალი შეფასებებისა და საშუალო ქულის (6,02) მიხედვით, საგაზეთო რეკლამა მეორე ადგილზეა. სხვათა შორის, რეკლამის ეს სახე ყველაზე ნაკლები მინიმალური ქულით შეფასდა.

სარეკლამო ფურცლებით გავრცელებული რეკლამა ბოლო ადგილზეა (3,00), ხოლო ყველაზე მეტი მინიმალური ქულა გამოკითხულებმა ნაცნობებისაგან მიერ გაწეულ „სარეკლამო კამპანიას“ დაუწერეს.




საპრიზოს ზუსტად დაემთხვა 26 წლის **ნატო საცერაძისა** და 12 წლის **ლევან ძაგნიძის** ბარათი-რეიტინგები. პრიზიორებს, რომლებიც 70 ლარს თანაბრად გაინაწილებენ, ველით რედაქციაში სამშაბათს, 24 ივნისს, 17 საათზე.

დამატებით კითხვას 405 მკითხველმა უპასუხა.

დასმული იყო კითხვა: **„ხართ თუ არა კმაყოფილი საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევით აფხაზეთის დასაბრუნებლად?“**

რესპოდენტთა 79% საქართველოს ხელისუფლების მოღვაწეობას აფხაზეთთან დაკავშირებით — უარყოფითად აფასებს.

საბოლოოდ, პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:




## №38 საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავის მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

### 70 ლარი

თქვენს მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

### თემა №38 — საოჯახო ნივთები

რომელი ნივთია თქვენთვის ყველაზე საჭირო ოჯახში (ჩამოთვლილთაგან)? უპირველესს დაუწერეთ 8 ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№38 საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | საოჯახო ნივთები | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ტელეფონი | |
| 2 | მაცივარი | |
| 3 | რადიომიმღები | |
| 4 | წიგნი (გაზეთი) | |
| 5 | საწოლი | |
| 6 | ტელევიზორი | |
| 7 | გენერატორი | |
| 8 | სარკე | |

**დამატებითი კითხვა***

| | |
|---|---|
| უნდა გაუქმდეს თუ არა სიკვდილით დასჯა საქართველოში? | კი |
| | არა |
| | არ ვიცი |

თქვენი სახელი, გვარი

ასაკი          ტელეფონი

* „კვირის პალიტრის“ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში გთავაზობთ დამატებით თითო აქტუალურ კითხვას. ბარათი-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ მასზე პასუხის გაცემა. თქვენთვის მისაღები პასუხი შემოხაზეთ.

№38 საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი ძალაშია 23-დან 26 ივნისის ჩათვლით. „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ 26 ივნისის (ხუთშაბათი) 17 საათამდე (მათი ადგილმდებარეობის შესახებ იხილეთ გვ. 24).

## რედაქცია კვლავ აგრძელებს კურიოზების კონკურსს

### ❖❖❖ მაგას ველარავინ ააწყობსო

ჩხოროწყუს რაიონში ცხოვრობდა პედაგოგი მამანტი კვირტია, რომელიც „კვიმატის“ ფსევდონიმით იყო ცნობილი.

უკვე ასაკში შესული მამანტი სსრკ-ის დაშლას მოესწრო. ამ პროცესით გაკვირვებულმა მეგობრებთან იხუმრა: ძველად, ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანის წინ, დარღვეული ხის სახლის ფიცრებს ნომრავდნენ, რომ აწყობა გაადვილებოდათ. ამ დალოცვილებმა ისე დაშალეს ქვეყანა, რომ მისი აწყობა არავის შეუძლიაო.

*ვახტანგ მამფორია*

### ❖❖❖ გატეხილი ქოთანი

მანანა ყველგან თან დაატარებდა მამის მიერ ეგვიპტიდან ჩამოტანილ პატარა ქოთანში ჩარგულ ყვავილს. მამაც ამაყობდა, — აი, რა ძვირფასი ქოთანი ვიყიდეო. ერთ დღეს მანანა მოიტაცეს. შესარიგებლად მოსულებმა მამას შეაპარეს: — მთელი ქალაქი გიცნობთ, მდიდარი და პატივცემული კაცი ბრძანდებით და გატეხილ ქოთანს შინ როგორ დაიბრუნებთო.

— ქოთნის დედაც... კიდევ ვიყიდი, უკეთესსაც... ქალი დამიბრუნეთ, თორემ... მე ვიცი, თქვენიო, — მიუგო მანანას მამამ (ეგონა, ქოთანზე ლაპარაკობდნენ).

*ვახტანგ კუპრავა*

### ❖❖❖ ვაშლის ქურდი

სასწავლო პრაქტიკის დროს ერთი სტუდენტი ვილაცის ეზოში გადავიდა, ვაშლის ხეზე აცოცდა და ხილის კრეფა დაიწყო. პატრონმა ხმაურზე გამოიხედა და შესძახა: — რომელი ხარ, ბიჭო, მანდაო. — მე ვარ, კაცო, რა მოგივიდა, — შეეხმიანა ვაშლის ქურდი. ჰო, მე უცხო ვინმე მეგონეო, — მიუგო პატრონმა და შინ დამშვიდებული შებრუნდა.

*ბესიკ გიორგობიანი*

**ჯანდაცვის სამინისტროს სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი**
**ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური**
**მამაკაცებსა და ქალებს სთავაზობს**



სექსუალური დარღვევების და ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკას, მკურნალობას.
როგორიცაა:
1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის, პირველი საქორწინო ღამის პრობლემები.
2. სქესობრივი ლტოლვის და სიამოვნების განცდის დაქვეითება ან გაქრობა.
3. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
4. მცირე ზომის სასქესო ასო (მიკროპენისი), ფიმოზი, პარაფიმოზი, მოკლე ლაგამი.
5. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
6. დეპრესია, ძილის დარღვევები, აკვიატება, შიშები, ენერგეტიკული დაქვეითება.
თქვენ მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმ-სექსოლოგები და ფსიქოთერაპევტები.
**ანონიმურობა გარანტირებულია**
მიღება ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-16 საათამდე
მიღება შეიძლება წინასწარ ჩაწერით ტ. 29 34 39
მისამართი:
თბილისი, ვაკე, ი. ჭავჭავაძის გამზ. 5, ყოფ. ლეჩკომბინატი მე-2
სართული, კაბინეტები: 17, 18, 19
**პირველი კონსულტაცია უფასოა**

### ❖❖❖ სამი ნოდარი

ერთ ჯგუფში სამი ნოდარი სწავლობდა. ერთ-ერთი მათგანი ჩემი მეუღლე გახლდათ.

ერთმანეთისგან რომ განესხვავებინათ, მათ მამის სახელებით მიმართავდნენ ხოლმე.

ერთხელ, ჩემმა მეუღლემ მეგობრები შინ დაპატიჟა. როცა მშობლების დღეგრძელობის ჯერი დადგა, თამადა ჩემს მეუღლეს მიუბრუნდა და ჰკითხა, — ოთარიჩ, მამაშენს რა ჰქვია?

*ნინო ჩუბინიძე*

### ❖❖❖ მთვარიდან ჩამოსული

სამი წლის წინ, კახეთის ერთ-ერთ სოფელში საერთოდ არ ჰქონდათ ელექტროენერგია. ორი ახალგაზრდა ინკასატორი მიადგა ერთ-ერთ მოსახლეს და ელექტროენერგიის დანახარჯის საფასური მოითხოვა. მასპინძელმა, რომელიც ცნობილი იყო თავისი ენამოსწრებულობით, ასე მიმართა ინკასატორებს: — „შვილებო, თუ თქვენ მთვარიდან ხართ, გადაგიხდით ფულს, რადგან ჩვენთან ღამე მხოლოდ მთვარე ანათებს“.

*ნანა გოჩიაშვილი*

### ❖❖❖ სერგოს ჯილდო

ადრიანი დილა იყო. ორჯონიკიძის ძეგლის მახლობელი ხახლის კუთხიდან ფეხაკრეფით გამოვიდა მოხუცი კაცი. ხელში სალებავიანი ქილა ეჭირა. ფრთხილად მიიხედ-მოიხედა, ღონივრად გაიქნია ხელი და... იმავწამს ჩამოქროლებულ ახალთახალ, ქათქათა „ვოლგას“ ხეთქა... გაცოფებული გადმოხტა მძღოლი. ჯერ მანქანას შეხედა, მერე აცახცახებულ, მოკუნტულ ბერიკაცს. მუშტები მოკუმშა და, — უხ, შენი ასე და ისეო, — შეუკურთხა ძეგლს.

*ანა ჯიბლაძე*

## სიახლე თბილისელთათვის!

თუ სურვილი გაქვთ „კვირის პალიტრა“ მიიღოთ ყოველ ორშაბათს, დილით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილზე (ბინაში, სამსახურში), შეავსეთ ეს ქვითარი და გამოგვიგზავნეთ რედაქციაში „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით.

**მსურს გამოვიწერო „კვირის პალიტრა“**

სახელი, გვარი ______________

______________

მისამართი ______________

______________

საკონტაქტო ტელეფონი ______________

## ფოტო განწყობისათვის



სად შედიხარ, გოგო, წერა-კითხვა არ იცი?

* * *

— **ძვირფასო,** ეს ღვინო საოცარ ელფერს გაძლევს...
— რომ არ დამილევია?
— სამაგიეროდ მე, დავლიე.

**ცოლი ეუბნება მთვრალ ქმარს:**
— სულ მინდა რაღაც გითხრა და ვერ ვახერხებ — სულ მთვრალი ხარ...
— აი შარი?... მთვრალი მე ვარ და ლაპარაკი შენ არ შეგიძლია?

* * *



**ხელფასის დღეს შინ დაბრუნებულ ქმარს ცოლი ეკითხება:**
— ფული სად არის?
— ტომრებში.
— ტომრები სადღაა?
— თვალებქვეშ...

**მასწავლებელი** ვოვას ეკითხება:
— ვინ არის ევგენი ონეგინი?
— არ ვიცი!
— ჩაცკი?
— არ ვიცი!
— ეი შენ არაფერი არ იცი...
—რატომ არაფერი? შვარცნეგერი ვიცი, სტალონე ვიცი, ჩაკ ნორისი ვიცი, ჯექსონიც...
— და ამ ცოდნით შენ რუსეთში აპირებ ცხოვრებას?
— ეგ სადღაა???



* * *

**საგადასახადო** ინსპექტორი „ახალ რუსთან“ მივიდა:
— თქვენ ამტკიცებთ, რომ ვილები, სამი „მერსედესი“ და სასახლე საკუთარი ფულით იყიდეთ? მე კი ვატყვით, რომ ეს ყველაფერი სახელმწიფოს ფულით არის შეძენილი!
— შენ, ბიძაჩემო, აზრზე მოდი, საიდან აქვს სახელმწიფოს ამდენი ფული?!

### რას არ გააკეთებ რეკლამის გულისთვის!



მსახიობმა ჯეინ ეშერმა, შოკოლადის საუკეთესო რეკლამა ყოველმხრივ ბუნებრივი რომ ყოფილიყო, საკუთარი სხეული ორი საათის განმავლობაში შოკოლადის ოსტატებს დაანება და ისინიც ქმნიდნენ ნატიფი ხელოვნების ნიმუშს — ჯეინის შოკოლადის კაბას. ადრე შოკოლადისა და ტკბილეულის რეკლამას, თურმე, კულინარიული წიგნების ცნობილი ავტორი, 50 წელს მიღწეული, წარსულში პოლ მაკარტნის მეგობარი ქალი ეწეოდა, თუმცა, ჯეინის მსგავსად — საკუთარ სხეულს არ სწირავდა.

### თავი ჩამოიხრჩო

საქორწილო დღესასწაულის შემდეგ შინ მობრუნებულმა პატარძალმა მოიცილა გრიმი, მოიძრო წამწამები, პარიკი, გაიხადა და ჩაწვა. გაოცებულმა სიძემ ყურადღებით შეათვალიერა მეუღლე და... საწოლს არც მოსცილებია — იქვე ჩამოიხრჩო თავი.

### დოქტორი ვუპი



ყველაფერს ელოდა და ამას კი, აღარ... ვერმონტის უნივერსიტეტმა ცნობილ ამერიკელ კინომსახიობს, ვუპი გოლდბერგს „საპატიო დოქტორის“ წოდება მიანიჭა. გაოგნებისგან ლამის ენა ჩამივარდაო, თქვა უნივერსიტეტის პრეზიდენტის, თომას სალმონისა და სენატორ პატრიკ ლიხის შუაში ჩამდგარმა ვუპიმ; ამ ჯენტლმენებმაც იგივე ტიტული მოიპოვეს. არადა, ვუპის საზოგადოებისა და ხელისუფლების ყურადღება დიდი ხანია მოპოვებული აქვს — შარშან იგი „ოსკარით“ დაჯილდოების ცერემონიალს უძღვებოდა, მაგრამ დოქტორობა მაინც ციდან ჩამოვარდნილ პატივად მიაჩნია.

### „კვირის პალიტრა“ აქვეყნებს კერძო ხასიათის განცხადებებს უფასოდ

„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში 26 ივნისის (ხუთშაბათი) 17 სთ-მდე. ყუთები განთავსებულია მეტროების — „მარჯანიშვილი“, „ვაგზლის მოედანი“, „თავისუფლების მოედანი“, „რუსთაველი“, „ახმეტელი“, „ვარკეთილი“, „პოლიტექნიკური“, — მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ გაზეთების ჯიხურებზე, მეტრო „გოცირიძესთან“ — სანტექნიკის მაღაზიის წინ, საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან, ორთაჭალაში — გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან), დიდ დიღომში, იოანე პეტრიწის ქ. №3 — სურსათის მაღაზიის წინ, მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ — ავტობუსის გაჩერებასთან, დიდუბეში — „სამთო ქიმიის“ გაჩერებასთან.

სხვა სახით (გარდა „კვირის პალიტრის“ ბოლო ნომრიდან ამოჭრილი „უფასო განცხადების ქვითრისა“) შემოსული განცხადება არ გამოქვეყნდება.

**(25) უფასო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი ______________

______________

______________

______________

______________

______________

______________

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 20 (მისამართის გარდა)*

P.S . №25-ის ქვითარი ძალაშია 23-დან — 26 ივნისის ჩათვლით. „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 26 ივნისის (ხუთშაბათი) 17.00 სთ-მდე

## ლოგოვორდი

- მუშა, გიტარა, აივანი, გიორგობიანი → ☐
- ტაში, გალა, დირიჟორი, ფილარმონია → ☐
- მეგაჰერცი, ეთერი, FM, ანტენა → ☐
- სტროფი, პოეტი, რითმა, იამბი → ☐
- ტაქსი, ინდოეთი, 64, ცაიტნოტი → ☐
- გვერდწითელი, სოსლანი, „მოიტაცეს“, „შერეკილები“ → ☐
- ლომი, პელე, ბანქო, კვერთხი → ☐
- თეიმურაზი, მითაიშვილი, მედეა ჯაფარიძე, კოტე → ☐
- წუნა, სორო, შოკი, ხაფანგი → ☐
- სფინქსი, პირამიდა, ნილოსი, ფარაონი → ☐
- მ. მესხი, ბატალიონი, ეუსებიო, ბაგირა → ☐
- სოიერი, ეთნოსი, წიგნი, კრუზი → ☐
- ეროტიკა, მეძავი, ლოგინი, აქტი → ☐
- დონორი, „ვან დამი“ ჯგუფი, აორტა → ☐
- აფთიაქი, რეზინი, „აკვარიუმი“, ასო → ☐
- ყაყაჩო, ნემსი, ვენა, პატიმარი → ☐

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:
**თარაზულად:** 5. კონტრიბუცია; 8. ავეჯი; 9. ალბათ; 12. სურდო; 13. პლანეტა; 14. ეთერი; 16. გუდრონი; 18. ზენკერი; 20. არქივარიუსი; 23. მენისკი; 24. აბულაძე; 27. ფლორა; 28. ჟაკარდი; 31. შხუნა; 32. კლიმი; 34. ამალა; 35. ბოზარჯიანცი.
**შვეულად:** 1. უნაბი; 2. ბროშურა; 3. აბაშიძე; 4. უცუნა; 6. ქვედრულა; 7. ქანთარია; 10. ასი; 11. კიო; 15. პრაკრიტი; 17. იარვეტი; 18. ზიარება; 19. კრისტალი; 21. მხედრული; 22. მოძახილი; 25. უფა; 26. მაო; 29. კონკურსი; 30. რომელიმე; 33. ილუზია; 34. აგენტი.


**კროსვორდები გემოვნებით**
**საუკეთესო კროსვორდების კრებული შეიძინეთ საგაზეთო ჯიხურებში**




მალაიზიის კუნძულ ლანგკავიზე შინაურ ცხოველებს საგანგებო ელექტრონულ საყურეებს უკეთებენ, რათა ადამიანის დაუხმარებლად მოახერხონ საფრთხისთვის თავის არიდება, — საყურე ატყობინებს მათ ავტომობილის მოახლოებას, მოსალოდნელ ხიფათს... ამჟამად კუნძულზე ყველა ძროხას ამშვენებს ეს სამკაული.

მალე სხვა ფუნქციების შემსრულებელი საყურეც გამოჩნდება, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანის ჩაურევლად ცხოველის ზრდას.

— **შვილო, მთელი** ჩემი ცხოვრება შევალიე სამსახურს და ეს დიდ სიამოვნებად მიმაჩნდა. შენ რაღა დაგემართა?
— მთელი ცხოვრების სულ სიამოვნებაში გატარება, დიდი ეგოიზმია.


**კვირის პალიტრა**

იმეგობრეთ ჩვენთან, მოგვმართეთ ნებისმიერი კითხვით, — რა გაინტერესებთ, რის წაკითხვას ისურვებდით, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ ჩვენს გაზეთში.

დაგვიკავშირდით „კვირის პალიტრის“ ფოსტის საშუალებით.



**ანონსი №45, თბილისში ქალები ქირაობენ... კაცებს**
**ბომონდი**


შეგახსენებთ, რომ „კვირის პალიტრა“ უფასოდ აქვეყნებს კერძო ხასიათის (არაკომერციულ) განცხადებებს.

**კომერციული შინაარსის განცხადებები** (მომსახურება, მშენებლობა, სწავლა, მკურნალობა, ე.წ. „ამერიკული კომპანიები“ და სხვ.), აგრეთვე, პაემანი და გამოხმაურება, მილოცვები, **ნეკროლოგები გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ მხოლოდ ფასიანი** განცხადების ქვითრით, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში.


დაიჯესტის რედაქცია პასუხს არ აგებს სხვა გაზეთიდან გადმობეჭდილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების სიზუსტეზე. პუბლიკაციათა სტილი დაცულია. რიგ შემთხვევაში, მასალა შემოკლებით იბეჭდება.

შესაძლოა, რედაქციის აზრი არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

სარედაქციო კოლეგია

მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან) ტელ. 36-39-54

სარეგისტრაციო № 1518

„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაკაბადონდა და დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.